პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 20 აპრილი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 88 (1843)

დღიური

- სამხრეთ-სლავიის ციხეებში მოთავსებულ კომუნისტებმა შიმშილობა გამოაცხადეს.
- ჩან-ძო-ლინის მიერ გამოშვებულ ფულის კურსი ეცემა.
- ლიონში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა.
- ჩინეთის წყლებში ჩავიდა იაპონიის სამხედრო გემების ახალი ესკადრა.
- ახალ გვინეაზე ინდონეზიიდან გადაასახლეს 60 კომუნისტი.
- სამხრეთ-სლავიის ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ბუკიჩევიჩს.
- სპარსეთში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი პეკინში საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის წინააღმდეგ.

შრომის დისციპლინა

სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და წარმოების რაციონალიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინის განმტკიცებას. თუმცა ამ მხრივ წინანდელთან შედარებით საგრძნობლად წავიწიეთ წინ, როგორც მუშაობის სისტემის გაუმჯობესების, ისე მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი შეგნების აწევის და სათანადო ადმინისტრატიულ ღონისძიებათა მიღების გზით, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი გვქონდეს.

ეს ბევრ რამეში იხატება. ჯერ კიდევ იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა დაინტერესებულ მოქალაქეთ დაწესებულებებში უხდებათ ლოდინი იმის გამო, რომ ესა თუ ის თანამშრომელი დროზე არ გამოცხადდა სამსახურში, ან მუშაობის პროცესში სადმე წავიდა რამოდენიმე ხნით პირად საქმეზე, ან დაწესებულ ვადაზე ადრე მიანება თავი მუშაობას.

ხშირია ფაქტები მუშა-მოსამსახურეთა სრული გამოუცხადებლობის სამუშაოზე. უმეტესად ეს აიხსნება საპატიო მიზეზებით, როგორც ავადმყოფობა და სხვა, მაგრამ ადგილი აქვს სიმულიაციას, ავადმყოფობის მოჩვენების ფაქტებს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოს გაცდენას ან დაგვიანებით გამოცხადებას უფრო ხშირად ვამჩნევთ უქმე დღეების და ხელფასის დარიგების შემდეგ და იგი უმთავრესად გამოწვეულია ლოთობით, რომელიც გავრცელებულია მუშების ზოგიერთ რიგებში. ამასთან ეტყობა, რომ აღნიშნულ დღეების შემდეგ ამავე მიზეზით ზოგიერთი მუშები ზანტად მუშაობენ და შრომის ნაყოფიერება დაბლა ეცემა.

მუშაობის გაცდენა დაკავშირებულია აგრეთვე იმ გარემოებასთან, რომ კოოპერატივები და ის სახელმწიფო და სხვა დაწესებულებები, რომელნიც ყველაზე მეტად მუშათა მასსებს ემსახურებიან, მუშაობენ ჩვეულებრივ სამუშაო საათებში. მაგ., საქონლის გამოსატანად კოოპერატივიდან ან მრავალ სხვა საქმეების მოსაგვარებლად ამა თუ იმ დაწესებულებაში მუშებს საკმაოდ დიდი დროს დაკარგვა უხდებათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრებები თუ კონფერენციები იმართებიან სამუშაო დროსაც, რასაც თან სდევს მუშაობის გაცდენა.

გარდა ამისა, სამუშაოს გაცდენა ხდება ხელფასის სამუშაო საათებში დარიგების გამო, შრომის არა რაციონალურ ორგანიზაციის წყალობით, როცა მასალების მიწოდების, დამხმარე და კვალიფიციურ მუშების სამუშაოს განაწილების და სხვა საკითხები ვერ არიან რიგიანად მოგვარებული.

ყველა ზემო თქმულიდან ცხადია, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული შრომის დისციპლინის ასაწევად და გაცდენების აღმოსაფხვრელად.

საჭიროა სისტემატიური კონტროლის განხორციელება სამუშაოზე გამოცხადების და მუშაობის პროცესის მიმართ და შრომის რაციონალიზაცია, რომ მუშაობის დროს რაიმე შეფერხებას არ ექნეს ადგილი. ეს კონტროლი ჯერ კიდევ მოიკოჭლებს.

ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენის პროცენტი საკმაოდ მაღალია. ავადმყოფობა არა იშვიათად გამოწვეულია სანიტარულ ჰიგიენურ პირობების დაუცველობით წარმოებებში, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან, საექიმო კონტროლი უნდა იქნეს გაძლიერებული სიმულიაციის მოსასპობად.

მიზანშეწონილი იქნება, სადაც ეს მოსახერხებელია, რომ კოოპერატივების და იმ სხვა დაწესებულებათა მუშაობა, რომელნიც უმთავრესად მუშებს ემსახურებიან, წარმოებდეს კვირა-უქმე დღეებში ან არასამუშაო საათებში. ესევე ითქმის ხელფასის დარიგებაზე, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მუშაობაზე, კრებებზე და კონფერენციებზე.

კერძოდ უნდა აღინიშნოს ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროება როგორც წარმოების, ისე თვით მუშათა ჯანმრთელობის ინტერესებისათვის. ამ საქმეში, ისე როგორც საერთოდ შრომის დისციპლინის განმტკიცების კამპანიაში, აქტიურად და ფართედ უნდა ჩაებნენ პროფესიული ორგანიზაციები, რომელნიც ამ მხრივ დღემდე ვერ იჩენენ საჭირო ენერგიას და ინიციატივას.

შრომის დისციპლინის განმტკიცება ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია მომჭირნეობის რეჟიმის გატარების, წარმოების რაციონალიზაციის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ სამუშაოს გაცდენების მინიმუმამდე დაყვანას და დაწესებულ სამუშაო დღის სრულ დატვირთვას. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩვენ ჩვენს წინაშე მდგარ აღმშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

საკავშირო საბჭოთა ყრილობა

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

მთელი საბჭოთა ქვეყნის ყურადღებას იპყრობს საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობა, რომელმაც გუშინ დაიწყო მუშაობა. ათეულ მილიონობით მშრომელები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს ორგანოს ჩამოყალიბებაში. ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, სოფლებიდან, საბჭოთა სამაზრო, სავუბერნიო, საოლქო და რესპუბლიკანურ ყრილობების საშუალებით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და მშრომელებმა გაგზავნეს თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები პროლეტარული სახელმწიფოს ძირითად საკითხების გადასაჭრელად. ამ ყრილობის გადაწყვეტილებები იქნება მთელი მუშათა კლასის და გლეხობის გადაწყვეტილებები.

არსად მსოფლიოში, გარდა საბჭოთა კავშირისა, პროლეტარები და გლეხები არ არიან დაინტერესებული სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებით. არსად მსოფლიოში ისინი ნამდვილ მონაწილეობას არ იღებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში ისინი ნამდვილ ბატონ-პატრონებს წარმოადგენენ.

„საბჭოთა ხელისუფლების ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იმ კლასების მასიური ორგანიზაცია, რომელნიც კაპიტალისტებისაგან დაჩაგრული იყვნენ, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების და მთელი სახელმწიფო აპარატის მუდმივ და ერთადერთ საფუძველს. სწორედ ის მასები, რომელნიც თვით დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიაც კანონით თანასწორუფლებიანი იყვნენ, მაგრამ ნამდვილად კი სხვადასხვა საშუალებით და ხერხებით განდევნილი იყვნენ პოლიტიკური ცხოვრებიდან და არ სარგებლობდენ დემოკრატიულ უფლებებით და თავისუფლებით, — ამჟამად მუდმივად და დაუბრკოლებლად გადამწყვეტ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს დემოკრატიულ მართვა-გამგეობაში“ (ლენინი, ტომი 15, გვ. 44).

საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 10 წლის არსებობა მოწმობდა და მოწმობს საქმით ჩვენი მასწავლებლის სიმართლეს. ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა სისტემა ძვალში და რბილში გაუჯდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს და გლეხობას. საბჭოთა კავშირის მშრომელებს ვერ წარმოუდგენიათ და არც შეუძლიათ თავი წარმოიდგინონ საბჭოების გარეშე.

რასაკვირველია, ჩვენი საბჭოების მუშაობა უნაკლო როდია. საბჭოთა აპარატი ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ მოქნილი და მოძრავი; ის შეპყრობილია ბიუროკრატიზმით. მუშებმა და გლეხებმა ყველაზე უკეთ იციან ეს ნაკლულოვანებები და ბიუროკრატიული გადამახინჯებანი. მაგრამ მათ აგრეთვე იციან, რომ: „ბრძოლას ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ საბჭოთა ორგანიზაციაში სავსებით უზრუნველყოფს საბჭოების კავშირის სიმტკიცე ხალხთან, მშრომელთა კავშირი ექსპლოატაციის ქვეშ იმყოფებიან და ამ კავშირის მოქნილობა. თვით დემოკრატიზმის მხრივ ყველაზე უკეთეს კაპიტალისტურ რესპუბლიკაშიაც, ბურჟუაზიულ პარლამენტებს ღარიბები არასოდეს არ სთვლიან „თავის დაწესებულებებად“. ხოლო საბჭოებს „თავისად“ სთვლიან, ის უცხო როდია მუშათა და გლეხთა მასებისათვის“. (ლენინი, ტომი 15, გვ. 223).

სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა სისტემა ფართო გასაქანს აძლევს მრავალ მილიონიან მასების ინიციატივის განვითარებას, სწორედ იმიტომ, რომ საბჭოებს „თავისად“ სთვლიან მუშები და გლეხები — უკანასკნელები ყოველივე ძალ-ღონით ცდილობენ და ეცდებიან განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერება, სოციალისტური მშენებლობა.

საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობა მოწვეულია იმ მომენტში, როცა არა მარტო ჩვენი მეგობრებისათვის, არამედ ყველასათვის, თვით მტრებისათვისაც ნათელია, თუ რა დიდი ნაბიჯებით მიდის წინ ჩვენი სამეურნეო განვითარება. თანამედროვე საბჭოთა კავშირი —ეს ადამიანთა ვეებერთელა სკაა, რომლის თვითეულ კუთხეში სდუღს შემოქმედებითი მუშაობა. „ვოლხოვსტროი“, „დნეპროსტროის“ დაწყება, მრავალი ათეული ახალი ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა მუშაობის გამოცოცხლება, კოოპერატიული და კულტურული მშენებლობა, ყოველივე ეს არის პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობის საქმე, ყოველივე ეს მათთვის არის, ეს ყოველივე ღარიბ, მაგრამ აღორძინების გზაზე დამდგარ საბჭოთა კავშირში. რას ვხედავთ ჩვენს გარშემო არსებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელნიც განთქმული არიან თავისი სიმდიდრით და ცივილიზაციით?

გერმანიაში—8 საათის სამუშაო დღის გაუქმება, ჰინდენბურგი და ბურჟუაზიული ბლოკი. საფრანგეთში — ქვეყნის მილიტარიზაცია, რაც მუშათა კლასს სამხედრო ქსელში ახვევს. ინგლისში საყოველთაო გაფიცვის და მემაღაროეთა გმირული გაფიცვის შემდეგ —შეტევა პროფკავშირების წინააღმდეგ.

დაბოლოს, ჩინეთში, სადაც მსოფლიო—ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამბები ვითარდებიან, — იმპერიალისტურ მტაცებლების თავაშვებული ტერორი, რითაც სურთ რაც არ უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ ჩინეთის მშრომელთა მასების ექსპლოატაციის შესაძლებლობა, ჩან-ძო-ლინის გენერლების ძალადობა, ჩან-კაი-შის გამცემლობა და მის მიერ მუშების ხმოჟლეტა.

ჩინეთის რევოლიუციონურ ხალხს და პირველ ყოვლისა ჩინეთის გმირულ პროლეტარიატს დიდი ღონისძიებები დასჭირდება, რომ დაამარცხოს კონტრრევოლიუციისა და იმპერიალიზმის ხროვა და მიაღწიოს სრულ თავისუფლებას. ჩვენ ისე მდიდარი და ისე ტექნიკურად ძლიერი არა ვართ, როგორც დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნები. ჩვენს ქვეყანაში კიდევ ბევრია სიღარიბე, ჩვენი წარმოების ტეხნიკური დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია და ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ კაპიტალისტებზე უფრო იაფად ვაჭრობა და საქონლის დამზადება. კიდევ ბევრი სიძნელე და დაბრკოლება გვიდგას წინ სოციალიზმის გზაზე.

მაგრამ ჩვენ პირველი დავადექით ამ გზას. ჩვენი ქვეყანა გახდა საბჭოთა პირველ ქვეყნად. ჩვენი მთავრობა მსოფლიოში ერთად-ერთი მუშურ-გლეხური მთავრობაა. მიუხედავად ყოველივე სიძნელეებისა, ჩვენ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ. ჩვენი მიღწევები იმდენად მეტი იქნება, რამდენად ნაკლებად ხელს შეგვიშლიან.

ეს კარგად ესმით იმპერიალისტებს. მათ ესმით, რომ საბჭოთა მეურნეობის ზრდა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება ლახვარის ჩაცემაა კაპიტალიზმის გულში. მათ სურთ ჩვენი ომში ჩათრევა, აქეზებენ ჩვენს წინააღმდეგ ჩან-ძო-ლინისთანა თავდამსხმელებს, სურთ ჩაშალონ ჩვენი მშენებლობა. საბჭოთა კავშირი პროვოკაციას არ აჰყვება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — საბჭოთა მე-4 საკავშირო ყრილობა მოიწონებს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. ის მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელნიც ხელს შეუწყობენ შემდგომ წარმატებებს.

სალამი საბჭოთა კავშირის მშრომელთა უზენაეს ორგანოს!

სალამი საბჭოთა მე-4 საკავშირო ყრილობას!

მოსკოვი, 19 აპრილი.

ჩან-კაი-შიმ ნანკინში შეადგინა ახალი მთავრობა

რიფების მოძრაობა ესპანეთის წინააღმდეგ ფართე ხასიათს იღებს

იტალიაში პროფკავშირებმა დაარსეს ანტიფაშისტური ასოციაცია

შვეიცარიის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის მოგვარების გამო

ჩან-კაი-შის მთავრობა

მთავრობის შედგენა

ნიუ-იორკი 18 აპრილი. „ასოშიეიტედ პრეს“-ის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ხმების მიხედვით, **ჩან-კაი-შიმ შეადგინა მთავრობა ნანკინში.** დაწვრილებითი ცნობები ჯერ კიდევ არ არის. (ადს).

სამხედრო გემები

პარიზი, 18 აპრილი. **ბრესტიდან ჩინეთში გაგზავნილ იქნა სამხედრო გემები „პრიმოგე“ და „რემულუს“ და აგრეთვე კოლონიალურ ქვეითა ჯარის 200 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი. ამის გამო იქაურმა მოქმედების კომიტეტმა მოაწყო საპროტესტო მიტინგი.** (ადს).

იაპონიის ესკადრა

ხარბინი, 18 აპრილი. **10 აპრილს დაირენში ჩავიდა იაპონიის ესკადრა,** რომელიც 28 სამხედრო ერთეულისაგან შესდგება. (ადს).

ჩან-ძო-ლინის ფული

ხარბინი, 18 აპრილი. „მანჯურია დეილი ნიუზი“ იუწყება, რომ ფინპიაოს კატასტროფიული დაცემა დიდ მღელვარებას იწვევს ხარბინის მუშურ მოსახლეობაში. მუშები მოითხოვენ, რომ მათ ანგარიში გაუსწორონ ვერცხლის დოლარებით. ჩინელი კომერსანტები იმედოვნებენ რომ პროვინციის მთავრობა გამოსცემს ბრძანებას ყველა საქონლის ვერცხლის დოლარებით შეფასების შესახებ. გარიგებები ფინპიაოთი თითქმის შეწყვეტილია. მუშათა საცხოვრებელი მინიმუმი ძალიან იწევს, ვინაიდან ბირჟის გარეშე 100 დოლარში მოითხოვენ უკვე 1.200 ფინპიაოს. (ადს).

არ მოეწონათ

ლონდონი, 18 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პეკინში შეატყობინეს თავიანთ მთავრობებს, რომ ჩენის პასუხი სრულებით არადამაკმაყოფილებელია. (ადს).

პროვოკაციული წერილი

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. „ჰერალდ“-ის შანხაელი კორესპონდენტი ჯამს უკეთებს ინგლისის, შეერთებულ შტატების იაპონიის და საფრანგეთის წარმომადგენლების თვალსაზრისს შანხაის შესახებ და სწერს:

„ნაციონალური არმია, რომელიც წინად დისციპლინიანი იყო, ამჟამად წარმოადგენს უპასუხისმგებლო ბანდას, ამხედრებულს უცხოელების წინააღმდეგ; მისი წინამძღოლები წარმოადგენენ მარიონეტკებს მოსკოვის ხელში და ცდილობენ უცხოელების ქონების ხელში ჩაგდებას. უცხოელებმა უკვე დაჰკარგეს იმის იმედი, რომ ნაციონალისტები ჩინეთს გააერთიანებენ“. (ადს).

პოლიტიკას ვაშინგტონი ხელმძღვანელობს

ვაშინგტონი, 18 აპრილი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების წინააღმდეგ, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი მის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში აცხადებს, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, საკითხი, პასუხის შესახებ ჩენის ნოტაზე.

ამერიკის პეკინელი ელჩის და, აგრეთვე, ამერიკის კონსულების (ჩინეთში) მოხსენებების გამო, რომლებიც მოითხოვენ ულტიმატუმის გაგზავნას ნაციონალური მთავრობისათვის, საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ პოლიტიკის მიმართულებას ვაშინგტონი განსაზღვრავს. (ადს).

„დეილი ტელეგრაფი“ რჩევას იძლევა

ლონდონი, 18 აპრილი. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „მთავრობის კრიზისი იაპონიაში ხელს უშლის მეორე ნოტის გაგზავნას ნაციონალური მთავრობისათვის. გაზეთის სიტყვით, ახალი ნოტის ტექსტში არ იქნება განსაზღვრული მოთხოვნილებათა შესრულების ვადა; ნოტა არ შეიცავს სანქციების გამოყენების მუქარას. მაგრამ, გაზეთი მაინც დასძენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იაპონიაში შესდგება კონსერვატიული მთავრობა, მეორე ნოტა შედგენილი იქნება უფრო ენერგიული კილოთი.

„დეილი ტელეგრაფი“ აძლევს რჩევას სახელმწიფოებს, რომ მოითხოვონ ბოროდინის გაძევება იმ „საბუთების თანახმად, რომლებიც აღმოჩენილია საბჭოთა საელჩოს გაჩხრეკის დროს პეკინში“. (ადს).

მშრომელ ქალთა პროტესტი

ბერლინი, 18 აპრილი. **გერმანიის ქალთა წითელი კავშირის დელეგაციამ ინახულა საფრანგეთის და ინგლისის საელჩოები და გერმანიის მშრომელ ქალთა სახელით გადასცა პროტესტი უცხო სახელმწიფოების ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში.** (ადს).

მიტინგი რეშტში

თეირანი, 18 აპრილი. 10 აპრილს რეშტში შესდგა მიტინგი ჩინეთის ამბების გამო. **მიტინგის ლოზუნგი იყო მხარის დაჭერა ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობისათვის** (ადს).

ჩან-კაი-შის მთავრობა

შანხაი, 19 აპრილი. ყველა გაზეთების ცნობებით, ნანკინში უკვე შედგენილია ახალი მთავრობა. მთავრობის შემადგენლობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. (ადს).

მუკდენის ჯარების წინსვლა

პეკინი, 19 აპრილი. „ჟურნალ დე პეკინ“ იუწყება; რომ მუკდენის ჯარებმა ხენანის პროვინციაში მიაღწიეს ჩუმატ-იანს (პეკინ-ხანკოუს რკინისგზის ხაზზე, 250 კილომეტრის მანძილზე ხანკოუდან). (ადს).

ნაციონალური მთავრობა ზომებს იღებს ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

შანხაი, 19 აპრილი. ზოგიერთ ცნობებით; ნაციონალურმა მთავრობამ და გომინდანმა არა თუ დაითხოვეს ჩან-კაი-ში და მისი მომხრეები მათ მიერ დაკავებულ თანამდებობიდან და გამორიცხეს პარტიიდან, არამედ გამოაცხადეს ისინი კანონის გარეშე მყოფ მეამბოხეებად.

იმავე ცნობების მიხედვით, ნაციონალური მთავრობა ემზადება სამხედრო ოპერაციებისათვის ჩან-კაი-შისა და მის მომხრეების წინააღმდეგ.

შანხაიში დადის სხვადასხვა ხმები, რომ თითქოს სწარმოებდეს მოლაპარაკება უცხოელებსა და ჩან-კაი-შის შორის ამ უკანასკნელისათვის მატერიალური და ფინანსიური დახმარების აღმოსაჩენად. დადის, აგრეთვე, ხმები; რომ თითქოს მოლაპარაკება სწარმოებდეს ჩან-კაი-შისა და სუნ-ჩუან-ფანს შორის. (ადს).

საბჭოთა კავშირის შანხაელი კონსულის პროტესტი

შანხაი, 19 აპრილი. საბჭოთა კავშირის შანხაელმა კონსულმა შანხაის საკონსულო კორპუსის უხუცესს აალს მიმართა წერილით, რომელშიც აცხადებს, რომ არ არის დამაკმაყოფილებელი მუნიციპალურ საბჭოს განმარტება, საბჭოთა საკონსულოს გარშემო პოლიციური ბლოკადის დაწესების შესახებ, და რომ საკონსულოს არას დროს არ უთხოვია მუნიციპალურ საბჭოსათვის ასეთი „დამცველი“ რაზმი. შემდეგ კონსული ემყარება თავის წინა ნოტებს, რომლებშიც ის პროტესტს აცხადებდა მოხალისეთა რაზმების შედგენის წინააღმდეგ რუს თეთრგვარდიელებისაგან. დასასრულ კონსული აცხადებს, რომ საკონსულოს ბლოკადა და საკონსულოში შემსვლელ-გამომსვლელთა ჩხრეკა ხელს უშლის საკონსულოს ნორმალურ მუშაობას და მოითხოვს, რომ მუნიციპალურმა საბჭომ შესწყვიტოს ჩარევა საკონსულოს მუშაობაში. (ადს).

შვეიცარიასთან კონფლიქტის მოგვარების შემდეგ

შვეიცარიის პრესის აზრი

ბერლინი, 18 აპრილი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბაზლერ არბეიტერ ცეიტუნგ“ ცნობას შვეიცარია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ ახასიათებს, როგორც „სააღდგომო სასიხარულო ამბავს“ და აცხადებს, რომ ორ სახელმწიფოს შორის აქამდის არსებული დამოკიდებულება ეწინააღმდეგებოდა ურთიერთ ინტერესებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიას შორის საჭიროა დამყარდეს ნორმალური სამეურნეო და დიპლომატიური ურთიერთობა. კომუნისტური „ბაზლერ ფორვერტს“ აცხადებს:

„შვეიცარიის მუშათა კლასმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს საბჭოთა მთავრობის ფორმალურათ ცნობა შვეიცარიის მიერ, რაც განამტკიცებს ნორმალურ დიპლომატიურ ურთი-ერთობას ორივე სახელმწიფოს შორის“. (ადს).

საგარანტიო ხელშეკრულება ავღანისტანთან

ქაბული, 18 აპრილი. 10 აპრილს ქაბულში ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილის **გულიამ-სადიკხანსა** და საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ამხ. **სოკოლოვის** შორის მოხდა გაცვლა-გამოცვლა სარატიფიკაციო ხელშეკრულებისა ნეიტრალიტეტისა და ურთი-ერთ თავდაუსხმელობის შესახებ. ხსენებული ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 31 აგვისტოს პაგმენში. სიგელების გაცვლა-გამოცვლის დროს ორივე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს მისასალმებელი სიტყვები. საზეიმო ცერემონიის შემდეგ გარეშე საქმეთა სამინისტროში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ მინისტრები და სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელი და აგრეთვე ოსმალეთის და სპარსეთის ელჩები. (ადს).

რაპალოს ხელშეკრულების 5 წლის თავი

ამხ. ლიტვინოვის დეპეშა

მოსკოვი, 19 აპრილი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს შტრეზემანს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა რაპალოს ხელშეკრულების დადების დღიდან ხუთი წლის შესრულების გამო:

„რაპალოს ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის შესრულების დღეს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეგობრულ ურთიერთობას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, მოვალედ ვსთვლი თავს მოგესალმოთ თქვენ და გერმანიის მთავრობას. ორთავე ქვეყნის მთავრობები უცვლელად იცავდენ რაპალოს ხელშეკრულების პრინციპებს. საბჭოთა კავშირის მთავრობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ მეგობრული თანამშრომლობის განვითარება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავსებით შეეფერება ორთავე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაპალოს ხელშეკრულობის პრინციპები, რომელთა მნიშვნელობა დადასტურდა ხუთი წლის განმავლობაში, მომავალშიაც დარჩება წინასწარ პირობად გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის კეთილსასურველ განვითარებისათვის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, რაიც აუცილებელია მთელი ქვეყნის ხალხთათვის. **ლიტვინოვი**“.

შტრეზემანის საპასუხო დეპეშა

„გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ იმ მეგობრული მისალმებისათვის, რომლითაც მომმართეთ თქვენ რაპალოში დადებულ ხელშეკრულობის 5 წლის თავის შესრულების გამო. **თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენს დეპეშაში გამოთქმული აზრები ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებს არა მარტო პირადად ჩემში, არამედ გერმანიის მთავრობაშიც.** მე ვიზიარებ თქვენს რწმენას იმაში, რომ **რაპალოს ხელშეკრულობის საფუძველზე დაწყებული მეგობრული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ემსახურება ორთავე ქვეყნის ინტერესებს.** გამოვსთქვამ გულწრფელ სურვილს, რომ ამ ხელშეკრულობებში გამოხატულმა პრინციპებმა შეინარჩუნონ თავისი ძალა მომავალშიაც და ხელი შეუწყონ საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვას. **შტრეზემანი**“. (ადს).

იაპონიის მთავრობის კრიზისის გარშემო

იმპერატორის საიდუმლო საბჭოს სხდომა

ტოკიო, 18 აპრილი. ახალი მთავრობის შედგენამდე ვაკაცუკი რჩება თავის ადგილზე. კაკუმინი აცხადებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ შეადგენს კაბინეტს, ოღონდ ახალმა მთავრობამ შეასრულოს შემდეგი სამი საქმე: აღადგინოს და მოაწესრიგოს ფინანსები, დაადგეს უფრო გადამწყვეტი პოლიტიკის გზას ჩინეთის მიმართ და გაატაროს უმაღლესი პალატის რეფორმები.

შესდგა იმპერატორის საიდუმლო საბჭოს სხდომა, რომელსაც მთავრობის ყველა წევრები დაესწრნენ.

საბჭოს ზოგიერთი წევრები სასტიკად აკრიტიკებდენ შიდეხარას პოლიტიკას და ამტკიცებდენ, რომ ამ პოლიტიკამ შელახა იაპონიის პრესტიჟი. შიდეხარა უარყოფდა ამას და მოითხოვდა საბუთს. მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში არსებითად უცვლელი დარჩება, სეიუკაის პარტიამაც რომ შეადგინოს მთავრობა. (ადს).

გენერალი ტანაკა — მომავალი პრემიერი

ტოკიო, 18 აპრილი. „შიმბუნ რენგოს“ სააგენტო იუწყება, რომ პრემიერად, ალბად, დანიშნული იქნება სეიუკაის პარტიის თავმჯდომარე გენერალი ტანაკა. (ადს).

გალაშქრება ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ

(წერილი ინგლისიდან)

ბოლდუინის მთავრობა — ინგლისის ბურჟუაზიის აღმასრულებელი კომიტეტი — არ კმაყოფილდება მიღწეულ გამარჯვებებით. როგორც კი მან მოახერხა მემაღაროეთა დამარცხება, რეფორმისტ ბელადების მოღალატურ პოლიტიკის წყალობით, ის კვლავ შეუდგა მუშაობას თავისი გამარჯვებების გასაღრმავებლად, დაკავებულ პოზიციების განსამტკიცებლად და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველ ახალ ლეგალურ საშუალებათა გამოსაძებნად. კაბინეტთან გამოიყო სპეციალური კომიტეტი, რომელსაც უნდა შეემზადებია კანონპროექტი ტრედ-იუნიონების იმ უფლებათა შესაზღუდავად თუ გასაუქმებლად, რომლებიც მოიპოვა მუშათა კლასმა თითქმის საუკუნოებრივ სასტიკი ბრძოლების გზით.

ხსენებულმა კომიტეტმა, რომელიც შესდგება ბოლდუინის მთავრობის ყველაზე უფრო რეაქციონურ ელემენტებისაგან, გამოიმუშავა კანონპროექტი, რომელიც წარედგინა თემთა პალატას. ამ კანონ-პროექტით უკანონოდაა გამოცხადებული ყოველგვარი გაფიცვა, რომელიც სხვა მიზანს ისახავს, გარდა წმინდა სამრეწველო კონფლიქტისა **დაინტერესებულ მრეწველობის** მეპატრონეთა და ამ მრეწველობაში მომუშავეთა შორის და რომელიც მიზნად დაისახავს სახელმწიფოს იძულებას ან რომელიმე გაერთიანების ან მისი ნაწილის დაშინებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ არა თუ საერთო გაფიცვა იქნება გამოცხადებული უკანონოდ, არამედ ყოველივე გაფიცვა მუშათა კლასის ერთი ნაწილის მხრივ, თუ ამ გაფიცვას ექნება სოლიდარობის ხასიათი გაფიცულ თანამოძმე სხვა დარგის მუშებისადმი.

დაჯარიმება ათი გირვანქა სტერლინგიდან დაწყებული ვიდრე ორ წლამდე დაპატიმრებით გათვალისწინებულია ყველა იმათთვის, ვინც გამოაცხადებს, წააქეზებს, ურჩევს ან მიიღებს მონაწილეობას უკანონო გაფიცვაში. გარდა ამისა ყოველგვარი მონაწილეობა ასეთ გაფიცვაში განიხილება და დაისჯება როგორც სამუშაო ხელშეკრულების დარღვევა.

რომ ამ ვერაგული კანონის ცხოვრებაში გატარება გაიადვილონ, მათმა ავტორებმა დიდის წინდახედულობით გახვიეს ის ბუნდოვან, გაუგებარ გამოთქმებში.

საქმე ამით არ თავდება. ამ მუხლებს აქვს თავისებური დამატებანი. „ტრედ-იუნიონის წევრი, რომელიც უარს იტყვის „უკანონო“ გაფიცვაში მონაწილეობაზე, არ შეიძლება გარიცხულ იქნეს ამისათვის კავშირიდგან. ის არ კარგავს აგრეთვე კავშირის წევრის უფლებებს. **გარდა ამისა, თუ გაფიცვების დროს, რომლებიც ამ პროექტით აღიარებულ არიან უკანონოთ და რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ პროექტის წარდგენამდის** (საქმე შეეხება უმთავრესად შტრეიკბრეხერებს უკანასკნელ გაფიცვების დროს) **მუშები გარიცხულ იქნენ თავის კავშირებიდან, ისინი აღდგენილ უნდა იქნენ კავშირის წევრის უფლებებში და უფლება აქვთ მოსთხოვონ თავიანთ კავშირებს კომპენსაცია.**

აკრძალულია გავლენის მოხდენა მუშებზე მათ გაფიცვაში ჩაბმის მიზნით. ყველა, ვინც მივა იმ მუშასთან, რომელიც გაფიცვის დროს რჩება სამუშაოზე, მასზე გავლენის მოხდენის მიზნით, **სადაც არ უნდა იყოს ეს,** იქნება დასჯილი როგორც დამშინებელი.

კონსერვატიული მთავრობა მფარველობს მუშათა კლასის გამცემლებს, მათზე ზრუნვა დაიწყო ბოლდუინმა საერთო გაფიცვის დასრულებისას.

კონსერვატიულმა მთავრობამ ვერ გაბედა ისე შორს წასვლა, რომ წაერთმია ტრედ-იუნიონებისათვის ყველა პოლიტიკური უფლებები. მაგრამ ამ მხრივ მან გადადგა პირველი ნაბიჯი, რომელსაც ალბად მოჰყვება შემდეგი.

პროექტი ერთიანად სცვლის აქამდე არსებულ მეთოდს „პოლიტიკურ“ ანარიცხების აკრებისა. აქამდე კავშირის წევრს, პოლიტიკურ ანარიცხებისაგან განთავისუფლებისათვის უნდა შეეტანა განცხადება, რომლითაც ის უარს ამბობდა თავის კავშირის პოლიტიკურ ფონდისთვის ანარიცხების გაღებაზე.

მომავალში, კავშირის წევრმა უნდა შეიტანოს განცხადება, რომ ის თანახმაა გაიღოს „პოლიტიკური“ ანარიცხები. ზოგიერთი კონსერვატორი მოითხოვდა, რომ ეს განცხადება განახლებული ყოფილიყო ყოველ წელს. კანონპროექტი ამყარებს სასტიკ წესს პოლიტიკურ ფონდის გამოყენებისა და მომავალში ყველა ტრედ-იუნიონმა, მიუხედავათ იმისა, რეგისტრაციაში გატარებულია ის თუ არა, უნდა წარმოადგინოს ყოველწლიური ბალანსი მათი პოლიტიკური ფონდისა.

კანონი უკრძალავს მოსამსახურეებს მონაწილეობას იმ კავშირში, რომელიც დაკავშირებულია სხვა კავშირთან, ფედერაციასთან თუ პოლიტიკურ პარტიასთან. დამნაშავენი დაისჯებიან სამსახურისგან დაუყოვნებლივ დათხოვნით.

არც ერთ მუნიციპალურ ადმინისტრაციას არ აქვს უფლება აიძულოს მოსამსახურე; რომელიმე კავშირში მონაწილეობაზე.

კანონ-პროექტი თავისთავად არ არის მოულოდნელი რამ. რამდენიმე კვირაა კონსერვატიულ პარტიისაგან მომდინარე ინფორმაციები გვამცნობდენ, თუ რა მზადდებოდა მალულად. ჰენდერსონმა და სნოუდენმა და მუშათა პარტიის სხვა გამყიდველ ბელადებმა თითქოს ძალიან გაიკვირვეს ეს ამბავი. მორთეს ყვირილი ძალა-უფლების ბოროტად გამოყენების და ბოლდუინის მთავრობის პოლიტიკურ უსინიდისობის შესახებ. ეს ფარისევლური ოხვრა და ქაქანი ვერავის ვერ დაარწმუნებს და ვერ დაავიწყებს, რომ რამდენიმე თვეა, რაც მუშათა პარტიის და ტრედ-იუნიონის გამყიდველმა ბელადებმა იცოდენ ყველა ეს და მათ არაფერი იღონეს, არაფერი მოაწყეს, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ბოლდუინისათვის. პირიქით, მათ ყოველი ღონე იხმარეს, რომ ჩაეხშოთ იმათი ხმა, ვინც მუშათა კლასს მოუწოდებდა მოახლოვებულ საფრთხისათვის მომზადებულად შესახვედრად. გაერთიანებისაკენ მოწოდებაზე მათ უპასუხეს მუშათა მოძრაობის დაშლის პოლიტიკით, თვით იმ მომენტში, როცა მათ იცოდენ, რომ მთავრობა იწყებდა იერიშზე გადასვლას.

პ. დავიდ.

ლონდონი, 5 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო-საზღვაო ძალების კონცენტრაცია

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. „ასოშიეიტედ პრეს“-ის სააგენტო აღნიშნავს სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერებულ კონცენტრაციას მდინარე იან-ცზეზე. ხანკოუში თავმოყრილია უცხოეთის 36 სამხედრო გემი. სააგენტოს აზრით; ახლო მომავალში ხანკოუს რაიონში მოსალოდნელია დიდი ამბები. (ადს).

თავდასხმა „კომუნისტურ კავშირებზე“

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, სვატოუში გომინდანელები თავს დაესხნენ „კომუნისტურ კავშირებს“. შეტაკებას მრავალი მსხვერპლი მოჰყვა. შანხაიში სამხრეთელთა ჯარის ნაწილები თავს დაესხნენ მეზღვაურთა კავშირს. (ადს).

კუკი ინგლისის სამთამადნო მუშათა შესახებ

ლონდონი; 18 აპრილი. მიტინგზე გამოსვლის დროს კუკმა განაცხადა:

„ველსში მნიშვნელოვნად შემცირდა სამთამადნო მუშათა სამუშაო ხელფასი, რის გამო მათ მოუხდებათ ახალი ბრძოლის დაწყება სამუშაო ხელფასის არსებული დონის დასაცავად. სამხრეთ უელსის სამთამადნო მუშათა ერთი მესამედი ნაწილი სექტემბრამდე ისევე უსაქმოდ დარჩება“. (ადს).

უცხოელთა ჯარები შანხაიში

შანხაი, 18 აპრილი. გაზეთების ცნობებით შანხაიში მყოფ უცხო ჯარების საერთო რაოდენობა აღწევს 40000 კაცს; მათგან 20000 ინგლისის ჯარი, ამერიკის 9.000; იაპონიის 5.000, საფრანგეთის 3000, ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის და ჰოლანდიის—3.000 კაცი. (ადს).

ცინარსკის მკვლელის დაპატიმრება

ვარშავა, 18 აპრილი. ლოძში დააპატიმრეს ორი უმუშევარი, რომლებიც გამოტყდენ ლოძის ქალაქის თავის ცინარსკის მოკვლაში. დაპატიმრებულებმა განაცხადეს, რომ ცინარსკი მათ მოკლეს შურისძიების ნიადაგზე საზოგადოებრივ სამუშაოდან მათი დათხოვის გამო. (ადს).

ეგვიპტის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 19 აპრილი. გადადგა ეგვიპტის, ადლი-ფაშას მთავრობა. „ტაიმსის“ კორესპონდენტს ადლი-ფაშამ განუცხადა რომ ზაგლულ ფაშას მომხრეთა განუწყვეტელი თავდასხმის გამო მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკაზე, მთავრობის მდგომარეობა აუტანელი იყო. (ადს).

სოციალ-დემოკრატები შეთანხმებული დემონსტრაციების წინააღმდეგ

ბერლინი, 18 აპრილი. გერმანიის თითქმის ყველა კუთხეში, კომპარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წინადადება მისცეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას პირველ მაისს გაერთიანებული დემონსტრაციების მოწყობის შესახებ. მრავალ ადგილას, სოციალ-დემოკრატებმა ან მთლად სულ არაფერი უპასუხეს, ან და უარყვეს კომპარტიის წინადადება. ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ბერლინში, ჰამბურგში და ხემნიცში. მიუხედავად ამისა მთელი რიგ ქალაქებში მაინც მიღწეულ იქნა შეთანხმება ერთად გამოსვლის შესახებ პირველ მაისს. (ადს).

სრ. საკ. საბჭ. ყრილ. მორიგი სხდომა

მოსკოვი, 19 აპრილი. სრულ. საკავშირო საბჭოთა ყრილობის მორიგი სხდომა შესდგება 20 აპრილს დილის 10 საათზე. (ადს).

უმუშევრების სავალდებულო რეგისტრაცია

მოსკოვი, 19 აპრილი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სავალდებულოდ გამოაცხადა კავშირის უმუშევარ წევრთა რეგისტრაცია.

კომკავშირელთა დემონსტრაცია ჰამბურგში

ბერლინი, 19 აპრილი. გერმანიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ყრილობასთან დაკავშირებით, 17 აპრილს ჰამბურგში გაიმართა მასიური დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გერმანიის ყოველ კუთხიდან თავმოყრილმა 25.000 კომკავშირელმა.

დემონსტრანტების ნაწილმა მანიფესტაცია მოაწყო ინგლისის საკონსულოს წინ, ამასთან ხმამაღლა გაისმოდა აღშფოთება ინგლისის იმპერიალიზმის მოქმედების გამო ჩინეთში. დემონსტრაციას წინ მიუძღვოდენ უცხოელი დელეგატები და, აგრეთვე, კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლები.

ქალაქის ბაღში გამართულმა მანიფესტაციამ მიიზიდა 40.000-დე მონაწილე, 500 დროშით. ორატორები (მათ რიცხვში ახალგაზრდათა კომ. ინტერნაციონალის წარმომადგენლებიც გამოდიოდენ) გომინდანის მემარჯვენე ლიდერების ღალატს და მოუწოდებდენ შემჭიდროებული წინააღმდეგობის გაწევისაკენ იმპერიალისტური ომის პროვოკაციის წინააღმდეგ. რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაოზე დემონსტრანტებმა პატივი სცეს დაღუპულ გმირების ხსოვნას.

(ტას)

მონარქიაზე ოცნებობენ

ვენა, 1 აპრილი. უნგრეთის პრემიერმა ბეტლენმა რომში გამგზავრების შედეგების შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„გამგზავრების უმთავრესი მიზანი იყო უნგრეთის ზღვისაკენ გასავლის საკითხის მოგვარება და მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების დადება. პირველი საკითხის შესახებ ხელმოწერილ იქნა ოქმი, მაგრამ აუცილებელია მოლაპარაკება დეტალების შესახებ, ვინაიდან საკითხი მხოლოდ პრინციპიალურად არის გადაწყვეტილი“. საფრანგეთის დიპლომატიური წრეების იმ ცნობის შესახებ, რომ ვითომც იგი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა იტალიის გენერალური შტაბის უფროს ბადალიოსთან, ბეტლენმა განაცხადა:

„მე ბადალიოს შევხვდი აშკარად, როგორც სხვა დიპლომატებს. ხელშეკრულობის დადება მეგობრობის შესახებ ნიშნავს იტალიასთან ჩვენი ურთიერთობის გაღრმავებას და აქტივიზაციას. თუ იქნება ამის საქმით დამტკიცების შემთხვევა, უნგრეთის მთავრობა სათანადო დასკვნებს გააკეთებს“.

დასასრულ ბეტლენმა სთქვა, რომ საკითხს უნგრეთში მონარქიის აღდგენის შესახებ არ შეხებიან მისი რომში ყოფნის დროს, ვინაიდან ეს შინაური პოლიტიკის საკითხია. მაგრამ უნგრეთი მაინც ისწრაფვის ეს საკითხი გადასწყვიტოს სახელმწიფოებთან შეთანხმებით. **„უნგრეთი, განაცხადა ბეტლენმა,—შეეცდება ფაშიზმიდან აიღოს ყოველივე სასარგებლო, განსაკუთრებით ეკონომიურ და სოციალურ დარგში. ამის გამო უნგრეთის მთავრობა ჯერ კიდევ ამ წელში გაგზავნის კომისიას ფაშისტური მართველობის სისტემის შესასწავლად“.** (ადს).

შიმშილობა ციხეებში

ვენა, 19 აპრილი. ორესტის ციხის პოლიტიკურმა პატიმრებმა მიტროვიცაში (სამხრეთ-სლავია) 15 აპრილს შიმშილობა გამოაცხადეს პროტესტის ნიშნად ცუდი მოპყრობისა და სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად მოთავსების წინააღმდეგ. მათ შორის, ვინც სიმშილობა გამოაცხადეს, არიან: პუბლიცისტი **პიადე** რომელიც ციხეში ზის არალეგალური ორგანოს „კომუნისტი“-ს გამოცემისათვის, **სტეიაჩი,** რომელიც მეფეს დაესხა თავს 1921 წ. და აგრეთვე **ჩოლაკოვიჩი,** რომელიც მუშათ ალიაპიჩის თანამონაწილეა შინაგან საქმეთა მინისტრის დრაშკოვიჩის მკვლელობაში 1921 წ. (დრაშკოვიჩი იყო მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების ავტორი. (ადს).

ფრანგ მენშევიკების ყრილობა

პარიზი, 18 აპრილი. ლონდონში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა ყრილობაზე მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს პოლ ბოუკურის მოღვაწეობის წინააღმდეგ ერთა ლიგაში. მიუხედავათ ამისა მემარცხენე ფრთამ ვერ გაბედა თავისი პოზიციების მტკიცედ დაცვა და დასთანხმდა რეზოლიუციის გამომუშავების გადაცემაზე კომისიისათვის. (ადს)

ფაშიზმის წინააღმდეგ

პარიზი, 18 აპრილი. იტალიის უნიტარების, მაქსიმალისტების, რესპუბლიკანელების პარტიებისა და შრომის კონფედერაციის საზღვარგარეთელმა ორგანიზაციებმა დაარსეს გაერთიანებული ანტიფაშისტური ასოციაცია. ასოციაციის ცენტრალურ კომიტეტში შედიან კლავდიო, ტრევეს, მოდილიანი და სხვ. (ადს)

ლერუს გარდაცვალება

პარიზი, 18 აპრილი. ნიცაში გარდაიცვალა ცნობილი რომანისტი გასტონ ლერუ. (ადს)

აფეთქება

ვენა, 18 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, გალაცში პიროტეხნიკურ მასალების საწყობის აფეთქების დროს დაიღუპა 6 კაცი, დაჭრილია 8.

მთავრობას დაეძებენ

ვენა, 18 აპრილი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, უზუნოვიჩის მთავრობის გადადგომის გამო, ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ყოფილ განათლების მინისტრს ბუკიჩევიჩს. (ადს).

საკო და ვანცეტი

ნიუ-იორკი, 18 აპრილი. **საკოსა და ვანცეტის საქმეზე გამოტანილ სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც ათი ათასამდე კაცი დაესწრო.** მიტინგს დაესწრენ კომუნისტები, ანარქისტები და ლიბერალები. მიტინგმა გამოიტანა რეზ-ცია, რომელიც მოითხოვს სრ.-ამერიკის კონფერენციის მოწვევას პროტესტის ნიშნად საყოველთაო გაფიცვის მოსაწყობად. სოციალისტებმა არ მიიღეს მონაწილეობა მიტინგში და საკუთარი მიტინგი გამართეს. (ადს).

ისევ რიფები

მღელვარება ფართოვდება

ლონდონი, 18 აპრილი. „ტაიმსი“ იუწყება მეამბოხეთა მოძრაობის გაძლიერების შესახებ რიფის ოლქში. **ესპანეთის მთავრობამ გასცა ბრძანება ჯარების კონცენტრაციის შესახებ აჯანყებულ რაიონების საზღვრებზე. საზღვრების დაცვა გააძლიერა აგრეთვე საფრანგეთის სარდლობამაც.** (ადს).

კომუნისტების დევნა

ამსტერდამი, 18 აპრილი. ინდონეზიიდან მიღებული ცნობით, **ამ დღეებში ახალ გვინეაზე გაგზავნეს იმ კომუნისტების ერთი პარტია, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ უკანასკნელ აჯანყებაში. ამ ტრანსპორტით გადასახლებულ** იქნა 60 კომუნისტი ცოლებით და შვილებით.

წინად გაგზავნილი პირველი ტრანსპორტი 45 კაცის რაოდენობით უკვე ჩავიდა ახალ გვინეაზე. (ადს3).

კანონ-პროექტი

პროფკავშირების წინააღმდეგ

ლონდონი, 19 აპრილი. შაბათსა და კვირას ინგლისის პროფკავშირების წლიურ კონფერენციებზე მიღებულ იქნა სასტიკი საპროტესტო რეზოლიუციები პროფკავშირების შესახებ გამომუშავებულ კანონპროექტის წინააღმდეგ.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციამ ლისტერში ერთხმად მიღო რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს კანონპროექტს და მოითხოვს ამომრჩეველთა დაკითხვას პარლამენტის გაშვებისა და ახალი არჩევნების დანიშვნის გზით. (ადს).

კომკავშირელების

პროცესი

ვენა, 18 აპრილი. 16 აპრილს გრაცის საოლქო სასამართომ გამოიტანა განაჩენი 14 კომკავშირელის საქმეზე, რომელნიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი მოწაფეთა და ახალგაზრდა მუშებს შორის არალეგალურ გაერთიანებათა მოწყობის და კომუნისტურ პროპაგანდისათვის. კომკავშირელს დავიდოვს, სასამართლომ მიუსაჯა 12 ნახ. წლის ციხე და 2.000 დოლარი ჯარიმა, კომკავშირელს ალექსეევს 4 წლის ციხე. დანარჩენებს მისჯილი აქვთ ციხე სხვადასხვა ვადით. (ადს)

დიდი ხანძარი

ვენა, 18 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის ქალაქის ბუხაეშის დიდი ნაწილი დაიწვა. უთავშესაფაროდ დარჩა ასეული ოჯახები. (ადს)

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ორნი არიან—ტოლნი არიან...

თავისი უკანასკნელი მოღალატური გამოსვლებით ჩინელ მუშების წინააღმდეგ ჩან-კაი-შიმ საყოველთაოდ ცხადჰყო, რომ აღარ არსებობს განსხვავება მუკდენის დესპოტ ჩან-ძო-ლინსა და ჩან-კაი-შის შორის. ამიერიდან ორთავე მახვილს წარმოადგენენ იმპერიალიზმის ხელში.

დეპეშებიდან.



რა ხდება უცხოეთში

იმპერიალისტები ჩინეთში

პეკინის დიპლომატიური უბანი

იმის შემდეგ, რაც 1900 წ. ბოქსერთა აჯანყება სისხლში იქნა ჩაღრჩობილი, ჩინეთი იძულებული შეიქნა დასთანხმებულიყო იმპერიალისტების მიერ წარმოდგენილ მთელ რიგ მეტად მძიმე და სამარცხვინო პირობების მიღებაზე. ეს მოთხოვნილებები მოყვანილია ე. წ. „ბოქსერთა ოქმში“, რომელიც ხელმოწერილია ერთი მხრივ ჩინეთისა და მეორე მხრივ 11—იმპერიალისტურ სახელმწიფოს მიერ—ავსტრია, უნგრეთი, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია, იაპონია, ჰოლანდია, მეფის რუსეთი, ესპანეთი და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ. ეს უკანასკნელები არიან ე. წ. „ოქმზე ხელის მომწერი სახელმწიფოები“ („протокольные державы“) რომლებიც ხშირად იხსენებიან დეპეშაში.

„ბოქსერთა ოქმის“ მთავარი პირობა შემდეგში მდგომარეობდა: ჩინეთს დაეკისრა „ანაზღაურების“ სახით მეტად დიდი თანხის („ბოქსერთა კონტრიბუცია“)—630 მილიონი მანეთის გადახდა. ეს კონტრიბუცია უზრუნველყოფილი იქნა ჩინეთის საბაჟოების შემოსავლით. შემდეგ, „ოქმზე ხელის მომწერ სახელმწიფოებს“ უფლება მიეცათ დაეკავებიათ, გაემაგრებიათ და მომავალშიც ხელში ჰქონოდათ მართვა-გამგეობა პეკინის იმ უბანს, სადაც იმყოფებოდენ უცხოეთის საელჩოები. ამ დღიდან ამ უბანს დაერქვა „დიპლომატიური უბანი“, „ოქმზე ხელის მომწერ სახელმწიფოებს“ უფლება მიეცა აგრეთვე „დიპლომატიურ უბანში“ ჰყოლოდათ შეიარაღებული ძალები საელჩოების „დასაცავად“, შეიარაღებული ძალით „დაეცვათ“ მიმოსვლა პეკინიდან ზღვამდე და აგრეთვე უფლება თავიანთი გარნიზონები ჩაეყენებიათ ზოგიერთ პუნქტებში სარკინიგზო ხაზების გასწვრივ.

ამრიგად, „ბოქსერთა ოქმის“ თანახმად, დიპლომატიური უბანი პეკინში სარგებლობს ექსტერიტორიალობით (ე. ი. ამ უბანზე არ ვრცელდებოდა ჩინეთის ხელისუფლების კანონები და სხვა) და მას მართავენ „ოქმზე ხელისმომწერი სახელმწიფოები“. ამჟამად „ოქმზე ხელისმომწერ სახელმწიფოების რიცხვი შემცირდა რვამდე: საბჭოთა კავშირმა თავისი ნებით განაცხადა უარი მეფის რუსეთის მიერ მიღებულ ყველა განსაკუთრებულ შეღავათებზე და პრივილეგიებზე, გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთს ეს უფლებები წაერთვა ვერსალის ხელშეკრულებით.

საბჭოთა საელჩოს შენობა პეკინში იმყოფება დიპლომატიური უბნის ტერიტორიაზე. უკანასკნელის ექსტერიტორიალობის გამო, ჩინეთის პოლიციას, ჟანდარმერიასა და ჯარებს, რომლებმაც მოაწყვეს თავდასხმა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ბინებზე, დიპლომატიურ უბანში შემოსვლა შეეძლოთ მხოლოდ „ოქმზე ხელის მომწერ“ 8 სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლების დასტურით.

საერთაშორისო უბანი შანხაიში

მეცხრამეტე საუკუნის შუა ათეულ წლებიდან ინგლისი ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებებით ღებულობს სხვადასხვა ნავთსადგურებში ე. წ. „კონცესიების“ შექმნის უფლებას. ინგლისის შემდეგ ამ გზას ადგება საფრანგეთი. ინგლის საფრანგეთს ბაძავენ სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები, მათ რიცხვში მეფის რუსეთიც.

„კონცესიათ“ იგულისხმება ქალაქის ნაწილი, სადაც მმართველობა და პოლიცია უცხოელების ხელშია. უმაღლეს ხელისუფლებას კონცესიის ტერიტორიაზე წარმოადგენს იმ სახელმწიფოს კონსული, რომელსაც კონცესია ეკუთვნის. მთელი ტერიტორია ითვლება „იჯარით“ მიცემულათ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ფლობს კონცესიას.

შანხაის საერთაშორისო უბანი („სეტლმენტი“) ბევრით განსხვავდება ჩვეულებრივ კონცესიებისაგან. მმართველობა და პოლიცია უბანში ეკუთვნის მუნიციპალურ საბჭოს, რომელსაც ირჩევენ ყველა უცხოელები, რომლებიც გადასახადს იხდიან. მუნიციპალური საბჭო მოქმედობს შანხაიში მყოფ უცხოელ კონსულების მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ. უცხოელი კონსულები კი თავის მხრივ ემორჩილებიან დიპლომატიურ კორპუსს პეკინში. გადასახადის გადამხდელი ჩინელები, რომლებსაც აწევთ გადასახადების უმეტესი ნაწილი საერთაშორისო უბანში, დღემდე არ სარგებლობენ მუნიციპალურ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებით. რადგან გადასახადის გადამხდელ უცხოელთა შორის უმრავლესობას ინგლისელები შეადგენენ, მათვე ეკუთვნის უმრავლესობა მუნიციპალურ საბჭოში, ე. ი. ისინი ფაქტიურად მართავენ მთელ საერთაშორისო უბანს. მუნიციპალურ საბჭოს ცხრა წევრიდან—6 ინგლისელია, ორი იაპონელი და ერთი ამერიკელი. მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარეა ამერიკელი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობა, თანამდებობა მუნიციპალურ საბჭოს მდივანის, რომლის ხელშია მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება ინგლისელს უჭირავს.

საერთაშორისო უბნის და აგრეთვე მის მეზობლად მდებარე საფრანგეთის კონცესიის მოსახლეობა, 1920 წლის აღწერით შეადგენდა 930.000 კაცს, აქედან 900.000 მეტი ჩინელია და მხოლოდ 26.867 უცხოელი. (უკანასკნელად მომხდარ ამბებამდე მოსახლეობა 1.100.000-დი აღწევდა), რიცხვი გადასახადის გადამხდელ უცხოელების, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებით, შეადგენს მხოლოდ 3.000.

პოლიცია საერთაშორისო უბანში მუნიციპალურ საბჭოს ხელშია. მუნიციპალურ პოლიციაში ბევრია რუსი თეთრგვარდიელი, რომელთაც ხელმძღვანელობს ყოფ. მეფის „ოხრანნიკი“ კედროჩივანსკი.

სხვადასხვა

ინგლისის მოსახლეობა

ლონდონი, 18 აპრილი. „დეილი მეილ“-ის ცნობით, სრული მოხსენება 1921 წლის აღწერის შესახებ მოწმობს, რომ ინგლისში და უელსში 1,736,221 სულით მეტია ქალი, ვინემ მამაკაცი, ხოლო მთელი მოსახლეობა შეადგენს 37,886,699 კაცს; 1911 წელს კი შეადგენდა 36,070,492 კაცს. 1920 - 25 წელს 1,470 უქმარო ქალზე მოდის 1000 უცოლო.

მისისიპის ადიდება

ლონდონი, 18 აპრილი. „დეილი-მეილ“-ის ნიუ-იორკელ კორესპონდენტის ცნობით, მისისიპი ნაპირებიდან გადმოვიდა და დაფარა არკანზას ტენესის, კენტუკს, ლუიზიანის შტატების დაბლობები. დაახლოვებით 20,000 კაცი უთავშესაფაროდ დარჩა. (ადს)

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია გენერალურ სამრეწველო ხელშეკრულებათა შესახებ

მოსკოვი, 19 აპრილი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა მოახდინა „ცენტროსოიუზის“ და მთელ რიგ სინდიკატებს შორის დადებულ გენერალურ ხელშეკრულებათა პრაქტიკის გადასინჯვა. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ხელშეკრულებათა დადების დროს ადგილი ჰქონია საქმის გაჭიანურებას, სახელშეკრულობო დისციპლინის დარღვევას ორთავე მხარის მიერ და მთელ რიგ სხვა ნაკლულოვანებებს. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა მიიღო მთელი რიგი ზომები ამ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად (ადს).

გაზ. „ზვეზდა“-ს იუბილე

დნეპროპეტროვსკი, 19 აპრილი. 1 აპრილს ერთ-ერთმა უძველესმა პროვინციალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ზვეზდა“-მ გადაიხადა ათი წლის იუბილე. გაზეთმა ბევრი მისალმებანი მიიღო. იუბილეს გამო გამართულ საზეიმო კრებაზე მონაწილეობა მიიღო 2.000 მეტმა კაცმა. (ადს).

მუშური სოლიდარობა

მოსკოვი, 19 აპრილი. საკავშირო მეტყევეთა კავშირის ცეკამ ნორვეგიის მეტყევეთა კავშირისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც იგი თხოულობს დახმარებას ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშებისათვის. მეტყევეთა კავშირის ცეკამ წერილის საპასუხოდ გაგზავნა 5.000 მან.

მაუდის ქსოვილი

მოსკოვი, 19 აპრილი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა მაუდის და მატყლის ქსოვილთა შემოტანის გეგმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალისათვის. გეგმის თანახმად, მესამე კვარტალში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება მაუდის და მატყლის ქსოვილი 540.000 მან. რაოდენობით. (ადს).

ყოფ. თავად დოლგორუკოვის დაპატიმრება

ხარკოვი, 19 აპრილი. ყოფილ თავად დოლგორუკოვის დაპატიმრების გამო სახელმწ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარემ უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა შემდეგი:

„1917 წლის ნოემბერში დოლგარუკოვი დაპატიმრებულ იქნა პეტროგრადში, მაგრამ გაიქცა და როგორც საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მტერი სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული. ამის შემდეგ დოლგორუკოვმა თავისი ბედი დაუკავშირა მონარქისტულ ემიგრაციას, სადაც იგი არჩეულ იქნა ეგრედ წოდებულ ნაციონალურ კომიტეტში.

1924 წლის ზაფხულზე დოლგორუკოვი საბჭოთა საზღვარზე გადმოვიდა პოლონეთის მხრიდან და როცა დაპატიმრებულ იქნა საბჭოთა სანაპირო რაზმის მიერ, თავისი გვარი და ვინაობა დამალა. დოლგორუკოვმა მალე მოახერხა საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ გაქცევა.

1926 წლის ივნისში დოლგორუკოვი მეორედ შემოვიდა საბჭოთა კავშირში რუმინეთის საზღვრიდან. როცა ის დააპატიმრეს, მან კვლავ დაფარა თავის ვინაობა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოფნის დროს მას ჰქონია მიმოწერა ნაციონალურ კომიტეტთან, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ პასიობა მავნებელია და აუცილებელია ანტიბოლშევიკური ელემენტების, განსაკუთრებით ოფიცრების შეკავშირება, რათა საჭირო მომენტში — საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის შეიარაღებული შეტაკების დროს საბჭოთა კავშირს დაესხათ ზურგიდან.

კერძოდ დოლგორუკოვი აუცილებლად სცნობდა ოფიცრების გაგზავნას ემიგრაციიდან საბჭოთა კავშირში. ემიგრაციის ერთ-ერთი ამოცანა მისი სიტყვით, მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზრი განწყობილ იქნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დოლგორუკოვი სცნობს, რომ საბჭოთა კავშირთან აქტიური ბრძოლის ერთადერთი ფორმაა პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკადა.

საზღვრებზე გადმოსვლის შემდეგ დოლგორუკოვი ჩავიდა ხარკოვში და კავშირი გაება ძველ ნაცნობებთან — ერობისა და სათათბიროს კადეტ მოღვაწეებთან. დოლგორუკოვი შეეცადა შეუდგომოდა თავის გეგმების პრაქტიკულად განხორციელებას და ორგანიზაციების შექმნას „ხუთეულთა“ სისტემით, რისთვისაც მთელი ძალ-ღონით შეეცადა საიდუმლო „ხუთეულის“ შექმნას თავისი ხარკოველი მეგობრებისაგან. მაგრამ დოლგორუკოვის ყოფილი მეგობრებიც კი კადეტთა პარტიიდან არ დაეთანხმნენ ამაზე.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ემიგრაციის პრესაში ამას წინედ მოთავსებული იყო მთელი წერილები დოლგორუკოვის „მხეცური დახვრეტის“ დაწვრილებითი ცნობების აღწერით.

ამ წერილებმა მხოლოდ ღიმილი გამოიწვია დოლგორუკოვში, რომელიც ამჟამად სახელმწ. პოლიტსამმართველოში ზის (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 18 აპრილი. 18 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: ედეგორდი—არაკვალიფიციური მუშათა წარმომადგენელი, და აგრეთვე იონსონი — ქიმიურ მრეწველობის მუშათა კავშირის თავმჯდომარე. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი მოსკოვში ჩამოვიდენ იმ მიზნით, რომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს გააცნონ ნორვეგიის იმ მუშათა მდგომარეობა, რომელთაც ლოკაუტი აქვს გამოცხადებული და რომელნიც დახმარებას საჭიროებენ. (დას)

საკავშირო საბჭოთა ყრილობა

ამხ. კალინინის სიტყვა

მოსკოვი, 19 აპრილი. სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის შემდეგ ჩვენ არა ერთხელ გვსმენია, რომ ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, საბჭოთა აღმშენებლობამ და კულტურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა წინ. ეს, რასაკვირველია, მართალია. თქვენ, საბჭოთა საკავშირო ყრილობის დელეგატები ამას ხედავთ საკუთარი თვალებით, საკუთარი გამოცდილებით. თქვენ არა როგორც მაყურებელნი, არამედ უშუალოდ საკუთარი ძალ-ღონით აღწევთ ამ შედეგებს. ამიტომ, როცა მთავრობის წარმომადგენლები გამოდიან თქვენს წინაშე კონკრეტიული ფაქტებით, ციფრებით და დიაგრამებით, რომლებიც გვიხატავენ მიღწევებს — ეს არის მხოლოდ ჯამის გაკეთება, ცალკე მიღწევების შეერთება. დღევანდელი დღის ყველაზედ უფრო დამახასიათებელი მოვლენაა ის, რომ დაწყებული რუს თეთრგვარდიელებიდან და გათავებული მაგარშუბლიან კონსერვატორებით ინგლისში, ამ მიღწევებს აღიარებენ ყველანი. ამ ფაქტს აქვს უფრო დიდი მნიშვნელობა, ვინემ მას აძლევენ. ეს ფაქტი თამაშობს უფრო დიდ როლს, ვინემ ეს ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს. აქამდის მსოფლიო იმპერიალისტური ბურჟუაზია თავს ინუგეშებდა ილიუზიებით საბჭოთა წყობილების უნიადაგობის და შინაგანი წინააღმდეგობების შესახებ. ამ საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს რუს თეთრგვარდიელებმა დაწყებული მონარქისტებიდან და გათავებული მენშევიკებით-ესერებით ათასგვარ ჭორებს და ზღაპრებს ავრცელებდენ საბჭოთა კავშირის შესახებ, ნიშნავდენ საბჭოთა წყობილების დამხობის ვადას და სხვა. ჩვენ ვხედავთ რომ ამას უკვე ბოლო ელება. კლასობრივმა მტერმა იგრძნო სასიკვდილო საფრთხე საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების კავშირის განვითარების და განმტკიცების სახით.

დიახ, საბჭოთა სოციალისტურ კავშირის მშრომელი მასების მატერიალური სიძლიერე, პოლიტიკური აქტივობა და კულტურული დონე იზრდება თვით მშრომელთა ნებისყოფით და მათი ენერგიით სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში. თვით სოციალისტური აღმშენებლობა ანვითარებს მასებში ამ თვისებებს. აი რაშია საბჭოთა წყობილების ძალა. ტყვილად კი არ გადმოდიან საბჭოების მხარეზე მეცნიერების და ტეხნიკის გამოჩენილი წარმომადგენლები.

მაგრამ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ზრდა ხომ გზას უნათებს ყველა დაჩაგრულ და გაყვლეფილებს. სოციალისტურ სახელმწიფოს ზრდა არის მზის ბრწყინვალე მხურვალე სხივები.

დღიდან ეგვიპტის პირამიდების და ჩინეთის კედლის აგებისა, ჩინეთის უკანასკნელ სისხლისმღვრელ ხოცვა-ჟლეტამდე განუწყვეტელი ძაფით მიმდინარეობს მშრომელთა ტანჯვა-წვალება. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები არ ზოგავენ თავიანთ სიცოცხლეს და ძალ-ღონეს, რომ გასწყვიტონ ეს ძაფი. აი რატომ იზრდება იმპერიალისტების ზიზღი და სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი. აი რატომ გადიქცა იმპერიალისტების მმართველ-გამგეობის ჩვეულებრივ მეთოდათ მათრახი, ხიშტი და ტყვია. მხოლოდ ამით შეიძლება აუხსნათ მუშებისადა გლეხების წინააღმდეგ და მგლების კონცერტი, რომელსაც მართავენ ჩვენ საკონსულოს ირგვლივ ჩინეთში. მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვართ დარწმუნებული ჩვენს სიმართლეში, ასე რომ არ დავიწყებთ ნერვიულობას და არ დავკარგავთ სიმშვიდეს ციებ-ცხელებაში მყოფ მსოფლიო იმპერიალისტური ხროვის წინაშე, რომელიც თავის თავს ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩინეთში ეყრდნობა „პოგრომშიკების“ იმპერიალისტურ მათრახებს. კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებს, განსაკუთრებით ჩინეთის, ბრძოლა იმპერიალისტურ მტაცებლების წინააღმდეგ, სავსებით ბუნებრივად იწვევს თანაგრძნობას საბჭოთა კავშირის ფართე მასებს შორის. ამ ნიადაგზე ჩვენი მტრები ქმნიან ლეგენდებს ჩვენი მონაწილეობის და ინიციატივის შესახებ ამ რევოლიუციონურ მოძრაობაში. ჩვენ გვთვლიან მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მომხდარ ყველა სახალხო აჯანყებების და მღელვარების ავტორებათ. ბურჟუაზიულ პრესაში გაისმის მინისტრების და ბურჟუაზიულ მოღვაწეების მოწოდებები ჯვაროსნულ ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც ამწვავებს საერთაშორისო მდგომარეობას.

თავისი თავხედობით უმაგალითო თავდასხმა ჩვენი სრულუფლებიან წარმომადგენლობის ტერიტორიაზე პეკინში, თავდასხმა, რომელიც მოახდინა ჩან-ძო-ლინის პოლიციამ, ნებადართულ და დადასტურებულ იქნა დიპლომატიური კორპუსის მიერ. დიპლომატიური კორპუსის სოლიდარობა თავდამსხმელებთან პეკინში არის საუკეთესო აგიტაცია მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, რომ იმპერიალისტები ეძებენ საბაბს იმ ბრძოლის ჩასაქრობლად, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიანობისათვის, რომ ისინი თავის ქვეყნის ხალხის ნებისყოფის და სურვილის წინააღმდეგ ცდილობენ დაარღვიონ მშვიდობიანობა.

ჩვენ ვიბრძოდით, ვიბრძვით და მომავალშიაც ყოველივე ძალღონით ვიბრძოლებთ მშვიდობიანობისათვის, მაგრამ ჩვენ არა ვართ ტოლსტოის მიმდევრები, არა ვართ წვრილბურჟუაზიული პაციფისტები. ჩვენ მივისწრაფვით მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ თუ თავს დაგვესხმიან და თუ მუშები და გლეხები იგრძნობენ, რომ მათ მონაპოვართ საფრთხე მოელის, მტერი თავის ზურგზე განიცდის საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ მასების ძალას, დაინახავს, რომ მათ შეუძლიათ თავდაცვა და მტერისათვის ლახვარის ჩაცემა.

ჩვენ მთელი თავისი ძალ-ღონით ვიბრძოლებთ მშვიდობიანობისთვის, მაგრამ თუ საჭირო შეიქმნება გაბედულათ შევხვდებით საშიშროებას და დავიცავთ მისგან საბჭოთა კავშირს. იყო დრო, როცა საბჭოების წინააღმდეგ ამხედრდა 14 სახელმწიფო. მაშინ საბჭოთა ხელისუფლება უფრო სუსტი იყო და მიუხედავათ ამისა მან მაინც წარმატებით მოიგერია თავდასხმა. ეხლა საბჭოთა ხელისუფლება გაცილებით უფრო ძლიერია. თუ მტრები თავს დაესხმებიან ჩვენ ქვეყანას, საბჭოები შესძლებენ ჩვენი მუშებისა და გლეხების მტრებისათვის სასტიკი პასუხის გაცემას“.

კალინინს სიტყვას ხშირად აწყვეტინებენ ტაშით და მოწონების ხმებით. სიტყვის შემდეგ ამხ. კალინინი სრულიად საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობას გახსნილად აცხადებს. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მძლავრი შადრევანი

ბაქო, 19 აპრილი. სადგურ ფუთასთან № 2 ჭიდან ამოხეთქა მძლავრმა შადრევანმა, რომელმაც ამოისროლა ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი ნავთი, რის შემდეგ მისი დღიური დებეტი 100.000 ფუთიდან დავიდა 40.000 ფუთამდე: (ადს):

სომხეთი

სომხეთის კომკავშირის მე-8 წლის თავი

ერევანი, 19 აპრილი. 20 აპრილს შესრულდა სომხეთის კომკავშირის ორგანიზაციების არსებობის მე-8 წლის თავი: წლის თავის გამო, „ხორურდაინ აოსტან“ და „ავანგარდი“ ათავსებენ წერილებს კომკავშირელთა მოძრაობის ისტორიის შესახებ სომხეთში. კულტურის სახლში გაიმართება მოგონებათა საღამო. (ადს).

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია

ერევანი, 19 აპრილი. სომხეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო სოფლის ელექტროფიკაციის ხუთწლიური საამშენებლო გეგმა. ა.-კ. სახ: საგეგმო კომისიის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა სასოფლო ელექტროფიკაციის თანხების გადადების შესახებ, ხოლო ისეთი ანგარიშით, რომ ცალკე სადგურების აშენება დასრულდეს ერთ წელში. (ადს).

ლენინაკანის აღსადგენად

ლენინაკანი, 19 აპრილი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ლენინაკანის აღსადგენად გადადებული თანხების რაოდენობა 4.262 მან.; აქედან საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაუბრუნებელი სესხი—1,5 მილ. მან.; ცენტრ. კომუნალურ ბანკის დასაბრუნებელი სესხი—1მილ. მან., მასალებით—1.012.000 მან., ლენინინაკანის აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის ადგილობრივი ბიუჯეტი—650.000 მან. ეს თანხები განაწილებულია შემდეგნაირად. ახალი მუნიციპალური აღმშენებლობისათვის (საცხოვრებელი სახლების აგება)—2.190.000 მან., მუნიციპალურ სახლების შესაკეთებლად—550.000 მან., დახმარების აღსადგენად—700.000 მან., ახალი დარაბების აღსადგენად—300.000 მან. და სასტუმროს და დახურული ბაზრის ასაგებად—250.000 მან.

ქალაქის საბჭოს დადგენილებით, ლენინაკანის აღდგენის კომიტეტის მუშაობის გეგმა დამტკიცებულია; ამასთანავე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთავარი ყურადღება პირველ რიგში უნდა მიექცეს საცხოვრებელი სახლების აგებას და შეკეთებას. (ადს).

უნივერსიტეტი და საშუალო სასწავლებლები*)

საკითხი უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლის შორის დამოკიდებულების შესახებ იმდენად ძველია, რამდენადაც ძველია თვით უნივერსიტეტის არსებობა. ყველგან და ყოველთვის არსებობდა მთელი რიგი სადაო საკითხების ამ ორი-ურთიერთ მიმდევარ სასწავლო დაწესებულებათა დამოკიდებულების გარშემო. ავიღოთ მაგალითისათვის პირველი შეხედვით მარტივი საკითხი: არის თუ არა საშუალო სკოლის დანიშნულება მოსწავლეთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლისათვის, თუ მას თავისი სპეციალური, ნათლად განსაზღვრული დანიშნულება აქვს. და ეს მარტივი საკითხი სადაოდ ითვლებოდა წარსულში, სადაოა დღესაც. არავითარ შემთხვევაში არ ითქმის, თითქოს ყველგან, ყველა კულტურულ სახელმწიფოში ის ერთგვარად არის გადაწყვეტილი; ვერც იმას ვიტყვით, რომ სადაც ის ასე თუ ისე გადაწყვეტილია, ეს გადაწყვეტილება საბოლოო და მუდმივია.

და ამგვარ საკითხების რიცხვი უნივერსიტეტის და საშუალო სასწავლებლის გარშემო მრავალია. ოღონდ ყველა ამ საკითხებიდან მე პირადად მაინტერესებს დღეს ერთი, სახელდობრ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს ის წესი, რომლითაც საშუალო სასწავლებელ დამთავრებულს შეუძლია უნივერსიტეტში შესვლა. ერთი სიტყვით, ჩვენი წერილის თემა—უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებია. თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ რა მხრითაც არ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს, რა თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ ის — იქნება ეს თვალსაზრისი ეკონომიური, თუ პედაგოგიური სულ ერთია — ეს გამოცდები ბოროტებაა და ისეთი ბოროტებაა, რომლის გამართლება არაფრით არ შეიძლება.

დავიწყოთ ამ საკითხის განხილვა ეკონომიური თვალსაზრისით.

დღეს საერთოთ მთელს კავშირში და კერძოდ ჩვენშიდაც ბევრს ვლაპარაკობთ მომჭირნეობის რეჟიმზე და ეს არც არის გასაკვირი, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ სიღარიბეს, რომელშიდაც ჩვენ ვიმყოფებით. ერთად ერთი საშუალება ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად არის ჩვენი ეკონომიური და კულტურული განვითარება, შექმნა ინდუსტრიალურ წამოწყებათა და ხალხის ფართეთ განვითარება - გათვითცნობიერება. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა თანხები და კიდევ თანხები. ჩვენ კი არა გვაქვს წინასწარ, ძველად დაგროვილი კაპიტალები. ამიტომ ჩვენ ყოველი კაპეიკი ანგარიშზე უნდა გვქონდეს აყვანილი, ყოველ ზედმეტ ხარჯს უნდა ვერიდოთ, რათა ზედმიწევნითი მომჭირნეობით შევსძლოთ ახალი წამოწყებებისათვის გროშების დაგროვება. მაგრამ ზედმეტი ცალმხრივობა და მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა მომჭირნეობის რეჟიმის გაგება ისე, თითქოს ის შეეხებოდეს მთავრობისა და საზოგადოებრივ ორგანოების საქმიანობას. არა ნაკლებ საჭიროა მომჭირნეობა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვისაც. ჩვენ ვერასოდეს ვერ შევსძლებთ სოციალისტურ სამეურნეო წესის ჩვენში განხორციელებას, თუ ვერ შევსძლით ჩვენი სოციალისტურ საწარმოო ელემენტების განვითარებასთან ერთად თანდათანობით ხალხის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ლოზუნგი „გამდიდრდით“ შემცდარია იმდენად, რამდენადაც ის მიიმართება კერძო პიროვნებისადმი, მაგრამ რამდენადაც ის შეეხება მთელ ხალხს, მთელი ხალხის ეკონომიურ წინსვლელობას და განვითარებას, იმდენად ის ჩვენი გამაგრებისა და განმტკიცების მაჩვენებელია, იმდენად ის ხელშემწყობია ჩვენი სოციალისტური მუშაობისათვის. ამიტომ, მთავრობა და მისი ორგანოები უნდა ცდილობდენ რათა ხალხმა ამა თუ იმ საქმეზე ზედმეტი ხარჯი არ გაიღოს. უნივერსიტეტში შესასვლელად დაწესებული გამოცდები კი სწორედ ხალხის დოვლათის ყოვლად გაუმართლებელი ხარჯვაა და სხვა არაფერი.

ამის დასამტკიცებლად ავიღოთ თუ გინდ შარშანდელი წელიწადი. სულ გამოცდაზე გამოცხადდა 2.200 კაცი. უდიდესი ნაწილი ამ რიცხვიდან იყვენ ჩამოსული პროვინციებიდან. სამ მეოთხედს აბიტურიენტებისას სკოლის შემდეგ გავლილი ქონდათ კიდევ კურსები კერძო მასწავლებლებთან. გამოცდების დროს ჩამოსულებმა თვე ნახევარი დაჰყვეს თბილისში. აი ყოველივე აქ თქმული გადავიყვანოთ ციფრებზე და მაშინ ნათელი იქნება, თუ რამდენი ფული ფუჭად იყრება წყალში.

პროვინციებიდან ჩამოსულთა რიცხვი არა ნაკლებ 1.500 კაცისა. თითო სულზე თვე ნახევარის ხარჯი გზის ფულით და სხვა არა ნაკლებ 200 მან. (მე აქ არ ვიღებ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იშვიათი იყო ისეთი აბიტურიენტი, რომ მას ან მამა, ან ძმა, ან სხვა ვინმე თან არ მოყოლოდეს თბილისში). სულ 300.000 მან. 1500 კაცი ჯგუფებში ნამეცადინევი, თითოზე არა ნაკლებ 100 მან. ხარჯი, სულ 150.000 მან., საერთოდ კი 450.000 მან. და ესეც მინიმალური გამოანგარიშებით. ამრიგად, ნახევარი მილიონი (სახელმწიფო უნივერსიტეტის კინაღამ წლიური ბიუჯეტი) სრულიად ფუჭად იკარგება. არა ერთისა და ორის ჩამოსულებიდან მწარე ცრემლი უღვრია ჩემს ოთახში: მათ უკანასკნელი მარჩენალი ხარები დაუყიდიათ და ამ ფულით წამოსულიყვნენ თბილისში, კონკურსში ვერ მოხვდენ და იძულებული იყვენ უკან დაბრუნებულიყვენ.

იბადება საკითხი: პედაგოგიური თვალსაზრისით აქვს თუ არა ასეთ ხარჯებს რამე გასამართლებელი მოტივი. არავითარი და აი რად.

შარშანდელმა გამოცდებმა დამარწმუნეს, რომ ახალგაზრდობამ მტკიცედ და ურყევად იცოდა მხოლოდ ის, რაც მას საშუალო სკოლაში ქონდა გავლილი. ყოველივე ზედნართი ცოდნა იყო მხოლოდ წუთიერი, შეუთვისებელი და უმზგავსო. ერთი პასუხის შემდეგ შეგეძლო უტყუარად გეწინასწარმეტყველებია, რომ შენი კითხვა მოპასუხეს გაზეპირებული ქონდა ამა თუ იმ ჯგუფში. საკმარისი იყო პატარა, სხვა ფორმით დაგესვა საკითხი და მოპასუხე იბნეოდა, ურევდა და ამახინჯებდა იმ ცოდნასაც კი, რომელიც მას სკოლაში ქონდა მიღებული. ამასთანავე არა ერთი და ორი მაგალითი იყო ისეთიც, რომ ზედმიწევნით ნიჭიერი ყმაწვილი იღებდა ცუდ ნიშნებს, რომ მას ესა თუ ის თავი ამა თუ იმ წიგნებიდან არ გაეარა სასწავლებელში — ვერ მოესწრო სხვადასხვა მიზეზებით; და, პირიქით, საკმაო ნიშანს იღებდა ჯგუფში გავლილი უნიჭო და თუთიყუშივით გაწვრთნილი მოწაფე. არას გზით არ შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში მიღებულია კონტინგენტი იყოს საუკეთესო, ნიჭიერი ნაწილი გამოცდებზე მოსულებიდან.

ამავე დროს, როდესაც, სამწუხაროდ, მეტი ყურადღება უფლებებსა და ქაღალდს ექცევა და არა ცოდნას, ამგვარი გამოცდებით ჩვენ ძირს ვუთხრით ჩვენ ძირითად სკოლის ავტორიტეტს. იქ ზედმიწევნით კარგად მეცადინეობდა, მუყაითათ და ბეჯითად მოწაფის მუშაობა ზედმეტ ბარგადაა მიჩნეული, რადგანაც მისი მომავლისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. და ეს მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ძალღონე იქით უნდა იყოს მიმართული, რომ განვამტკიცოთ და ავსწიოთ მნიშვნელობა ჩვენი შრომის სკოლის. ის ხომ უდავო ჭეშმარიტებაა იმისათვისაც კი, ვისაც ოდესმე რამე დამოკიდებულება ქონია სკოლასთან, რომ მხოლოდ მაშინ შესძლებს უნივერსიტეტი თავის დანიშნულების განხორციელებას, როდესაც მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყენებული ძირითადი სწავლა - განათლება. ვინც ჩვენი სკოლის ყოფა - ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, მან იცის, რომ ძირიდან, უმცროს ჯგუფებში ჩვენი სკოლის გაჯანსაღება უკვე დაიწყო და დაიწყო ფრიად ჩქარი ტემპით. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს გაჯანსაღება უფროს ჯგუფებზედაც საჩქაროდ გავრცელდეს. ამას შევსძლებთ ჩვენ მხოლოდ ამ ჯგუფების ავტორიტეტის აწევით.

ეს კი მოითხოვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები, რომელიც არაფერს, გარდა ზარალისა თვით უნივერსიტეტისათვის არ იძლევა. ეს გამოცდები გადავიტანოთ თვით სკოლებში. დეე, თვით მასწავლებლებმა, იმ მასწავლებლებმა, რომლებიც რამოდენიმე წელი იცნობენ მოწაფეს, გადაწყვიტონ ვინ უფრო ღირსია თავის ნიჭით, თავის შრომის უნარით უმაღლეს სასწავლებელში შესვლის. დამერწმუნეთ, რომ ეს ბევრად უფრო უკეთესი საშუალება იქნება იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში უკეთესი ნიჭიერნი მოხვდენ. არაფერი საწინააღმდეგო არავის არ ექნება, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში იყოს ერთგვარი კონტროლი, მაგრამ ეს კონტროლი მოვაწყოთ თვით სკოლებში დეპუტატების წარგზავნით ცენტრიდან და ადგილობრივი ძალების ჩარევით ამ საქმეში. ეს იაფიც დაუჯდება ხალხს და ბევრად უფრო ნაყოფიერიც იქნება.

შემდეგ მისაღებია მხედველობაში ერთი ფრიად საინტერესო მომენტიც. უნივერსიტეტში მიღების დროს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა თვით კანონით სოციალურ არჩევას. ხელისუფლების მიზანია ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი გადაიქცეს ხალხის, მშრომელი მასის სასწავლებლად და კანონმდებლობის ამ მოთხოვნას ჩვენ 50 პროც. ვერ ვანხორციელებთ, რადგან მუშასა და გლეხს არ გააჩნია ზედმეტი სამასი-ოთხასი მანეთი, რომ შვილი გამოაგზავნოს პროვინციიდან თბილისში.

ამას დაუმატეთ ის უკმაყოფილებაც, რომელიც ძალა-უნებურად იბადება უამრავ ახალგაზრდობას და მათ მშობლებში იმ გარემოებით, რომ დიდძალი ფული იხარჯება და უადგილობის გამო უმაღლეს სასწავლებელში ვერ ხვდება. ამ უკმაყოფილებას ადგილი არ ექნება, თუ თავის დროზე ადგილებიდან წარმოდგენით გამოცხადებული იქნება მიღებულთა სია.

ერთი სიტყვით, ყველა ეს მოსაზრებები გვიკარნახებენ, რომ ძველი გზა დავსტოვოთ და მივიღოთ ახალი, ყველასათვის სასარგებლო წესი.

კ. სულაქველიძე.

---

*) საკითხის განხილვის წესით. რედ.

პარტიული ცხოვრება

5 მაისისათვის

ბეჭდვითი სიტყვის დღე—5 მაისი ახლოვდება. წელს, ამ დღესთან ერთად გადახდილ იქნება ჩვენი პარტიის ცეკას ორგანოს „პრავდა“-ს 15 წლის თავი. საჭიროა, რომ ამ დღისათვის სამზადისს აქიდანვე შევუდგეთ. როგორც ყველგან, ისე აქაც ინიციატივა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აიღონ ხელში და აწარმოონ წინასწარი მუშაობა. რაში უნდა მდგომარეობდეს მოსამზადებელი მუშაობა? პირველად ყოვლისა მუშურ-გლეხურ მასებს უნდა გავაცნოთ მუშ. პრესის მნიშვნელობა, რა გზით შეიძლება ეს? როგორც ვიცით უჯრედის ღია კრებებზე ხშირად ესწრებიან უპარტიო მუშები და სოფლად—გლეხები. აი აქ უნდა გაკეთდეს მოხსენებები მუშათა პრესის მნიშვნელობაზე წარსულში და დღეს. გარდა ამისა ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, ქოხ-სამკითხველოებში ყველგან გამოდის კედლის გაზეთები, რომლის გარშემო შემოკრებილი არიან მუშკორები და გლეხკორები. საჭიროა, რომ წინასწარ ჩატარდეს მუშკორ-გლეხკორთა საერთო კრებები. ამ კრებებზე გაშუქებული უნდა იქნეს, თუ რა როლი ითამაშა მუშათა პრესამ თვითმპყრობელობის დროს, როგორ შეუწყო ხელი ჩვენ პარტიულ ორგანიზაციების შეკავშირებას და გაძლიერებას, რა როლი ითამაშა მან მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მუშათა კლასზე მენშევიზმის გავლენის შესუსტებაში და მუშათა კლასში რევოლიუციონური განწყობილების განმტკიცებაში.

1917 წელს, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ პრესა ერთ-ერთი ძლიერი იარაღი იყო მუშათა კლასის ხელში ოქტომბრის რევოლიუციის მოსამზადებელ მუშაობის წარმოებაში, ოქტომბრის გამარჯვებაში, შემდეგ სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრებაში. გაშუქებული უნდა იქნეს აგრეთვე პრესის მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეში, მუშათა და გლეხთა მასების კულტურული დონის აწევისა და მათი საბჭოთა აღმშენებლობაში აქტიურად ჩაბმაში.

ამნაირად უნდა გავაცნოთ მუშურ-გლეხურ მასებს წინასწარ მუშური პრესის მნიშვნელობა, როგორც ამბობს საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზოლიუცია, ამ დღეს გამოშვებულ უნდა იქნეს გაზეთის სპეციალური ნომერი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კედლის გაზეთების გამოშვებას. სასურველია, რომ ყველა წარმოება-დაწესებულებების და ქოხ-სამკითხველოებთან არსებული კედლის გაზეთები მიძღვნილი იქნეს მუშათა პრესის მნიშვნელობას. შერჩეული უნდა იქნეს მასალები. ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორ-გლეხკორთა წერილებს მუშური პრესის შესახებ.

5 მაისმა ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი პრესის გავრცელებას მუშურ-გლეხური მასების ფართო ფენებში, მუშკორ გლეხკორთა მოძრაობის გაძლიერებას, ჩვენი პრესის ირგვლივ რაც შეიძლება მეტი მშრომელთა მასების შემოკრებას. 5 მაისს, სადაც კი მოსახერხებელია, უნდა მოხდეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები. სოფლად ქოხ-სამკითხველოებთან უნდა მოწვეულ იქნას გლეხკორთა კრებები გლეხურ აქტივის მონაწილეობით.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები აქიდანვე უნდა შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობის წარმოებას, რომ ბეჭდვითი დღე—5 მაისი სათანადოთ იქნეს ჩატარებული.

ა.—ძე.

ბიუროების გადარჩევა

(ფოთი)

15 აპრილიდან დაიწყო ს. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციების კომუჯრედების ბიუროების გადარჩევა. წინასწარ ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი მუშაობა: დაგზავნილ იქნა უჯრედებში ცირკულიარული წერილი, მოწვეულ იქნა კომუჯრედების მდივნების თათბირი, რომელზედაც წაკითხულ იქნა საინსტრუქციო მოხსენება ბიუროების არჩევნების შესახებ.

არჩევნები ცოცხლად მიმდინარეობს. არჩევნები უკვე ჩატარდა 6 უჯრედში. უჯრედის ბიუროს ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას და მიუთითებდენ ნაკლზეც, როგორიცაა უმთავრესად: პარტსამუშაოს არათანაბარი განაწილება უჯრედის წევრთა შორის, მასიურ მუშაობის სისუსტე და სხვა.

ახალ ბიუროების არჩევნების დროს ბიუროდან სიების წაყენებას ან კანდიდატურების თავზე მოხვევას ადგილი არ აქვს.

დიდ უჯრ. ბიუროს შემადგენლობა გადიდდა ორ-ორი წევრით.

არჩევნები დამთავრდება 25 აპრილისათვის.

ვლადი—მირ.

რა გვიჩვენა გამოკვლევამ

(ა. ქ. რკ. გზების სამმართველოს ა. ლ. კომკავშირის უჯრედი)

უჯრედის ბიურო რეგულიარულად იწვევს სხდომებს. ნახევარი წლის განმავლობაში ბიუროს გაურჩევია შინა საკავშირო ხასიათის საკითხები—11, დაწესებულების მუშაობის შესახებ—2 და სხვადასხვა—3. ბიურო შესდგება 7 კაცისაგან. ხუთ მათგანს აქვს დაკისრებული სხვადასხვა ვალდებულება (ქალიშვილთა ორგანიზატორიც, აგიტპროპორგანიზატორიც და სხ.) ორი კი თავისუფალია.

უჯრედში სულ 58 კომკავშირელია, ამათგან 32—ადგილობრივი და 26-იც—მომაგრებული. ადგილობრივთა შორის საკავშირო მოვალეობები შედარებით სწორადაა განაწილებული, რაც შეეხება მიმაგრებულებს—ისინი ყოველგვარი დატვირთვისაგან თავისუფალი არიან. მოვალეობათა შესრულების შემოწმებას აწარმოებს ბიურო. ერთერთ ნაკლულიანებათ მოვალეობათა განაწილების საქმეში უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ამხანაგები ზედმეტად არიან დატვირთული (მაგალითად უჯრედის მდივანს 10 საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული და ათიც სხვადასხვა ორგანიზაციების რიგის წევრის მოვალეობა).

უჯრედს ნოემბრიდან ჰქონია სულ 8 სხდომა, უფრო ხშირად იწვეოდენ დახურული სხდომები, რაც უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. დასწრება უჯრედის წევრებისა დამაკმაყოფილებელია (ესწრება 80—90 პროცენტი). გარჩეულ საკითხებში უდიდესი ადგილი უჭირავს შინა-საკავშირო საკითხებს. უჯრედს რამოდენიმე გაერთიანებული სხდომა ჰქონია გარაჟის ა. ლ. კ. კ. მუშურ უჯრედთან და რამოდენიმეც—პარტუჯრედთან.

კომკავშირელები მიმაგრებული არიან პ-განათლების სკოლებზე და წრეებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ სუსტად ესწრებიან მეცადინეობას. ბევრი კომკავშირელი უკმაყოფილოა ა. ლ. კ. კ. პოლიტგანათლების ფორმით და შინაარსით. უჯრედის წრეებში დიდია მისწრაფება ტეხნიკურ ცოდნათა შეძენისაკენ, ამიტომაც მათი დიდი ნაწილი მეცადინეობს სხვადასხვა სპეციალურ ტეხნიკურ კურსებზე და სკოლებში. ყველა კომკავშირელები იწერენ გაზეთს.

უჯრედი საკმარისი ენერგიით აწარმოებს საზოგადოებრივ მუშაობას, თითქმის ყველა წევრები ჩაბმული არიან სხვადასხვა ნებაყოფლობით ორგანიზაციებში. უჯრედს კავშირი აქვს სამხედრო ორგანიზაციასთან.

უჯრედში გამოყოფილი არიან პიონერ კომისია და აგიტპროპკომისია. ეს კომისიები რეგულიარულად იწვევენ სხდომებს და ამზადებენ საკითხებს ბიუროს სხდომისათვის. ბიურო კარგათ ხელმძღვანელობს კომისიებს. (ისმენს მოხსენებებს, ამტკიცებს ოქმებს).

მთელ დაწესებულებაში მუშაობს 26-მდი უპარტიო ახალგაზრდა. უპარტიოთა ასეთი სიმცირის გამო უჯრედს საშუალება არ აქვს ფართოდ გაშალოს მასიური მუშაობა. უჯრედი დაწესებულების თანამშრომლებში სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ კომკავშირელები მრავლად არიან არჩეული სხვადასხვა ორგანოებში.

პარტბირთვი უჯრედში ძლიერ მცირეა (სულ ირიცხება 3 პარტკანდიდატი). ხელმძღვანელობის გასაწევათ კომუჯრედს მიუმაგრებია ა. ლ. კ. კ. უჯრედისათვის 3 კაცი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელნი სუსტად მონაწილეობენ კომკავშირის მუშაობაში. საერთოდ პარტხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია.

კ—ხ—ლი.

საკ. კომპარტიის (ბ) ცეკაში

ქალების მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ მოისმინა მოხსენება საბჭოების გადარჩევაში ქალთა მონაწილეობის წინასწარი შედეგების შესახებ.

134 ქალაქის ცნობების მიხედვით, შეკავშირებულ ქალთა არჩევნებში მონაწილეობის პროცენტი წინანდელ არჩევნებთან შედარებით გაიზარდა 11,5 პროცენტით. არჩევნებში საკმაო მონაწილეობას არ იღებდენ შეუკავშირებელი ქალები—მუშების ცოლები და ოჯახის დიასახლისები.

ზოგიერთი ორგანიზაციების ცნობები გვიჩვენებენ აგრეთვე გლეხ-ქალთა მონაწილეობის შემცირებას არჩევნებში (მამაკაცთა მონაწილეობა 67,1 პროცენტით, ქალთა 32 პროცენტით), თუმცა ზოგიერთ რაიონებში (უზბეკისტანი, ციმბირი, საქართველო) არჩევნები აქტობის მნიშვნელოვანი ზრდით ჩატარდა. ამის შედეგად, ზოგიერთი რაიონის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შემცირდა არჩეულ ქალთა რიცხვი.

გადარჩევის კამპანიამ გვიჩვენა, რომ სუსტად არის დაყენებული მუშაობა მუშების ცოლებისა და ოჯახის დიასახლისთა შორის და გლეხი ქალები საკმაოდ არ არიან ჩაბმული ღარიბ გლეხობის მუშაობაში. ღარიბ გლეხთა კრებებზე მონაწილეობას იღებდიან გლეხ-ქალთა 10—12 პროც. არა უმეტესი.

მაგრამ საერთოდ კამპანიამ გამოაშკარავა, რომ წინანდელ არჩევნებთან შედარებით გაიზარდა ქალთა ორგანიზაციების შეკავშირება და აქტიობა.

მუშაობა გავაცხოველოთ

(ლეჩხუმი)

სამპარტკომთან არსებული კომუჯრედი კარგა ხანია გამოვიდა კარჩაკეტილობიდან და თავისი მუშაობა გადაიტანა ფართო მასაში. ამ უკანასკნელ ხანებში კომუჯრედის ბიურომ აიღო ისეთი გეზი, რომლითაც უპარტიო მასა უახლოვდება პარტიას. ეს ხდება ღია კრებების საშუალებით. ღია კრებაზე ისმება ისეთი ხასიათის კითხვები, რომლებიც აინტერესებს უპარტიო მასას. წარსულ კრებებზე (ღია) მოსმენილ იქნა დამზღვევ სალაროს და საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მოხსენება.

კომუჯრედმა ორივე ორგანოს მოხსენების გარშემო იქონია მსჯელობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერი ამ ორგანოებში რიგზე ვერ არის. კამათში უპარტიო მოქალაქენიც კი ღებულობდენ მონაწილეობას.

საკრედიტო ამხანაგობის დარგი, დაავადებული ყოფილა მრავალი სენით. სესხი ეძლევა შეძლებულ გლეხობას. ამასთან ერთად ადგილი ჰქონია სესხის ბინაზე გაგზავნას და სხვა. კომუჯრედმა მიუთითა საკრ. ამხანაგობის გამგეობას რათა უღარიბეს გლეხობას ეძლეოდეს გრძელვადიანი სესხი. აგრეთვე კომუჯრედმა საჭიროდ სცნო რათა საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის შესანახი ხარჯების და ყოველგვარი უმიზნო მივლინებათა შემცირება.

მომავლისათვის კომუჯრედს განზრახული აქვს ღია კრებების ხშირად მოწვევა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს უპარტიო მასასთან დაახლოვების საქმეს.

კომუჯრედმა თავის წევრებს შორის მოაგროვა 70 მანეთი დროშის შესაძენათ. უკვე მიღებულია ზომები დროშის შესაძენად. კომუჯრედის მუშაობაში ადგილი აქვს ერთ ნაკლს. ეს არის კრებებზე დაგვიანებით გამოცხადება, რასაც ბიურომ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ბ. ფრუიძე.

ფასების დაკლებისათვის

მშრომელი ქალები ფასების დაკლების კამპანიაში

პარტიის დირექტივების განხორციელებას (ცეკას 1926 წ. აპრილის და 1927 წ. თებერვლის პლენუმი) ფასების, კერძოდ, საცალო ფასების დაკლების საკითხში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მომხმარებელ მშრომელ ქალების, მუშების და გლეხების ცოლების მთავრობა მასამ, საჭიროა მათი ჩაბმა ამ დირექტივების პრაქტიკულად განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალების განყოფილებამ ადგილებს მისცა მთელი რიგი მითითებებისა ამ მუშაობის პრაქტიკულად დაყენებისათვის.

მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებამ თავიანთი მუშაობა ფასების დაკლების საქმეში ქალთა ფართო მასების ჩასაბმელად უნდა დაუკავშირონ იმ საერთო მუშაობას, რომელსაც ეწევიან პარტია, პროფკავშირები, საბჭოები და კოოპერაცია.

საჭიროა ფართოდ განვითარებული იქნეს მუშაობა იმისათვის, რომ მუშა - ქალები ჩაებან საწარმოო თათბირებში. ისინი მონაწილეობას უნდა იღებდენ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების გაუმჯობესებასთან და პროდუქციის თვითღირებულების და საბითუმო ფასების დაკლებასთან. საჭიროა საწარმოო თათბირების წევრ მუშა ქალების აქტივობის გაძლიერება, რისთვისაც უფრო მომზადებულ ამხანაგების მონაწილეობით უნდა იმართებოდეს მათთან საუბრები თათბირის დღის წესრიგში არსებულ საკითხების გარშემო.

მომხმარებელ მუშა და გლეხ ქალების შორის საჭიროა გასაგებ ენაზე შუქდებოდეს ქალაქისა და სოფლის სხვადასხვა ამოცანები, რა საშუალებით შეიძლება ფასების დაკლება, საჭიროა მათ გავაცნოთ პრაქტიკული მუშაობა ამ დარგში, ამა თუ იმ რაიონში, კოოპერატივში და სხვ., მიუთითოთ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელთა შემოწმებით შეიძლება ფასების დაკლება. ძირითადი მუშაობა ფასების დაკლებაში ქალთა მასების ჩასაბმელად უნდა აწარმოონ კოოპერაციამ, საბჭოებმა და პროფკავშირებმა.

დიდი როლი ფასების დაკლების საქმეში უნდა ითამაშოს ქალთა კოოპერატიულმა აქტივმა (გამგეობის და სარევიზიო კომისიების წევრები, სადუქნო კომისიების წევრები, რწმუნებულები, დელეგატი ქალები და სხვ.) საჭიროა აქტივისტ ქალების უშუალოდ ჩაბმა ფასების დამკლებ კომისიების მუშაობაში და მათი ყოველმხრივი გამოყენება ქალთა ფართო მასებში მუშაობისათვის.

ყველა ამ საკითხების ფართოდ გაშუქება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ პრესაში, აზრთა გაცვლა - გამოცვლა, მუშაობის გამოცდილება, საშუალებას მისცემს სათანადო ორგანიზაციებს გამოიყენონ არსებული ქალთა აქტივი და ქალთა ფართო მასები ფასების დაკლების საქმეში.

ს. დელიბაში.

მიღწევები ვაჭრობის კომისარიატის მუშაობაში

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აუკრძალა არასაკმაო საქონლით ვაჭრობა აღმასკომს, სრულ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტს, „ბავშვის მეგობართა“ საზოგადოებას, საზ-ბა „დინამოს“ და საერთოდ ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც ვაჭრობა არ წარმოადგენს ძირითად სამოქალაქო ასპარეზს!

ეს აკრძალვა გამოწვეულია ფასების დაკლების მიზნით სამრეწველო საქონელზე, რადგან არასაკმაო სამრეწველო საქონლით ვაჭრობა ამ ორგანიზაციების მიერ იწვევს ფასების ხელოვნურ აწევას.

ამ ღონისძიებამ გამოიწვია საქონლის გამტარებელი ქსელის შემცირება და ხელი შეუწყო კოოპერატიული ქსელის სრულ დატვირთვას არა საკმაო სამრეწველო საქონლით.

საქ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოაწყო თბილისში ფართლეულის წვრილად მოვაჭრეთა კომიტეტი. ეს კომიტეტი გეგმითი წესით ღებულობს ფართლეულს საკავშირო საფეიქრო სინდიკატისაგან და მოვალეა ივაჭროს ვაჭრობის კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფასებით.

კომიტეტის წევრ - მეწვრილმანეთათვის დაწესებული იყო ზედნადები ფასი ბამბეულზე —37 პროც., შალეულზე — 34 პროც. და სელის ნაწარმოებზე 33 პროც.

კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის ზედნადებ ფასების შეცვლასთან ერთად, ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოახდინა ზედნადებ ფასების შემცირება, აგრეთვე, მეწვრილმანეთა კომიტეტისთვისაც. ზედნადები ფასი მეწვრილმანეთათვის განსაზღვრულია 30 პროც.

ფართლით მოვაჭრე მეწვრილმანეთა კომიტეტები მოწყობილია, აგრეთვე, ქუთაისსა და ბათომში.

მეწვრილმანეთა კომიტეტები — როგორც ეს უკვე დაწესებულია — აწესრიგებენ კერძო ბაზარს, აჩერებენ ფასების თვითნებურ და ანარქიულ აწევას კერძო ბაზარზე.

საცალო ფასების დაკლების საშუალო პროცენტი თბილისში, საქართველოს შინავაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, შეადგენს დაახლოვებით 6 პროც., ბათომში — 4,63 პროც., საქართვ. დანარჩენ ქალაქებში და სასოფლო ერთიან მომხმარებელ საზოგადოებებში — 3 პროცენტს.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაკლების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა თბილისის მომხმარებელ კოოპერაციას გაათანასწოროს ფასები კარტოფილზე, ხახვზე, კომბოსტოზე, ლობიოზე — კერძო კოოპერატივებში ამ პროდუქტებზე თანასწორი ფასების დასაწესებლად.

სოფლის კავშირის, ცეკავშირის და „ზოეც ქ. ქ. ს.“-ს წინადადება მიეცათ, რომ მოაწესრიგონ კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, კვერცხის გეგმიანი დამზადება შემდეგი რაოდენობით. კარტოფილი 200.000 ფ. წელიწადში, 30.000 ფ ხახვი, 30.000 ფ. კომბოსტო და 200 ყუთი კვერცხი თვეში.

გეგმიანი დამზადება უზრუნველჰყოფს თბილისისათვის ამ პროდუქტების შეუჩერებელ მიწოდებას.

იმავე მიზნით, ამ პროდუქტების გეგმიანი დამზადების გასაადვილებლად, ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიიღო ზომები მიზნობრივი კრედიტის გაცემისათვის ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციებზე, სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების მათზე დაკისრებული დამზადების ჩასატარებლად.

ყველა ამან, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დასკვნით, სათანადო სიმაღლეზე უნდა დააყენოს თბილისის მომარაგება ამ პროდუქტებით და საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას დღემდე არსებული ფასების ქანაობა მოსახლეობის საკვებ პროდუქტებზე.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა საუწყებათაშორისო კომისიამ დააწესა ზედნადებ ფასების შემდეგი ნორმები სამრეწველო საქონელზე:

ფაიფურის ნაწარმოებზე ზედნადებ ფასების მაქსიმალური პროცენტი — 45 პროც.

ფაიანსზე: ქალაქებისათვის — 35 პროც., სოფლებისათვის — 40 პროც.

მინაზე: ქალაქებისათვის — 35 პროც., სოფლებისათვის — 40 პროც.

ლამფის მინაზე: ქალაქებისათვის — 15 პროც., სოფლებისათვის — 20 პროც.

საგალანტერეიო საქონელზე საშუალო ნორმად დაწესებულია 25 პროც.

ემალიან ჭურჭელზე — 30 პროც., ალიუმინისაზე—25 პროც., თუჯისა და ნიკელიანზე — 30 პროც., სპილენძისაზე — 25 პროც.

სად და რამდენად გაიაფდა საქონელი

გორის მაზრა

გორის მთლიანმა მომხმარებელმა საზოგადოებამ, როგორც ცენტრალურ მაღაზიაში, ისე თავის განყოფილებებში დაამთავრა საქონლის გადაფასება და ახალი დაკლებული ფასების დადება საქონელზე. ყოველგვარ საქონელზე ფასები შემცირებულია საშუალოდ 5 პროცენტით.

თელავის მაზრა

საქონლის გადაფასება დაამთავრა აგრეთვე თელავის მთლიანმა მომხმარებელმა საზოგადოებამ. გადაფასებულია მანუფაქტურა და სხვა საქონელი. მანუფაქტურაზე ფასები საშუალოდ შემცირებულია 7 პროცენტით.

ქუთაისის მაზრა

შინა-ვაჭრობის კომისარიატის დადგენილების გასატარებლად ქუთაისში ჩატარდა ქუთაისის მაზრის მომხმარებელ საზოგადოებათა თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა კონკრეტიული ღონისძიებანი ფასების შემდეგი დაკლებისათვის მაზრის კოოპერატივებში.

პრესა

ჩვენი ვაჭრობის ერთი მტკივნეული მხარე

„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“ უკანასკნელ ნომრის მოწინავე წერილში სხვათა შორის ეხება ჩვენი ვაჭრობის ერთ მტკივნეულ საკითხს, ესაა ეგრეთწოდებული „უკულტურო ვაჭრობა“. გაიძვერული და ფლიდური დამოკიდებულება მომხმარებლისადმი, მოგების აზარტით გატაცება და სხვა. ესე—იგი მყიდველის „გაცურებაზე“ აგებული ვაჭრობა, როგორც ეს ხდებოდა ალებმიცემობის დაწყების პირველ ხანებში და როგორც ეს სჩვევია დღეს ბევრ კერძო ვაჭარს.

„ტორგოვო - პრომიშლენაია გაზეტა“-ს მოუხდენია მეოჯახე მუშა - ქალების დაკითხვა, ფასების დაკლების შესახებ, რასაც ამის შესახებ შემდეგი გამოურკვევია:

„სურათი, რომელიც დაგვიხატა ჩვენმა მოსაუბრე ქალებმა, სწერს გაზეთი, მეტად დამაფიქრებელია; სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატი. მუშა-ქალებმა სასტიკათ გააკრიტიკეს. ზოგიერთ კითხვებზე გაცემულ პასუხისაგან თქვენ გებატებით „აზიური“ ვაჭრობის დეტალები, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველათ მოგვიწოდებდა ლენინი, როცა ის სწორეთ კოოპერაციის განვითარებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკობდა. წონაში და ზომაში მოტყუება, მუშების ბავშვებისათვის უვარგისი ან მდარე ხარისხის საქონლის მიჩეჩება ხელში, უხეში მოპყრობა მყიდველისადმი — ყოველივე ეს, მიუხედავათ ამ მოვლენათა წინააღმდეგ ახლად ჩატარებულ ბრძოლისა, მაინც არის ჩვენს კოოპერატიულ მაღაზიებში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს გადაჭარბებული დახასიათებაა, რომ ზოგიერთ კოოპერატივებში არის ასეთი შემთხვევები, რომლებიც გამონაკლისს შეადგენენ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ საზოგადოთ ასეთი ფაქტები აბსოლიუტურად დაუშვებელია ჩვენი კოოპერაციის მუშაობის პრაქტიკაში“.

ვერავინ იტყვის, რომ ასეთ მოვლენებს ადგილობრივ სავაჭრო ორგანოების მუშაობაშიაც არ ქონდეს ადგილი. კერძო ბაზრის ამ მახინჯ ჩვეულებებმა ზოგიერთ კოოპერატივში და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოში, თბილი თავშესაფარი ჰპოვეს. თუ ვაჭრობის ასეთი წესები არ იქნა აღმოფხვრილი ენერგიული ღონისძიებებით, ფასების დაკლების კამპანიას დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია მასიურ მომხმარებლისათვის.

მუშათა და გლეხთა მილიციის 6 წლის თავი

დაუღალავი მუშაობის 6 წელი

საქართველოს მუშათა და გლეხთა წითელი მილიცია დღესასწაულობს თავის არსებობის ექვსი წლის თავს. მისი ორგანიზაციის მეშვიდე წლის დაწყებისას ჩვენმა მილიციამ ფეხი შედგა აღმშენებლობის ახალ ეტაპში.

წითელი მილიცია ორგანოა, რომლის საშუალებით საბჭოთა სახელმწიფო ამყარებს რევოლიუციონურ წესრიგს. რევოლიუციონურ ქარტეხლის ხანაში საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა და სახელმწიფოებრივი წესიერების დაცვა მოითხოვს განსაკუთრებულ სიმამაცეს და თავგანწირვას. მ.-გ. მილიცია პირნათლად ასრულებდა ამ თავის მძიმე მოვალეობას.

წარსულ წელთან შედარებით თვალსაჩინოდ აიწია მილიციის მუშაკთა კვალიფიკაციამ. მატერიალური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. შესამჩნევად განახლდა მილიციის მუშაობის მეთოდიც ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში.

წარსულ ექვს წელში იყო ბევრი შემთხვევა, როცა ჩვენს წითელ მილიციას გმირული ბრძოლა გადაუტანია.

შესამჩნევად აიწია მილიციის მუშაკთა კულტურულმა დონემ. გახსნილ იქნა მილიციის მეთაურთა სკოლები, ხოლო მაზრებში კი სამარქაფო სკოლები. მილიციელთა შორის სწარმოებდა აგრეთვე პროფმუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მილიციონერი არის საბჭოთა სახელმწიფოს პირველი აგენტი, რომელთანაც მოსახლეობას უშუალოდ უხდება საქმის დაჭერა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მილიციონერები იყოს საბჭოთა სახელმწიფოს სისტემის და რევოლიუციონური წესრიგის განსახიერება. ამ ამოცანების შესასრულებლად მოგვეპოვება სწავლება და მილიციის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

მ.-გ. მილიცია ჯამს უკეთებს თავის ექვსი წლის მუშაობას და ისახავს აღმშენებლობის შემდეგ გეზს.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის მ.-გ. წითელ მილიციას!

ი. საყვარელიძე.

ჩატარებული მუშაობა

დღეს სრულდება მუშათა და გლეხთა მილიციის ექვსი წლის თავი. თუ მოვიგონებთ იმას, რას წარმოადგენდა მილიცია 1921 წელს და შევადარებთ მას დღევანდელ მილიციას, განსხვავება უდიდესი იქნება. ამ ხნის განმავლობაში მ.-გ. მილიცია სწრაფად მიდიოდა წინ და მშრომელი მოსახლეობის პატივისცემას და თანაგრძნობას იმსახურებდა.

მ.-გ. მილიციის ადგილი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში რთული და სერიოზულია. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგი ამ ხნის განმავლობაში გიგანტიური ნაბიჯით მიდიოდა წინ და მილიცია ცხოვრების განვითარების ამ ტემპს არ უნდა ჩამორჩენოდა. ამისათვის საჭირო იყო მისი პოლიტიკური, კულტურული და სპეციალური ცოდნის დონის ამაღლება.

საბჭოთა კანონების სწორ - უცვლელად გატარება ცხოვრებაში, ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვა, ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებასთან თანამშრომლობა და მათთვის მიზანშეწონილი დახმარების აღმოჩენა, —აი მოკლეთ ის მოვალეობანი, რომლებიც დაკისრებული აქვს მ.-გ. მილიციას.

ამხ. ციცაბი
დაწინაურებული მუშა, მე-3 სამილ. უბნის უფროსი
(მბეჭდავი)

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მილიციის პირადი შემადგენლობის გაჯანსაღებას. არა ერთხელ მოწყობილი პირადი შემადგენლობის წმენდით ულირსი პირები გაძევებულ იქნენ მილიციის რიგებიდან.

საანგარიშო წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა წითელი მილიციელების ყოველმხრივად მომზადება, ხოლო მათი ხარისხის აწევის გამო, მილიციელთა რიცხვის შემცირებაც. თუ 1921 წ. თბილისში გვყავდა 1.300 უმც. მილიციონერი, დღეს ეს რიცხვი დაყვანილ იქნა 888 კაცამდე.

ამხ. მორბედაძე
დაწინაურებული მუშა, მე-2 სამილ. უბნის უფროსი
(მბეჭდავი)

ამავე დროს გატარებულ იქნა ცხოვრებაში მილიციის ახალი დებულება, რომლის ძალითაც მილიციის თანამშრომლებზე ვრცელდება შრომის კანონები. თუ წინეთ წითელი მილიციელი მუშაობდა 10—12 საათს, ეხლა ის მუშაობს 8 საათს, აქვს დასასვენებელი დღე და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მილიციელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუ გასულ წელს უმცროსი მილიციელი ღებულობდა 35 მანეთს, ეხლა ღებულობს 41 მან. მილიციელს ეძლევა წელიწადში სეზონის მიხედვით კარგი ღირსების ტანისამოსი და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მილიციის შრომის ნაყოფიერებაც გაიზარდა.

მილიცია ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. მომხდარ ბოროტმოქმედებათა საერთო რაოდენობიდან ყოველ წლიურად საშუალოდ იხსნებოდა: სისხლის სამართლის მილიციის მიერ 70 — 75 პროცენტი, ქალაქის მილიციის მიერ 40—45 პროცენტი, ხოლო თბილისის მაზრის მილიციის მიერ 70—85.

მილიციამ დიდი ყურადღება მიაქცია ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებასაც. მოძრაობის მოწესრიგების შემდეგ უბედურ შემთხვევათა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მ.-გ. მილიცია, ღრმად გამსჭვალული მუშების და გლეხების ინტერესებით, იმ ცოდნის და შეგნების საფუძველზე, რომელიც მან მოიპოვა თავის არსებობის ექვსი წლის მანძილზე, მომავალში უფრო განამტკიცებს, გააღრმავებს ორგანიზაციულად, პოლიტიკურად და კულტურულად თავის რიგებს და მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ამხ. მიქელაძე
დაწინაურებული მუშა, მე-11 სამილ. რაიონის უფროსი
(მბეჭდავი)

შ. კილურაძე.

ექვსი წელი

მ.-გ. მილიციამ უკვე თავის არსებობის და მუშაობის მეშვიდე წელში გადადგა ფეხი. თუ მივიღებთ მხედველობაში, თუ როგორ ძნელ პირობებში უხდებოდა მას ზრდა და განვითარება და მასთან დღევანდელ მის მიღწევებს, ცხადი გახდება, რომ მ.-გ. მილიციამ განვლო თავის უმძიმესი ხანა და ორგანიზაციულად სავსებით ჩამოყალიბდა.

საბჭოთა ხელისუფლება პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებით ყურადღებით ეპყრობოდა მუშათა და გლეხთა მილიციას, ცდილობდა, რომ მასში არ შეპარულიყო საეჭვო ყოფაქცევის და მავნე ელემენტები. ამასთანავე ყოველივე ღონეს ხმარობდა მილიციელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ხელისუფლების მიერ დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მილიციელთა შორის სწავლების გავრცელების საქმეს. მილიციელთა განვითარება, მათი კულტურული დონის ამაღლება; აი, სწორედ ის კითხვები, რომლებსაც ამჟამადაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

განვითარებული, თავის მოვალეობის კარგათ შემგნები მილიციელი, მმართველ აპარატის დაუფასებელი დამხმარე და მარჯვენა ხელი არის.

მასასთან უფრო ახლოს მილიციელი სდგას და სწორედ ამავე მასას მილიციელის მოქმედებით ექმნება წარმოდგენა და აზრი ხელისუფლებაზე; ამიტომ, ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა გათვითცნობიერებულ და შეგნებულ მილიციელს.

მ.-გ. მილიცია თავის მოვალეობას ხელისუფ- ადგილას მოსპო ქურდ-ბაცაცების ბუდე, მრავალი ყაჩაღი შემუსვრა და ალაგმა. მ.-გ. მილიცია შემდეგშიც კვლავ განაგრძობს თავის მძიმე, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობას ხელისუფლების მშრომელთა წინაშე.

შ. მელაძე.

ყრილობები და თათბირები

აღმშენებელთა მეექვსე ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს აღმშენებელთა კავშირის სრულიად საქართველოს მეექვსე ყრილობა.

ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ალადაძემ, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ კავშირი დაარსებისას აერთიანებდა მხოლოდ 100 წევრს, ამჟამად კი აერთიანებს 12.000 წევრს.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული იქნა 17 ამხანაგი, სამდივნოში — 7 და სამანდატო კომისიაში—5.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ტომსკი, ელიავა, ქართველიშვილი, ყურულაშვილი, ბოგდანოვი და ლუკაშინი.

ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობას, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, საქ. ცაკს და კავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

პირველად ყრილობამ მოისმინა კავშირის ცეკას მდივანის ამხ. ოდილავაძის მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ.

— მიმდინარე წელში, ამბობს მომხსენებელი, საბჭოთა კავშირში კაპიტალურ აღმშენებლობაზე მრეწველობაში დახარჯული იქნება 1.750.000.000 მანეთი, სოფლის მეურნეობაში კი —800.000 მანეთი. მსხვილი სამუშაოებიდან აღსანიშნავია „დნეპროსტროი“, სემირეჩიეს რკინის-გზა და ვოლგას და დონის შეერთება არხით. სასეზონო მუშა-ხელის მოსაგროვებლად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში გახსნილია სპეციალური პუნქტები.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირი ამჟამად საბჭოთა კავშირის მასშტაბით აერთიანებს 742.000 წევრს; უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა 200.000 კაცით.

ამიერ-კავკასიის კულტთათბირი

მეორე სხდომა

საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა სომხეთის პროფსაბჭოს წარმომადგენლის მოხსენება კულტმუშაობის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო კამათი ყველა მოხსენებების გარშემო.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ საწევრო გადასახადები კლუბებში მეტად მცირეა, საჭიროა მათი გადიდება.

დელეგატებმა ლენინაკანიდან აღნიშნეს რომ მიწისძვრამ ლენინაკანში დაანგრია თითქმის ყველა შენობები, მათ შორის მუშათა კლუბებიც. ქალაქის აღდგენის სამწლიან გეგმაში შეტანილი არ არის არც ერთი კულტურული დაწესებულების აღდგენა; ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ამიერ - კავკასიის პროფსაბჭომ.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ კომუნალური მეურნეობის განყოფილებები მეტად ბევრს ახდევინებენ კლუბებს კომუნალურ სამსახურის გაწევაში. ასეთ მოვლენებს ყურადღება უნდა მიექცეს..

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ქალები უფრო მეტის პროცენტით და უფრო აქტიურად უნდა იქნენ ჩაბმული მუშათა კლუბების მუშაობაში.

მესამე სხდომა

სამხედრო მუშაობა მუშათა კლუბებში

(ამხ. სნეგირევის მოხსენება)

19 აპრილს, დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების და ავიაქიმის წარმომადგენლის ამხ. სნეგირევის მოხსენება სამხედრო მუშაობის შესახებ მუშათა კლუბებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სამხედრო საქმის პროპაგანდას კლუბებში; ამ მხრივ საჭიროა სამხედრო ხასიათის პიესების დადგმა, მსროლელ წრეების და სამხედრო კუთხეების მოწყობა და სხვა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ სამხედრო პროპაგანდის სუსტად დაყენებაში ბრალი მიუძღვის არა მარტო კლუბებს, არამედ ადგილობრივ ავიაქიმსაც, რომელიც მიუხედავათ, მრავალი დაპირებისა არ გზავნის ინსტრუქტორებს და მომხსენებლებს.

თათბირმა აირჩია კომისია ხუთი კაცისაგან თეზისების გამოსამუშავებლად.

საზაფხულო კულტმუშაობა

(ამხ. ქშონძერის მოხსენება)

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ქშონძერის მოხსენება საზაფხულო კულტმუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზაფხულო კულტმუშაობას საქართველოში დიდი მიღწევები აქვს. თბილისის საზაფხულო კლუბებში შარშან ზაფხულის განმავლობაში გატარებული იქნა 700.000 კაცი, ექსკურსიებში კი მონაწილეობა მიიღო 30.000 კაცმა.

საზაფხულო კლუბებში ეწყობა საღამოები, სადაც მუშა - მოსამსახურენი ისვენებენ და ერთობიან. შარშან ასეთ საღამოებს არ ჰქონდა განმანათლებელ - აღმზრდელობითი ხასიათი წელს ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ზაფხულობით შემჩნეულია მასების აქტივობის შესუსტება, რასაც აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება. ზაფხულობით მუშაობა სწარმოებს უმთავრესად მსხვილ სამრეწველო ცენტრებში; მაზრებში თითქმის არაფერი არ კეთდება. ამაში ბრალი მიუძღვის ადგილობრივ აღმასკომებს, რომლებიც არ ეხმარებიან პროფკავშირებს.

ზაფხულობით სათანადო ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურულ მუშაობას, მუშაობის გასაძლიერებლად საჭიროა სპეციალური მოედნების მოწყობა.

საზაფხულო მუშაობის ფორმებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასების პოლიტიკურ - კლასიური განვითარების საკითხებს. საჭიროა ამასთანავე კინო - ლექციების ხშირად გამართვა, ასეთმა ლექციებმა შარშან დიდი ინტერესი გამოიწვია მუშებს შორის. საჭიროა აგრეთვე დისპუტების მოწყობა სხვადასხვა კინო - ლენტებზე.

საექსკურსიო მუშაობის დარგში მომხსენებელი აუცილებლად სთვლის საექსკურსიო ბაზების მოწყობას ქალაქგარეთ და რესპ. სხვადასხვა კუთხეებში; ამასთანავე საჭიროა ექსკურსიების მოწყობა მეზობელ რესპუბლიკებში, რისთვისაც იქ უნდა მოეწყოს ბაზა ექსკურსანტების მისაღებად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა მეექვსე ყრილობა

მეშვიდე სხდომა

19 აპრილის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საქ. შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ელენტის მოხსენება ტრანსპორტის მუშათა შრომის დაცვის შესახებ.

— შრომის დაცვა, ამბობს მომხსენებელი, იყოფა ორ ნაწილად: ქალაქებში და ნავთსადგურებში მომუშავეების შრომის დაცვას აწარმოებს შრომის კომისარიატი, რკინისგზის მტვირთველების შრომის დაცვას კი — შრომის ინსპექცია.

ზოგიერთ დაწესებულებებში შრომის დაცვის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის; მათ წინადადება მიეცა მიიღონ ზომები სახელოსნოების და წარმოებების კეთილმოსაწყობად. ამას გარდა ყველგან მიღებულია ზომები უბედური შემთხვევების დროს საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ რკინისგზაზე შრომის დაცვა ვერ არის სათანადოთ დაყენებული, საჭიროა სპეცტანისამოსის წარმოების გადიდება, ღამის საათებში მუშაობის შესახებ არსებული კანონების დაცვა და სხვა.

მერვე სხდომა

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ცურინოვის მოხსენება „ზაკავტოპრომტორგ“-ის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზაკავტოპრომტორგ“-ი მუშაობას აწარმოებს მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით. მგზავრების გადაყვანის გარდა „ზაკავტოპრომტორგ“-ი აწარმოებს ფოსტის გადატანასაც. 1925 წელში „ზაკავტოპრომტორგ“-ის განკარგულებაში იყო 82 სამგზავრო და 48 საბარგო ავტომობილი; მუშების რიცხვი საშუალოდ წელიწადში უდრიდა 140, ხელფასი კი საშუალოდ 85 მანეთს თვეში.

მიმდინარე წელში „ზაკავტოპრომტორგ“-ის განკარგულებაშია 139 სამგზავრო და 65 საბარგო ავტომობილი; მუშების რიცხვი უდრის 220, ხელფასი კი 94 მანეთს. ერთი წლის განმავლობაში გადაყვანილი იქნა 338.000 მგზავრი.

„ზაკავტოპრომტორგ“-ის თბილისის განყოფილებაში უკანასკნელ ხანებში შემოღებული იქნა პრემიალური სისტემა, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღო. ხარჯები საწვავ მასალებზე შემცირდა 6—10 პროცენტით, ამდენათვე შემცირდა აგრეთვე ხარჯები ბენზინზე.

წითელ ჯარში

თადარიგის მეთაურთა სამოსწავლო შეკრება

(საუბარი თბილისის მაზრის სამხედრო კომისარ ამხ. ხელაშვილთან)

თბილისის მაზრის სამხ. კომისარმა ამხ. ხელაშვილმა შემდეგი განაცხადა თადარიგის მეთაურთა სამოსწავლო შეკრების შესახებ.

მიმდინარე წელს სამოსწავლო შეკრებაზე გაწვეულ იქნებიან ის თადარიგის მეთაურნი, რომელთაც ასეთი არ გაუვლიათ სრულიად და რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა წვევამდე მზადებაში.

მეთაურთა პირველი ჯგუფი გაწვეულ იქნება შეკრებაზე 20 მაისიდან 5 ივლისამდე, მეორე ჯგუფი კი—15 ივნისიდან 1 აგვისტომდე.

შეკრების მიზანია თადარიგის მეთაურთა გადამზადება, ვინაიდან ზოგიერთ მათგანს სრულიად არ უმსახურია წითელი ჯარის რიგებში, ზოგიერთნი კი იმყოფებიან თადარიგში რამოდენიმე წელი და უეჭველია ესენი ჩამორჩენილნი არიან სამხედრო საქმიანობას.

შეკრებაზე მათურნი გაეცნობიან ახალ ბრძანებებს, ჯარის ახალ წყობას, ტეხნიკას და ამითი შეავსებენ თავის ცოდნას.

შეკრების დაწყებამდე, 2 მაისიდან 6 მაისამდე, ჩატარებულ იქნება თადარიგის მეთაურთა საექიმო შემოწმება, ის მეთაურნი, რომელნიც ცნობილ იქნებიან უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, მათი აღრიცხვიდან მოხსნით, სრულიად განთავისუფლებულ იქნებიან სამსახურიდან.

წრევანდელი შეკრება ტარდება უკეთეს პირობებში, ვიდრე იყო წარსულში.

იმ მეთაურებს, რომელნიც მსახურობენ რომელიმე დაწესებულებაში და რომელნიც გაიწვევიან შეკრებაზე, ენახებათ სამსახური და ეძლევად სრული ჯამაგირი.

შეკრებაზე მათ მიეცემათ ბინა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აგრეთვე მიეცემათ უფასო სამგზავრო ბილეთი შეკრების ადგილამდე უკან დაბრუნებით და დაკმაყოფილებულ იქნებიან საგზაო ხარჯებით.

მეთაურნი მიიღებენ შეკრების განმავლობაში დღიურებს, მხოლოდ დღიურის თანხიდან გამოკლებულ იქნება ჯამაგირის რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ მეთაურს ეკუთვნის დღიური 100 მანეთი და იღებს ჯამაგირს 40 მანეთს, მას მიეცემა მხოლოდ 60 მან.

უმუშევარი მეთაურები დაკმაყოფილებულ იქნებიან დღიურით და სამგზავრო ხარჯებით.

ვინაიდან სამოსწავლო შეკრებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, საჭიროა, რომ ყველა დაწესებულებებმა მიიღონ მონაწილეობა მის ჩატარებაში.

ის დაწესებულებები, რომელშიაც მუშაობენ თადარიგის მეთაურნი, ვალდებულნი არიან დროზე გაანთავისუფლონ მეთაურნი სამსახურიდან.

მილიციის ორგანოების დახმარება უნდა გამოიხატოს უწყებების დროზე ჩაბარებაში დანიშნულებისამებრ.

სია

იმ თადარიგის მეთაურთა, რომელთაც ეხებათ სამოსწავლო შეკრებაზე გასვლა და რომელნიც უნდა გამოცხადდენ საექიმო შემოწმებაზე თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში 1927 წლის 2 მაისს დილის 9 საათზე

1) ბაქრაძე ლ. ს. 2) ბენდელიანი ა. გ. 3) ბაბტაძე დ. დ, 4) ბარბაქაძე ლ. ტ. 5) ბადრიაშვილი ნ. ი. 6) ბეგიაშვილი გ. ა. 7) ვარდანიშვილი ი. მ. 8) ვაჩნაძე ს. მ. 9) გიორგობიანი ლ. ი. 10) გამრეკელი გ. პ. 11) გედევანოვი გ. გ. 12) გეორგაძე ვ. ვ. 13) ღოღობერიძე პ. მ. 14) გვარამაძე ა. მ. 15) გოგოლაძე დ. ტ. 16) გიდევანიშვილი შ; კ. 17) გონაშვილი ზ. გ. 18) გოგორიშვილი ა. ს. 19) გვარამაძე გ. პ. 20) გვარამაძე ი. ზ. 21) გაწერილია ნ. გ. 22) დგვარელი ნ. დ. 23) დოლიძე დ. ნ. 24) ჯაბავა ი. ს. 25) დავითაშვილი ი. ი. 26) ჯილაური გ. ღ. 27) დემურიშვილი კ. პ. 28) ედიშერაშვილი გ. ი. 29) ზალდასტანოვი გ. დ. 30) კერესლიძე ბ. ა. 31) ქობულაშვილი ნ. მ. 32) ქელბაქიანი ვლ. დ. 33) ქენქაძე გ. ი. 34) კვიტაშვილი ა. ქ. 35) კვანტრიშვილი მ. ა.. 36) კუტივაძე პ. ტ. 37) ქუთათელაძე ი. მ. 38) კვანტალიანი ვ. ს. 39) ქუთათელაძე ე. ნ. 40) კანდელაკი დ. ს. 41) ლორთქიფანიძე ა. ი. 42) ლაბაძე ა. ს. 43) ლოლუა ი. ი. 44)მუშკუდიანი გ. ი, 45) მიმინოშვილი ნ. ვ. 46) მგალობლიშვილი შ. ს. 47) მესხი ლ. ბ. 48) მატარაძე ა. ლ. 49) მანტკავა მ. ი. 50) მესტიაშვილი გ. ვ. 51) ნებურიშვილი ა. ნ. 52) ნოცუბიძე ს. ი. 53) ნადარეიშვილი შ. ა. 54) თურცელაძე გ. ს. 55) ფურცელაძე ს. მ. 56) ფხაკაძე ვ. ღ. 57) ოქროპირიძე შ. ღ. 58) რატიანიძე კ. ს. 59)რუსიშვილი მ. მ. 60) რიჟამაძე ა. მ. 61) სირბილაძე ა. ი. 62) სიორიძე კ. ნ. 63) სურგულაძე ვ. მ. 64) სამარგანიშვილი დ. ა. 65) სიდამონ ერისთავი ,66) თარგამაძე პ. ე. 67) უსტიევი ა. ა. 68) ხოფერია შ. დ. 69) ხუციშვილი ა. ნ. 70) ხოტელაშვილი ა. ვ. 71) ხუნწარია ი. ა. 72) ხარიტონია პ. ა. 73) ხირსელი ა. ი. 74) ხუციშვილი ვ. გ.

(გაგრძელება იქნება)

პირველი მაისისათვის

კამპანიის ჩატარების გეგმა

(მიღებულია საქართველოს კომპარტიის ს (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების მიერ)

1) რაიონებში არსდება კომისიები, რომლებშიაც შედიან რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების გამგენი და მუშა-ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილების, ახალგ. ლენინური კომკავშირის, მსხვილი უჯრედების თავმჯდომარეები.

თემკომებთან არსდება კომისიები სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

2) ადგილებზე ეწყობა კომისიები, რომელშიაც შედიან კომუჯრედის, ადგილკომის, ახალგ. კომკავშირის ,რემედასის და ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

ქალაქში:

28-30 აპრილს მოხსენებანი „1 მაისის“ შესახებ მუშათა კლუბებში, მსხვილ წარმოებებში და დაწესებულებებში, ტეხნიკუმებში და ცხრაწლედებში.

მოხსენებანი წარმოებებში ტარდება მიმაგრებულ სამხედრო ნაწილებთან ერთად.

კედლის გაზეთების მორიგი ნომრები მიეძღვნება 1 მაისს და ბეჭდვითი სიტყვის დღეს.

პროფსაბჭოს შორს მაუწყებელი სადგური აწყობს რადიოთი გადაცემას.

დღისით

ა) მუშა, მოსამსახურეთა, წითელ არმიელთა, მოწაფეთა და პიონერთა ფართო მასიური დემონსტრაციები ფიზკულტურელების მონაწილეობით.

ბ) დემონსტრაცია ეწყობა პროფკავშირების ხაზით.

ბ) დემონსტრაციის მისალმებისათვის პარტიის ცეკასთან და მუშათა სასახლესთან დადგმულ იქნება ტრიბუნები.

საღამოთი

გ) თეატრებსა და კლუბებში წარმოდგენები, კინო, ცოცხალ გაზეთების წრეების გამოსვლები, ინსცენიროვკა და სხვ.

კამპანიის ჩატარებაში მიზიდულ უნდა იქნან ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, განსაკუთრებით რემედასი (ქალაქად) და ქალაქსა და სოფლის კავშირის ხელისშემოწყობი საზოგადოება (სოფლად).

1 მაისის დღესასწაული სკოლებში ტარდება განათლების ორგანოების მიერ გამომუშავებული გეგმის მიხედვით.

მაზრაში

ქოხ - სამკითხველოებში საუბარი, კითხვა 1 მაისის შესახებ. დიდ თემებში 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად ეწყობა სათემო საბჭოების საზეიმო სხდომები პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით; წაკითხულ უნდა იქნას მოხსენება 1 მაისის შესახებ.

დღესასწაულს ეძლევა მასიური სახალხო ხასიათი. ეწყობა სხვადასხვაგვარი გასართობები: ცეკვა, ბურთის თამაში, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, თბილისის პოლიტგანის მოძრავ კინო მიემგზავრება სოფლად. შეფები მიემგზავრებიან მათ შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებში.

კლუბებში ეწყობა საღამოები სპეციალური პროგრამით. კედლის გაზეთების მორიგი ნომრები მიეძღვნება 1 მაისს და ბეჭდვითი სიტყვის დღეს.

რემედასის საერთაშორისო კონფერენციაზე

რემედასის საერთაშორისო კონფერენციიდან თბილისში დაბრუნდა საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ძიგრაშვილი, რომელმაც, კონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ, ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი მასალები.

— რემედასის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მუშაობდა 11 დღე, შეიკრიბა რთულ მომენტში, როდესაც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს თეთრი ტერორი. ამასთან დაკავშირებით კონფერენციაზე სწარმოებდა მეტად ღირსშესანიშნავი მუშაობა და მიღებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებებისა, როგორიც არის: რემედასის მუშაობა კოლონიებსა და დომინიონებში, გლეხთა შორის მუშაობის ამოცანები, მუშაობა ინტელიგენტებში, შეფობის საკითხი, პოლიტიკური ემიგრანტობის საკითხები, მუშაობა პროფკავშირებში და სხვ.

კონფერენციაზე დასასწრებლათ ჩამოვიდა სულ 40 ქვეყნის წარმომადგენელი. პირველი კონფერენციისათვის კი ჩამოსული იყო მხოლოდ 13 ქვეყნის წარმომადგენელი.

მიუხედავათ იმისა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში სოციალ - დემოკრატებმა აღუკრძალეს თავიანთ წევრებს რემედასში მუშაობა — კონფერენციაზე მაინც ჩამოვიდენ რემედასში მომუშავე სოც.-დემოკრატების წარმომადგენლები. რემედასში ამჟამად გაერთიანებულია ექვსი მილიონი წევრი.

დიდი ხანძარი

ახალ-სენაკში

გუშინ რესპუბლიკის სახანძრო ინსპექციაში ახალ-სენაკის სამაზრო მილიციის უფროსის ამხ. იოსელიანისაგან მიიღეს დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ 16 აპრილს, ღამის პირველ საათზე, ახალ-სენაკში გაჩნდა დიდი ხანძარი.

ცეცხლი დაიწყო ერთ-ერთ სავაჭრო მაღაზიის სახლის სახურავიდან, საიდანაც შემდეგ გადავიდა ჭერებზე.

ცეცხლი ერთბაშად მოედო რამოდენიმე სავაჭრო მაღაზიებს.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრენ ადგილობრივი ცეცხლისმქრობელთა რაზმის და მილიციის თანამშრომლები.

შედეგათ ამ შემთხვევას მოჰყვა რამოდენიმე სავაჭრო მაღაზიის დაწვა, რომლებშიაც ეწყო სხვადასხვაგვარი წვრილმანი საქონელი: ფქვილი, შაქარი, მარილი და სხვ.

ხანძრის დაიწვა აგრეთვე ზოგიერთი სახლების სახურავები და ჭერები.

ხანძრით გამოწვეული ზარალი უდრის 100 ათასს მანეთს.

დაწვრილებითი ცნობები ხანძრის შესახებ ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული.

„აჭარა“ და „აფხაზეთი“

ლენინგრადის გემთასაამშენებლო ქარხნებში სწარმოებს ორი თბომავალი გემის აგება შავი ზღვისათვის (ყირიმ-კავკასიის ხაზი). ერთი გემის სახელწოდებაა „აჭარა“, მეორესი—„აფხაზეთი“. გემების აგების დასრულება განზრახულია მომავალი წლის სანაოსნო სეზონისათვის.

ნავთ-სადენი ბაქო-ბათომი

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ბათომში ნავთის გადასამუშავებელ ქარხნების და ბაქო - ბათომის ნავთსადენის მშენებელი ინჟ. დულგაკოვი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ინჟ. დულგაკოვმა განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია გამოარკვიოს ადგილობრივ საკითხი საჭირო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ ნავთის გადასამუშავებელ ქარხნებისათვის.

შეეხო რა ბაქო - ბათომის ნავთსადენს, ინჟ. დულგაკოვმა აღნიშნა, რომ მოსამზადებელი მუშაობა ნავთსადენის მოსაწყობად უკვე დაწყებულია; შემოდგომაზე დაიწყება მუშაობა სადგურის ასაგებად.

საგაზაფხულო მუშაობა

დასავლეთ საქართველოში

ამჟამად დასავლეთ საქართველოში სწარმოებს გაცხოველებული საგაზაფხულო მუშაობა. ითესება სიმინდი და სხვა გაზაფხულის პურეული. ამინდი ხელს უწყობს საველე მუშაობას. ვენახების გასხვლა უკვე დამთავრებულია. ეხლა სწარმოებს სანერგეებში ნამყენი ვაზის ჩაყრა. ვარციხის სახალხო მამულმა დაასრულა თავისი სანერგეებიდან ნამყენი ვაზის განაწილება. წელს ვარციხის მამულში დამზადებული იყო სულ 2 მილიონ ნახევარი ნამყენი ვაზი. აქედან გლეხობას და კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაურიგდათ სამი მეოთხედზე მეტი.

სახილე სანერგეებსა და აგრეთვე სუბტროპიკულ მცენარეების ბაღებში ხეხილი და მცენარეულობა უკვე კვირტიდან გამოსულია და ჰყვავის.

ჭლექის სამდღიური

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა ჭლექთან მებრძოლმა საბჭომ გამოიმუშავა გეგმა ტუბერკულიოზის სამდღიურის ჩასატარებლად მთელი რესპუბლიკის ფარგლებში გეგმა წარდგენილი არის განსახილველად და დასამტკიცებლად მთავრობის ორგანოებში.

სამდღიურის ჩატარებისას შემოსული თანხები გადაეცემა ადგილობრივ დისპანსერებს სოციალური დახმარების საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად. იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არაა მოწყობილი დისპანსერები. შეგროვილი თანხები უნდა გადაიგზავნოს ჭლექთან მებრძოლ რესპუბლიკანურ კომიტეტში, რომელიც უწევს ხელმძღვანელობას ჭლექთან ბრძოლის საქმეს.

რკინის გზებზე და მის დაწესებულებებში, სამდღიურის ჩატარებას უხელმძღვანელებს რკ. გზის სამმართველოს სამკურნალო განყოფილება.

მოძრაობის მოწესრიგება

ქუჩებში

თბილისის აღსკომის მიერ გამოცემული დადგენილებებით და ადმინისტრატიული განყოფილების მიერ მიღებული ზომებით შეიძლება მოწესრიგებულად ჩაითვალოს ქუჩებში საბარგო და გადასაზიდ საშუალებათა მოძრაობა, რასაც ბუნებრივად მოჰყვა უბედურ შემთხვევათა რიცხვის შემცირებაც. ადმ. განყოფილება ამჟამად მუშაობას აწარმოებს ქვეითად მოსიარულეთა დაუბრკოლებლად მოძრაობის მოსაწესრიგებლად. ნაწილობრივ ამ მხრივაც მიღებ. ზომები, მაგ. ქუჩიდან ქუჩაზე გადასასვლელ ადგილებზე გაკეთებ. იქნა გადასასვლელის მაჩვენებელი ფარნები და სხვ. მაგრამ ქვაფენილებზე მიმოსვლა ჯერ ვერ იქნა მოწესრიგებული. ქალაქის უმთავრეს ქუჩებში საქმიან მოქალაქისათვის პირდაპირ შეუძლებელია გავლა. მგზავრები უწესრიგოდ დაიარებიან შუაგულ ქვაფენილზე ჯგუფ-ჯგუფად, საუბრობენ და სხვა.

ახალ დადგენილების ძალით კი მოქალაქეებისათვის სავალდებულო იქნება ქვეითი წასვლის დროს იარონ მარჯვნივ, ხოლო ზევით მიმავალი [illegible]—მარცხნივ. ამავე დადგენილებით სასტიკად იქნება აკრძალული მთავარი ქუჩების ფილაქანებზე შეჯგუფება, რაც ხელს უშლის მიმოსვლას.

სახკომსაბჭოში

ბრძოლა საქონლის ჭირთან

სახკომსაბჭომ დაადგინა ეთხოვოს ა. კ. სახკომსაბჭოს მოახდინოს განკარგულება, რათა მიეცეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს სათანადო კრედიტი ოთხფეხი საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

წინადადება მიეცა მიწსახკომს მისცეს აფხაზეთის სახკომსაბჭოს საქონლის ჭირთან საბრძოლველად 3000 მან. და საჭირო ასაცრელი მასალა.

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგური

აჭარის წყალის ჰიდრო ელ. სადგურის სამუშაოთა საწარმოებლად ეთხოვა ა. კ. სახკომსაბჭოს მისცეს აჭარისტანის სახკომსაბჭოს—200.000 მან., რაიც მისაღები აქვს მას 1926—27 წ. ბიუჯეტით ადგილობრივ ელექტროფიკაციისათვის გადადებულ სახსრიდან.

გარდა ამისა სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა. კ. სახკომსაბჭოს გაიღოს აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა საწარმოებლად 1926—27 საბიუჯეტო წელში დამატებით 617.000 მან.

აჭარისტანის სახ. ვაჭრობა-მრეწველობის ამხანაგობის თბილისის წარმომადგენლობის შესახებ

რადგან აჭარისტანის სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის საპაიო ამხანაგობის თბილისის წარმომადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანის მრეწველობის საჭირო პროდუქციის რეალიზაციისა და მრეწველობისათვის საჭირო მასალის მიწოდების საქმეში, სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო ხსენებული წარმომადგენლობის დატოვება.

ამ მიზნით აღიძრა შუამდგომლობა, რათა გაუქმებულ იქნეს სათანადო ორგანოების მიერ გამოტანილი დადგენილება აღნიშნული წარმომადგენლობის ლიკვიდაციის შესახებ.

პური

ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმის გარეშე ინსპექციამ გამოიკვლია ამიერ-კავკასიისათვის პურის მიწოდების საკითხი. ამ გამოკვლევის შედეგების მიხედვით ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აუცილებლად სცნო მისცეს წინადადება ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატს, რათა ა) დაწესებულ იქნას სასტიკი მეთვალყურეობა შემოტანილი მარაგის სწორზომიერად დროულად განაწილებისათვის ამ.-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებს შორის; ბ) მიექცეს ყურადღება კავკასიის პურის უსტანდარტობას და მიღებულ იქნას სათანადო ზომები იმისათვის,რომ შესწყდება უსტანდარტო ხარისხის ფქვილის შემოტანა ამიერ - კავკასიაში, გ) საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის საშუალებით მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები, რათა შესრულდეს ხელშეკრულება „ზაკსოიუზისა“ და „ცენტროსოიუზს“ შორის ამიერ-კავკასიაში ხორბლის შემოტანის შესახებ. ამასთან ერთად მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა „კავხლების“ თბილისის კანტორას, რათა გააუმჯობესოს შემოტანილი ფქვილის ხარისხი ამირ - კავკასიისათვის გამომუშავებული სტანდარტების მიხედვით.

სამეცნიერო ექსპედიცია

საკავშირო სამეცნიერო აკადემია წელს აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში. ერთი ასეთი ექსპედიცია რომელსაც უშუალოდ აწყობს იაფეტიური ინსტიტუტი, აკადემიკოს ნ. მარრის ხელმძღვანელობით გაემგზავრება ჩრდილოეთ კავკასიის მთიან რაიონში საქართველოში, აფხაზეთში აზერბეიჯანში და სხ. ექსპედიციის მიზანი შეისწავლოს მთელი ხალხების ენები, იგავ-არაკების შეკრება და სხ. ექსპედიცია აგრეთვე განსაკუთრებით შეისწავლის უდინების ენას. ექსპედიცია გაემგზავრება ამა თვის ბოლო რიცხვებში.

წყალთა მეურნეობა

სარწყავი არხების რეკონსტრუქცია

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მივლინებული სპეციალისტთა კომისია ამჟამად აწარმოებს ეწერ-კულაში და ცხენის წყლის სარწყავ არხების გამოკვლევას იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს შესაძლებელია, თუ არა ამ არხების ერთ საინჟინერო სისტემაში გაერთიანება. არხების გაერთიანებას ერთ სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ გამოიწვიოს წყლით სარგებლობის გააფება ერთ მხრივ და მეორე მხრივ, დაიცავს გლეხების სახნავ - სათეს ყანებს დაჭაობებისაგან.

ნაგომარის ველის მორწყვა

წყალთა მეურნეობის სამმართველო ამ მოკლე ხანში დაამთავრებს კვლევა-ძიებას, რომელიც სწარმოებს ნაგომარის ველის მორწყვის საკითხის გამოსარკვევად. ნაგომარის ველი მდებარეობს მდინარე გობაზეულის მარჯვენა ნაპირზე ხიდისთავისა და ნაგომარს შუა. არხი, რომელიც გაყვანილ უნდა იქნეს მდინარე გობაზეულიდან (მდ. სუფსას შენაკადია) მორწყავს 3.500 დესეტინა მიწას. ამჟამად ნაგომარის ველზე ითესება მხოლოდ სიმინდი. მორწყვის შემდეგ ამ ველის ნიადაგი და ჰავა საუკეთესო პირობებს წარმოადგენენ მასზე კანაფის, ბამბის, ვენახების და სხვა ძვირფასი კულტურის გასაშენებლად.

ბრძოლა მეძაობასთან

მეძაობასთან მებრძოლ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი, პროფილაქტორიის მოწყობის შესახებ. (ამ შემთხვევაში პროფილაქტორიუმათ იგულისხმება სახელოსნოების მოწყობა, რომლებშიაც იმუშავებენ მეძავი ქალები).

მეძავ ქალების გამოყოფა ამ სახელოსნოებში მოხდება სპეციალური გამოკვლევით და ვენერიული დისპანსერების საშუალებით.

ამ მიზნის განსახორციელებლად საბჭომ მიმართა თხოვნით მთელ რიგ სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რათა გაიღონ თანხები ამ სახელოსნოების მოსაწყობათ.

კერძოდ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ უკვე განაცხადა ამის შესახებ თანხმობა და დაპირდა საბჭოს დახმარება თანხებით.

საბჭოთა საქართველო

წერილები

იგრედწოდებულ „აღდგომის“ მოლოდინში

ახლოვდება ეგრედ წოდებული აღდგომის უქმეები. ამ დღეებისათვის, ცხადია, ბევრი წინდაწინვე ემზადება. ლოთობას და თავდავიწყებულ ღვინის სმას, რომელიც ხშირად უბედური შემთხვევით ბოლოვდება, ალბათ ბევრგან ექნება ადგილი. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ „დღესასწაულის“ უქმობა ბევრს მთელი თვის და შეიძლება უფრო მეტი ხნის სარჩოთ დაუჯდება.

ცხადია, ასეთ „მხიარულებას“, რომელიც მატერიალურ ზიანს აყენებს მოსახლეობას და ხელს უწყობს მის გონებრივ სიბლუნგეს, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გულგრილად ვერ შეხვდება. ჩვენი მიზანია ხალხი გავარკვიოთ სარწმუნოების ბურუსიდან და შევასწავლოთ მას კულტურული დასვენება, დროის გატარება.

ამას ჩვენ ბრძანებით და ადმინისტრატიული ზეგავლენით ვერ მივაღწევთ. აქ საჭიროა უმთავრესად კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება—ამ სიტყვის ფართე გაგებით. როგორ დგას საკითხი კერძოდ ეგრეთ წოდებულ „აღდგომის“ დღესასწაულების შესახებ. ამ დღეს ჩვენმა ადგილობრივმა ორგანოებმა განსაკუთრებით უნდა გააჩაღონ მუშაობა. პირველ ყოვლისა, აქ დგას კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების მუშაობის საკითხი. ჩვენ უნდა გამოვტაცოთ ამ დღეს დროის გატარების ინიციატივა სოფლის ბნელ და ნაძირალა ელემენტებს. საჭიროა „აღდგომის“ უქმეებისათვის გაიმართოს წარმოდგენები, ექსკურსიები, საინტერესო მოხსენებები ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, სარწმუნოების მავნებლობის და კერძოთ „აღდგომის“ ლეგენდარულ წარმოშობის შესახებ. სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა მოეწყოს კინოსეანსები, ფეხბურთით და გაზეთების ხმამაღალი კითხვა და სხვ.

თუ ყოველივე ეს ჯეროვნად იქნება მოწყობილი, ჩვენ შევძლებთ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილის მიზიდვას და ამით მათ გადავარჩენთ ეკლესიის გავლენისაგან და ლოთობისაგან.

თუ ჩვენმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ მოახერხეს ამ მუშაობის შესაფერისად ჩატარება, ადვილი შესაძლებელია ზოგიერთი კომუნისტურად მოაზროვნე ელემენტებიც კი ჩაითრიოს ძველმა, დრომოჭმულ მამაპაპურ ქეიფმა და დროის ტარებამ. ასეთი მაგალითები ჩვენ წარსულშიაც რამდენჯერმე გვქონია.

გ. რ—ძე.

საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

(ლეჩხუმი)

ორბელ-ცაგერის გზატკეცილის დამთავრების საკითხი—მაზრის ხელისუფლების დღის წესრიგის მორიგი საკითხია.

რომ დიდ თოვლს ხელი არ შეეშალა, გზა უკვე დამთავრებული გვექნებოდა.

ამჟამად მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს. ცაგერის და ორბელის თემის გლეხებმა იმუშავეს 15—15-ტი და მეტი დღეებიც. ქალი და კაცი—ყველა გაფაციცებით მოელის იმ დროს, როდესაც „ფარელის“ მწვერვალზე ღრიალით და გუგუნით გადმოეშვება ავტომანქანა და გამარჯვების სალამს მიუძღვნის უგზოობისაგან გაჭირვებულ ლეჩხუმის გლეხობას.

ამ სანეტარო წუთის დღეთ, ჩვენ ვფიქრობთ, იქნება პირველი მაისი. როგორც სპეციალისტების გამოკვლევიდან სჩანს, სამუშაოთა 80 პროცენტი უკვე შესრულებულია. დარჩენილია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიციურ მუშა-ხელს. ამ სპეციალურ სამუშაოებისათვის საჭიროა ფული.

მაზრის აღმასკომმა, რაც მას თანხები ჰქონდა, მოახმარა გზას. ეხლა საქმის მიტოვება აღარ შეიძლება და გზა, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გვექნეს.

ამ გზის დამთავრებით მაზრა გამაგრდება წელში და ყოველ მხრივ წინ წაიწევს. ცენტრალური ხელისუფლება ამ საქმეს არ დასტოვებს უყურადღებოდ.

პ. ფრუიძე.

ხატის ბრალია.

(სოფ. სალოლაშენი, დირბის თემი).

სოფ. სალოლაშენის დასავლეთის მხრიდან მისავალზე სდგას ქვითკირის ორსართულიანი, შუშაბანდით შემკული მშვენიერი სახლი. სახლს გვერდს უმშვენებს ქვითკირისავე კოპწია შენობა-თავლა სასიმინდეთი, ბეღლით და სხვ. გადაჭიმულია იგი მაღლობზე, საიდანაც მოსჩანს თვალუწვდენელი უსაზღვრო ველი თოვლით აჭრელებული—„დედოფლის მინდორი“. მხოლოდ შორს სამხრეთით ამაყად გამოიყურება ტყით შემოსილი, ხევებით დასერილი თრიალეთი. სახლის წინ ორმოცი ნაბიჯის სიშორეზე დაღვრემილი, დახავსებული, აღმართულა ეკლესია სამრეკლოთი, მხოლოდ აქვე მოსავლელ გზის მეორე ნაპირზე სამანივით ატუზულა ქვით ნაშენი ნიში, სადაც ჩამოკიდებულია თვალებდაბრეცილი, გახუნებული, უნიჭო ხელით გათხუპნილი „ღვთისმშობლის“ ხატი. ნიშის ქვევით დასავლეთისაკენ ხევში მოჩუხჩუხებს მდინარე ფრონე; მისი ბუტბუტი ერთვის მეზობელ წისქვილის გაბოროტებულ ხრიალს და მარცხენა ნაპირზე ატეხილ ჭალაბაღების ზამთრისაგან დასევდიანებულ სისინს.

სახლის მფლობელი ბესო შუბითიძე თავის მრავალრიცხოვან ჯალაბით, მოუცვია სევდას. მისი ერთ-ერთი ვაჟკაცი შვილი განუკურნებელ სენით—ეპილეპსიით—არის შეპყრობილი, რომელსაც სოფელში ავ ზნეს ეძახიან. ბესო ეძებს შველას, მოიარა ექიმები, მკითხავები, მოლა... მაგრამ უშედეგოთ... ყოველდღე შუშაბანდიან სახლიდან მოისმის ალიაქოთი და აივანზე მოსჩანს შეშინებული, ცრემლიანი სახე დიასახლისისა.

ტანჯვას ბოლო არ ელება... ბესო მოლუშული, პირქუში ფიქრობს: „იქნებ ნიშის ბრალია“... ერთხელ კიდევ გაიგონა შავი სისინი: „ბევრი შეუძლია ღვთისმშობელს“. იგი იტანჯება ჩუმათ, ფარულად... ენანება ნაამაგარი, ოფლით ნაშოვნი კერა... მაგრამ... შვილი?! საყვარელი შვილი... ვაჟკაცი, ოჯახის ბურჯთაგანი... და იგი თვალცრემლიანი სწყვეტს: ღვთისმშობელი არ მყაბულობს, ჩემს სიახლოვეს არ ურიგდება, უნდა ავიყარო... და შებრალებლად ინგრევა მშვენიერი ორსართულიანი, შუშაბანდით შემკული სახლი, თავის შენობებით...

იმ სახლიდან აღარავინ უმზერს ტყით შემოსილს, ხევებით დასერილ თრიალეთს; „დედოფლის მინდვრის“ თვალუწვდენელ, უსაზღვრო ველს; ნაღვლიან დახავსებულ ეკლესიას...

ამ სახლში აღარ მოისმის ფრონის სევდიანი ბუტბუტი, წისქვილის გაშმაგებული ხრიალი და ჭალა-ბაღებს ნამტირალევი სისინი: წავიდა ბერი თავის ჯალაბით, დააყრუა და დაღუპა ოჯახი, მაგრამ შვილი მაინც ავადა ჰყავს. ხატის „მადლი“ მას მაინც ვერას შველის. ერთი ჭირი მჭირდა დღემდიო,—ამბობს ის გულდამწვარი,—ეხლა კი მეორეს გადავეყარეო. ასე იცის ხატმა, თუ კაცი საქმეს თავიანად ვერ დაუხვდება.

სერნარი.

ზარმაცი მენავე.

(სოფ. ქვედა-[illegible], გურია).

სოფ. ქვემო-[illegible] და ნაგომარს შორის [illegible] მდ. სუფსაზე გვაქვს ნავი, რომელზედაც მენავედ არის დაქირავებული ლ. გოგულია. უნდა ითქვას, რომ ეს მენავე ძლიერ ზარმაცია. ის დადის ბაზარ-ბაზარ და თავს იქცევს. ასე რომ გამსვლელებს უხდება საათობით ცდა და ძახილი. ხშირად ესმის, რომ მას უძახიან ნავზე, მაგრამ ის იმდენად ზარმაცია, რომ არ მოდის და, თუ როგორმე გამოჩნდა და მოვიდა, ისე ზანტად და მედიდურად იწყებს მუშაობას, რომ რამოდენიმე ხანს კიდევ გაგაჩერებს, სანამ გაგიყვანდეს. თუ გაბედე და უთხარი რამე, ლანძღვა-გინებით და უშვერი სიტყვებით გაგიმასპინძლდება.

ეხლა ჩვენს სოფელში მოდებულია ავადმყოფობა და ყოველ წამს გვჭირდება ნაგომარში გასვლა ექიმთან და აფთიაქში. ამიტომ ხშირად გვიხდება წყალში ფეხით გასვლა, რადგან „ზარმაც“ მენავეს თუ არ მოეპრიანა, რამოდენიმე საათს არ გაგიყვანს. გლეხობა გაიძახის: „რაში ვიხდით 250 ფ. სიმინდს? წყალში გავდივართ და პატრონი არავინ გვყავს“-ო. საჭიროა ადგილობრივმა აღმასკომმა სანაო კომისიასთან ერთად გამოაღვიძოს ეს „ზარმაცი მენავეც“.

აქსიომა.

რა ბედი ეწვია სოფლის ფულს.

(ქორეთის თემი, შორ. მაზრა).

წარსულ წლის ივლისში სოფელმა გაიწერა ფული დაახლოვებით ოთხასი მანეთი სოფ. საირხის ოთხწლედის სკოლის შესაკეთებლად, მაგრამ ამ ფულით ჯერ არაფერი გაკეთებულა.

დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ის გლეხები, რომლებმაც აგერ ცხრა თვეა ფული გადაიხადეს. ისინი გაიძახიან: „ან დაგვიბრუნონ ფული, ან ყველას გადაახდევინონ ან ის გვითხრან, რა გაკეთდა აღებული ფულით“-ო.

ვინ არის დამნაშავე: გლეხობა, სასკოლო კომისია, თუ აღმასკომი, რომ სკოლა დღემდე ვერ შეკეთდა?

ხაირხელი.

ნათესავ-მეგობრების მოყვარული.

(თეთრი წყარო, თბილისის მაზრა).

ორ წელზე მეტია, რაც აქ დაარსდა საბავშვო ახალშენი, რომლის გამგეთ უკანასკნელად დანიშნულ იქნა მოქალაქე ტურუზიანცი. ამ პირმა ერთი წლის განმავლობაში მოახერხა თავისი ერთგული მეგობრებით შეევსო ახალშენის შტატი. ამავე დაწესებულებაში თანამშრომლად ჩააყენა თავისი ცოლი. ტურუზიანცმა ნება დართო თავის თანაშემწეს მოქ. შაპოშნიკოვს ამსახუროს თავისი მეუღლე ძმითურთ. მეორე თავის თანაშემწეს, მელიქიანცს, ნება მისცა თავისი შვილით მოიკალათოს კოლონიაში.

ჩემის აზრით, ერთ და იმავე დაწესებულებაში ამდენი ცოლქმრები, მამაშვილები ყოვლად დაუშვებელია.

ამ მოვლენას, ვგონებთ, მიექცევა სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

გალატაკებული.

„ორაგულის სასჯელი“.

(ხოტევის თემი, რაჭა).

სოფ. წყადისში იყო ერთი მასწავლებელი გრიგოლ ენუქიძე, რომელიც მეურნეობას მეტს ეწეოდა, ვიდრე სკოლის საქმეს. სამსახურში ის მოდიოდა დღის 12 საათზე. ცოტას წაუმეცადინებდა ბავშვებს და შემდეგ გარბოდა ყანაში.

ბევრჯერ იყო ოქმები გადაგზავნილი იმის უწესო მოქმედების შესახებ, სადაც ეკუთვნოდა, მაგრამ ამან არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. პირიქით, დათხოვნის მაგივრად, ის უკეთეს ადგილას,—ხოტევში იქნა გადაგზავნილი. არ ვიცი, რად არ აქცევს სათანადო ორგანო აქედან გაგზავნილ ოქმებს ყურადღებას? მასწავლებელ ენუქიძეს კი ორაგულის ბედი დაემართა, როცა ორაგული დასაჯეს და წყალში გადაისროლეს.

ლუკა კაციას ძე ენუქიძე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. გაკეთებულ იქნება მოხსენება ფასების დაკლების შესახებ.

სალამი ჩვენს წითელ მილიციას.

დღეს მილიციის დღეა. საქართველოს მშრომელნი დღესასწაულობენ მისი არსებობის ექვსი წლისთავს. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ პროლეტარიატი შეუდგა ახალი წყობილების შექმნას. აირჩია თავისი მუშური ორგანოები, რომლებიც უძღვებიან მუშურ სახელმწიფოს. მუშათა კლასმა გააუქმა ძველი პოლიცია და ახალი წესრიგის დაცვა დაავალა მუშურ-გლეხურ წითელ მილიციას. თუმცა მას ამაში ბევრი დაბრკოლება ელობება წინ, მაგრამ მუშათა და გლეხთა წითელი მილიცია თავის საგუშაგოს არ სცილდება,—იცავდა მტკიცედ, იცავს რევოლიუციონურად შინაურ წესრიგს, დიდ შედეგსაც მიაღწია კიდეც, რასაც აფასებს დღეს მშრომელი ხალხი.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მილიციას!
გაუმარჯოს მის ბელადებს!
გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

მუშკორი კალამი.

ღირსეული მუშა.

ვასო კოჭლაშვილი ღარიბი გლეხის მეწისქვილის შვილია სოფ. მეჯვრისხევიდან (გორის მაზრა). მენშევიკების ბატონობის დროს არა ერთხელ იყო დევნილი და ციხეში მოთავსებული რევოლიუციონური მუშაობისათვის. ის უბრალო მუშაა. მსახურობდა რკინის გზაზე დარაჯად. რკინისგზის მილიციის ჩამოყალიბების დღიდან 1921 წ. ვასო ინიშნება მის პოლიტიკურ კომისრად, ხოლო ერთი წლის შემდეგ—საზოგადოების მყუდროების დამცველ ბრიგადის უფროსად. 1923 წ. დასაწყისში ამიერ-კავკასიის რკინისგზების დაცვის რაზმების მდგომარეობა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ამ თანამდებობაზე სწორედ ვასო დანიშნეს. პირველ რიგში მან გასწმინდა რკინისგზის დაცვის რაზმი. კულტმუშაობა, რომელიც სუსტად იყო დაყენებული, მისი მეოხებით სათანადო კადრის შექმნით თანდათან გამოცოცხლდა.



ამხ. კოჭლაშვილი

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორიც არის: რემედასი, ავიაქიმი, ირიცხებიან ყველა მსროლელების 100 პროც. ვასო არამც თუ ადმინისტრატორია, არამედ ის კულტმუშაკიც. მატერიალური მხარე ამხ. ვასოს ამ თანამდებობაზე დანიშვნის პირველ ხანებში ცუდი იყო. დღეს კი მსროლელის ჯამაგირი 80 მანეთია და თან ურიგდებათ ტანისამოსი. სანიტარული მდგომარეობის მხრივ რაზმები დამაკმაყოფილებელია. ამ ახლო წარსულში წარმოებულმა ამიერ-კავკასიის რკინის გზების დაცვის რევიზიამ და გამოკვლევამ აღნიშნა დაცვის სამაგალითო მდგომარეობა ამხ. ვასოს ენერგიული და სამაგალითო მუშაობის მეოხებით, რისთვისაც მას ს. ს. რ. კ. გ. ს. კ. ბრძანებით გამოეცხადა მადლობა. ამხ. ვასო ერთ-ერთ მსროლელთა კრებაზე ამორჩეულია საპატიო მსროლელად.

რ. აზრუმანოვი.

30 წელი ორთქლმავალზე.

ამხ. მიშა ტიტვინიძე ძველი რევოლიუციონერია. რევოლიუციონურ მოძრაობაში ის ჩაება ჯერ კიდევ 1900 წ. ის ებრძოდა თვითმპყრობელობას. მას ხშირად უხდებოდა 1904—5 წელში ორთქლმავლით გადაყვანა პროპაგანდისტების და წითელრაზმელების, აგრეთვე იარაღის გადატანა და არალეგალურ ლიტერატურის გადაზიდვა-გადმოზიდვა.

ამხ. მ. ტიტვინაძე

განვლო მას შემდეგ ათეულ წლებმა და მიშა მაინც მემანქანეა. ის ძველი რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლების მტრების დაუძინებელი მტერია. ის მტერია მათი, ვინც გულცივად ეპყრობა თავის სამსახურს და უბედურ შემთხვევებს იწვევს რკინის გზებზე. მან ამ ორ წელიწადში რამოდენიმეჯერ იხსნა მატარებლები უბედურ შემთხვევებიდან, რითაც დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს სახელმწიფოს. აი მთელი რიგი მისი გმირობისა: 8 იანვარს 1925 წელს მან გადაარჩინა დამსხვრევიდან სასწრაფო სახალხო მატარებელი; 29 მაისს 1925 წელს გადაარჩინა დამსხვრევიდან სწრაფი მატარებელი; 2 იანვარს 1926 წელს გადაუტყდა ორთქლმავლის ღერძი. მთელი შემადგენლობა ხალხით გადაარჩინა; 22 ოქტომბერს გადაარჩინა სასწრაფო მატარებლის მთელი შემადგენლობა; მან შენიშნა სიბნელეში ლიანდაგზე გაწყდით ტელეგრაფის ბოძი ს. გარდაბან-რუისთავის შუა. არა ერთხელ ყოფილა მოთავსებული შენიშვნა მიშას გმირობის შესახებ ქართულ-რუსულ პრესაში.

ღირსია თუ არა იტაროს მან შრომის გმირის სახელი?

მუშკორი შავსოფლელი.

ფხიზელი მუშაკები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ამ უკანასკნელ დროს სისტემატიურ მოვლენად იქცა გზის მოძრავ შემადგენლობის და რონების უვარგის მდგომარეობაში აღმოჩენა.

ასეთ შემთხვევებს შეუძლია რკ. გზისათვის დიდი ზარალის მიყენება და, რომ ზოგიერთი მუშაკები, როგორც არიან კონდუქტორები, მეისრენი და სხვ., რომლების სამსახურის შესრულება დაკავშირებულია ხოლმე ზემოაღნიშნულ ინვენტართან, რომ არ იჩენდნენ საკმაო სიფხიზლეს, მაშინ ჭეშმარიტად, რომ ჩვენ ვიქნებით მოწმენი უბედურ შემთხვევათა, რომელნიც საგრძნობლად დიდ ზარალს მიაყენებდა რკინისგზის ტრანსპორტს და უნაყოფოთ მოსპობდა აურაცხელ სახალხო დოვლათს.

ქვემოთ ჩვენ აღვნიშნავთ სიფხიზლის წყალობით აღმოჩენილ შემთხვევებს: სად. ხაშურის კონდუქტორმა კირილე მანჯავიძემ ამა წლის 6 მარტს სადგურ წიფაში მატარ. № 352-ის შემადგენლობაში შეამჩნია, რომ დატვირთულ ქვაბს № 559085 გახეთქოდა ბორბალი. ქვაბის გაგზავნა ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო. ქვაბი იქნა მოხსნილი და დატოვებული სადგურზე ბორბლის გამოსაცვლელად. იმავე სადგურის უფროსმა კონდუქტორმა კალენიკე მოლრაძემ ამა წლის 15 მარტს სადგურ ძირულაში მატ. № 192-ის შემადგენლობაში ქვაბი № 338166-ს აღმოუჩინა გატეხილი და სრულიად უვარგისი ბანდაჟი. ქვაბი იქნა მოხსნილი, ყოველივე ამის შესახებ შესდგა ოქმი № 1. მატ. № 193-ის მთავარი კონდუქტორმა ალექსანდრე ქურდაძემ ამა წლის 26 მარტს გვირაბში—217 კილომეტრზე, შეამჩნია გატეხილი და უვარგისი რონი. ამის შესახებ იქნა განცხადებული სადგურის მორიგისათვის; მიღებულ იქნა საჭიროდ ზომები უვარგისი რონის გამოსაცვლელად.

მ. რკინისგზელი.

მუშათა ქრონიკა.

— 5000 თეატრის ბილეთი პროფკავშირის წევრებისათვის. საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მიიღო პროფკავშირის წევრებისათვის ბილეთები 50 პროცენტის ფასდაკლებით მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალურ სტუდიის წარმოდგენებზე. ბილეთების მიღება იწარმოებს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში ამა წლის 22 აპრილამდე.

— 665 მან. 48 კაპ. დახმარება. საქპროფსაბჭოსთან არსებულ პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ მიიღო გორის მაზრიდან პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შეგროვილი 665 მან. 48 კაპ.

— დახმარება უმუშევართათვის. მბეჭდავთა კავშირის ცენტრ. გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით ამავე კავშირის უმუშევარ წევრთათვის დახმარების მიცემა სწარმოებს თვეში ორჯერ—პირველს და 30 რიცხვებში.

— კავშირში აღდგენა. მედსანშრომის კავშირის ც. გ. აღადგინა თავის უფლებებში კავშირიდან მექანიკურად გამორიცხული ამხ. პეტერსენი.

— მბეჭდავთა კავშირში. მბეჭდავთა კავშირის ც. გ. პირველ პლენუმმა მიერ კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ნიკიტინი.

— ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება. საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამპროფბიუ-გება განსაკუთრებულ პროგრამით კლუბები როს ავტონომიურ რესპ. პროფსაბჭოების 192

— ყრილობა, დღეს, 19 აპრილს, საღამოს საათზე, შრომის სასახლის დიდ დარბაზში გა წ. 1-ლ ნახევრის ხარჯთაღრიცხვა.

— შუამდგომლობა. საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, ეთხოვოს სრ. საკავშირო პროფსაბჭოს მოწვეულ იურისტების თათბირზე ს. ფ. ს. დაეთმოს ერთი ადგილი.

— ყრილობა. 27 აპრილისათვის, საღ. 6 საათ ხსნება სრ. საქ. აღმშენებელთა კავშირის რეს მეექვსე ყრილობა.

რკინისგზეზე

ეკონომიური დარგის უფროსი

ა.-კ. რკ. გზ. ეკონომიური დარგის უფროსად დაინიშნა ამხ. გორიაინოვი.

შპალების გამოცვლა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ამ წლის დამდეგს შესცვალეს 250.000 წიფლის შპალი, გაჟღენთილი პროფ. გულენკოს მეთოდით.

პროფ. გულენკოს მეთოდით შპალების გაჟღენთვამ ვერ გაამართლა იმედები, რადგან შპალების უმეტესობა დალპა. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ წელს გზა იძულებულია დაგებული შპალები ახლებით შესცვალოს.

რათა მომავალში თავიდან აცილებული იქნეს შპალების დალპობა, მოკლე დროის განმავლობაში ამიერ-კავკ. რკინისგზის გამგეობამ მიმართა თხოვნით გზათა მიმოსვლის კომისარიატს, გაადიდოს შპალების შეცვლის პროგრამა საჭირო რაოდენობამდე და გასცეს ამისათვის 426.000 მანეთი.

სასამართლო

ბოროტმოქმედება თამბაქოს ტრესტის მაღაზიებში

(კ. კუციდის და ს. ლორთქიფანიძის საქმე).

პირველი დღე.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ი. იტრიევის და ვ. თომაძის და მდივან ხებუას მონაწილეობით დაიწყო თამბაქოს ტრესტის პირველი მაღაზიის ყოფილი გამგის სერგო ლორთქიფანიძის და მეორე მაღაზიის ყოფილი გამგის კონსტანტინე კუციდის საქმის გარჩევა, რომლის შინაარსი მოთავსებული გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

ბრალმდებლათ გამოდიან: აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურორი ამხ. გრიგოლ გაბუნია და პროკურორის თანაშემწე ს. გრიგოლია.

ბრალდებულ კუციდის იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ბ. ქავთარაძე და ამირაგოვი, ხოლო ბრალდებულ ლორთქიფანიძეს კი — ს. დადიანი და გუბელაძე.

სამოქალაქო მოსარჩლის მხარეს იცავს მ. ტატიშვილი.

გამოწვეულია 46 მოწმე.

გამოწვეულია აგრეთვე კალიგრაფიული და საბუღალტერო ექსპერტები.

გუშინ წაკითხულ იქნა მხოლოდ საბრალდებო ოქმი.

სასამართლომ დააკმაყოფილა მხარეების შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების გამოწვევის შესახებ.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება ესწრება.

დღეს დაიწყება ბრალდებულთა დაკითხვა.

ქრონიკა

მ.-გ. მილიციის ექვსი წლისთავი.

დღეს, 20 აპრილს, მ.-გ. წითელ მილიციის ექვსი წლისთავის შესრულების გამო, საღამოს 8 საათზე, ახალ მუშათა კლუბში შესდგება საზეიმო სხდომა მ.-გ. მილიციის პატივსაცემლად.

სხდომის დასასრულს მოხდება მილიციის ერთგულ მუშაკთა დაჯილდოვება.

თბილისი—ლენინგრადი.

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ თბილისი—ლენინგრადის ტელეფონის მთელ მანძილზე უნდა მოაწყოს თბილისი—ყაზბეგის ტელეფონის ნაწილი 192 ვერსის სიგრძეზე. ამ ნაწილიდან უკვე მოწყობილია 8 ვერსის მანძილზე; მუშაობა დამთავრდება 2½ თვის განმავლობაში.

ბათომის საქონლის ბირჟის ლიკვიდაცია

საქონლის ბირჟების რეორგანიზაციის შესახებ საკავშირო უმაღლეს ორგანოების მიერ გამოცემულ დადგენილების თანახმად ამ მოკლე ხანში მოხდება ბათომის საქონლის ბირჟის ლიკვიდაცია.

მიმდინარე წელს მოსალოდნელია თვალსაჩინო ოპერაციები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე, განსაკუთრებით: დაფნის ფოთოლზე, კაკალზე, ფანერაზე და სხვა.

ამის გამო ბათომის ბირჟამ აღძრა შუამდგომლობა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ბათომში, აღნიშნულ საქონელზე საბირჟო ოპერაციების საწარმოებლად დანიშნოს თბილისის ბირჟის სპეციალური კომერციული რწმუნებული.

კანაფის დათესვა.

დაიწყო კანაფის დათესვა ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამ საქმისათვის გასცემს 47.000 მან. სესხს. ნათესის სივრცე მიმდინარე წელში გადიდებულია საშუალოდ 50 პროცენტით, რაიც შეადგენს 600 დესეტინას. გლეხებისა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისაგან მოდის მრავალრიცხოვანი მოთხოვნილებანი კანაფზე, მაგრამ საზოგადოება „კანაფს" არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება „კანაფის" უქონლობის გამო.

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დროს სტუდენტ. გამოცდები უნდა ჩააბარონ შემდეგ საგნებში. ქართული ენა, წერა. რუსული ზეპირი, საზოგადოებათ მეცნიერება, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ალგებრა და ფიზიკა. განათლების კომისარიატმა დაავალა უმაღლეს სასწავლებლების გამგეობებს, წარმოადგინონ სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტის ჩარიცხვა შეიძლება თვითეულ ფაკულტეტზე მომავალ სასწავლო წლიდან.

საკურორტო სეზონისათვის

მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობით, წელს აბასთუმანში გაქირავდება 307 ოთახი. ოთახების საქირავებლად განცხადებების მიღება იწარმოებს 1 ივნისამდე. განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს ექიმის მოწმობა რომ დამქირავებლისათვის აუცილებლად საჭიროა კლიმატიური ექიმობა.

საკურორტო სამმართველო ამჟამად აწარმოებს ყველა ზონების შეკეთებას და დეზინფექციას. ოთახების კეთილმოწყობა დამთავრდება მაისის შუა რიცხვებში.

იტალიის გენერალური კონსულის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ახლად დანიშნული იტალიის გენერალური კონსული თბილისში ბ. **ზანოტტი-ბიანკო-მარიო.**

თბილისის აღმასკომში

◆ **ზაჰესის რაიონის** კეთილმოსაწყობად და ახლო-მახლო ბაღების გასაშენებლად გადადებულია 7.000 მან.

◆ **ხიდების შეკეთება.** ქვე-ერწოს ხიდების შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 200 მანეთი.

◆ **მშენებლობა გარე უბნებში.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაამტკიცა გარე-უბნებში აღმშენებლობის და კეთილმოწყობის გეგმა მიმდინარე წლისათვის.

◆ **ბალებზე** შესასვლელ ბილეთებზე, როგორც კინო-თეატრის ბილეთებზე, დარიცხული იქნა 10 პროცენტიანი გადასახადი.

განათლების კომისარიატში

◆ **ფინანსიური კურსები.** ფინანსიური კურსების მდგომარეობის გამოსაკვლევად შესდგა კომისია მ. მეძმარიაშვილის, ა. ერქომაიშვილის და ე. მამულაიშვილის შემადგენლობით.

◆ **მაზრის სკოლების** გამოსაკვლევად ადგილებზე მივლენილი იქნენ ინსტრუქტორები. პირველ რიგში გამოკვლეული იქნება გორის, სიღნაღის, ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრების სკოლები.

◆ **კერძო კურსების გაუქმება.** განათლების კომისარიატის დადგენილების თანახმად რესპუბლიკის ფარგლებში არსებული ყველა კერძო კურსები, რომლებიც ამზადებენ მოწაფეებს უმაღლეს სასწავლებლებში და ცხრა წლედებში შესასვლელად დახურულია.

სხვადასხვა

◆ **რადიო-გადაცემა** დღეს სახელმწიფო ოპერასთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

1. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—9 საათზე, 2. რადიო ტექნიკური კონსულტაცია—9—20 და 3. ოპერის ტრანსლიაცია—9,30.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს ამხ. კირილოვი ტექნიკურ თანამშრომელთათვის წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ აწარმოებს კავშირი ტექნიკურ მომუშავეთა შრომის და ჯანმრთელობის დაცვას".

◆ **უმუშევართა კრება.** 22 აპრილს, საღამოს 6 საათზე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის საზაფხულო კლუბის შენობაში (კირკის ქუჩა № 3) მოწვეულია ამავე კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება. კავშირის უმუშევარ წევრების დასწრება აუცილებელია.

◆ **საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ.-ბაში:** პარასკევს, 29 აპრილს, საღამოს 7 ს. საქ. მუზ. შენობაში დანიშნულია საზ-ბის წლიური კრება. დღის წესრიგი: 1) საბჭოს ანგარიშები, 2) სარევიზო კომისიის მოხსენება, 3) საზ-ბის ორგანოების არჩევნები.

◆ **საქ. გეოგრაფიული საზ-ბაში** დღეს 20 აპრილს საქ. მუზეუმის დარბაზში საღ. 7 საათზე შესდგება გეოგრაფიულ საზ-ბის მთასვლა მეზა-ეროვნულ განყოფილებს სხდომა, რომელზედაც ვ. ციცქარიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ბუნებრივ რკინის შენარეთნი და რკინის მარაგი მსოფლიოში".

შემთხვევები

დაჭრა

18 აპრილს, ღამის 12 საათზე, მთაწმინდაზე თავი დაიჭრა მოქ. **ზაქარია ჟუმბაძემ.**

ჟუმბაძის გასროლილი ტყვია უცაბედათ მოხვდა იქვე მყოფ მოქ. **ლეონიდ წეროძეს.** ეს უკანასკნელი დაიჭრა.

ტრამვაის ქვეშ

გუშინ სადგურიდან მომავალი ტრამვაის რონოდა № 114 (მარშრუტი 3), საბჭოს ქუჩაზე დაეჯახა ტრამვაის პარკის თანამშრომელს გიორგი **კოპალაძეს** და მძიმედ დააშავა.

საავადმყოფოში მიყვანისას კოპალაძე გარდაიცვალა.

ვატმანი **ლავრენტი არხიპოვი** დაპატიმრებულია.

დიდი ხანძარი.

გუშინ, დილის 5 საათზე, გაუჩნდა ცეცხლი მოქ. ვაშაკიძის ავეჯეულობის სახელოსნოს (კალოუბნის ქ., № 19).

ცეცხლი დაიწყო ავეჯეულობის მაღაზიიდან, საიდანაც შემდეგ გადავიდა ჭერებზე და **მახლობელ დუქნებზე.**

ცეცხლი პირველად შენიშნა მეეზოვემ, რომელმაც საჩქაროდ გამოიწვია ცეცხლის მქრობელი რაზმი. ერთი რაზმი უძლური გამოდგა სტიქიასთან ბრძოლაში. ამის გამო პირველი რაზმის მოსაშველებლად გამოვიდა მეორე რაზმი.

მათი ენერგიული მუშაობის წყალობით ცეცხლი სამ საათში ჩაქრობილ იქნა.

ხანძრის დროს დაზიანდა 11 დარაბა.

ხანძრით გამოწვეული ზარალი უდრის დაახლოებით 3.000 მანეთს.

ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

ამ ხანძრის ჩაქრობის დროს პირველად გამოყენებული იქნა **კენიგის** სისტემის საკვამლე აპარატი.

◆ **ჯიბგირობისათვის** 18 აპრილს დააპატიმრეს ივანე ხაჩატურისძე პაპაიანი.

◆ **თავის მოწამვლა.** 18 აპრილს კახეთის ქ. № 45 თავი მოიწამლა თამარა გველესიანმა, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 18 აპრილს კლარა ცეტკინის ქუჩა № 4 გაქურდეს ალექსანდრე სკრიპალოვის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ანასტასიევის ქუჩა № 8 ნინა ჭაკარაშვილის ბინის აივნიდან მოიპარეს პალტოები 250 მ. ღირებული.

◆ **დაჭრა.** ლევან პარუნზეგის სასიკვდილოთ დაჭრისათვის 18 აპრილს შეიპყრეს კარაპეტ ნიკოლოზისძე ბადალოვი.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** მოქ. ქოროღლიანცის საქსოვ სახელოსნოს გაქურდვისათვის შეიპყრეს ვარლამ გასპარიანცი, და არამ აზროიანცი და მიხაკ ხაჩატურიანცი.

◆ **მცირე წლოვანი ქურდები.** 18 აპრილს დააპატიმრეს მცირე წლოვანი ქურდები გრიგოლ სიდოროვი და ბორის დანჩენკო და მათი ხელმძღვანელი ალექსანდრე სალტოვი.

◆ **ქურდობა.** 18 აპრილს კამოს ქუჩა № 56 გაქურდეს მორგებული გასაღების საშუალებით გიორგი მახარობლიძის ბინა. წაიღეს 80 მ. ნივთები.

◆ **დაკარგვა.** მოქ. იუსტინე გამყრელიძემ განუცხადა მილიციას, რომ ოთხი დღის წინად სახლიდან გავიდა მისი მოსამსახურე 11 წლის მარგაროვა და დღემდე არ დაბრუნებულა სახლში.

კონკურსი

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის

საკავშირო სამხატვრო აკადემია აცხადებს საკავშირო კონკურსს სადღესასწაულო ფლაგზე ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისათვის.

ხელოვნება

მსახიობ ვ. ფაფაზიანის იუბილე

(25 წლ. სასცენო მოღვაწეობის გამო)

სომხ. ხელოვნ. სახლის—„აიარტუნ"-ის ხელმძღვანელობით ამა თვის 20-ში, რუსთაველის თეატრში იმართება სომხ. აკადემიურ დასის მსახიობ **ვაჰრამ ფაფაზიანის** სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

ვაჰრამ ფაფაზიანი როგორც ნიჭიერი მსახიობი ცნობილია არა მარტო სომხებისათვის, მისი მშვენიერი თამაში უგემნიათ თანაბრათ, ქართველებს, რუსებს თურქებს და სხვებს.

პირველად ახალგაზრდა ფაფაზიანი გამოდის სცენაზე 1902 წელს ქ. სტამბოლში მნაკიანის დრამატიულ დასში და ამ გამოსვლისთანავე დიდს შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე. ამ დღიდან სამუდამოდ ირკვევა მისი მომავალი ადგილი სასცენო ასპარეზზე.

მთელ რიგ წარმოდგენების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად სტამბოლიდან ფაფაზიანს აგზავნიან ვენეციაში, სადაც მას ეძლევა დიდი საშუალება სასცენო განვითარების გასაღრმავებლად.

1908 წელ. ფაფაზიანს ვხედავთ მილანის დასში, საიდანაც იწყება მისი განუწყვეტელი მუშაობა როგორც მშობლიურ სომხურ, ისე ფრანგულ, იტალიურ და თურქულ სცენებზე, ამ ხალხთა ენებიც მას ისევე ემარჯვება, როგორც სომხური.

ფაფაზიანის არტისტული სახეობა დიდია და მრავალფეროვანი, მასში პოულობს საუკეთესო განსახიერებას მრავალგვარი ტიპები, მაგრამ მისი სტიქია განსაკუთრებით ტრაგიკული როლებია და ამიტომაც სამართლიანად ის ითვლება სომხ. ცნობილი ტრაგიკოსად, პ. ადამიანის მემკვიდრეთ.

საიუბილეო წარმოდგენა დანიშნულია ა. დიუმას ცნობილი „კინ"-ი.

ა. თუმანიანცი.

მრავალისა და გაბაშიძის კონცერტი

კონსერვატორიის დარბაზში შესდგა მსახიობ ქალების — მრავალისა და გაბაშიძის კონცერტი, რომელნიც პირველად გამოვიდენ საკონცერტო ესტრადაზე სარომანსო ლიტერატურის შესრულებით. კამერული სიმღერა განსხვავდება საოპეროსაგან. საკონცერტო ესტრადაზე საჭიროა უფრო ზედმიწევნითი შესრულება, ვინაიდან აქ არ არის საოპერო შესრულების მხარე-სცენიურობა, რომელიც ხანდახან ფარავს ვოკალური შესრულების ნაკლულოვანებებს. ორივე მომღერალმა ქალმა დაიჭირა გამოცდა. ლამაზი ხმა და მუსიკალობა მნიშვნელოვნად უწყობდა ამას ხელს. მშვენიერად იქნა შესრულებული „ნანა" — ზაქარია ფალიაშვილისა და პირველი დუეტი ოპერა „ლაკმედან". სჩანს, რომ მრავალი მუშაობს და-წინ მიდის. მან მეტად მუსიკალურად შეასრულა არია პუჩინის ოპერიდან — „ქ-ნი ბატერფლეი". გაბაშიძემაც მუსიკალურად და კარგი ტექნიკით შეასრულა ვიოლეტას არია ოპერა „ტრავიატადან".

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა — **ქუმსიაშვილმა, ვენაძემ, ანდღულაძემ** და **ცირღილაძემ,** ჩვეულებრივი რეპერტუარით. მხოლოდ ანდღულაძემ განაახლა რეპერტუარი—მან შეასრულა ერეკლეს არია იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატიდან". უნდა აღინიშნოს შალვა ცირღილაძის ვოკალური შესრულების გაუმჯობესება — იგი ხმას უფრო თავისუფლად ხმარობს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქართული დრამის მსახიობმა **თამარა ჭავჭავაძემ,** რომელმაც წაიკითხა გრიშაშვილის ლექსი და ვიოლენჩელისტმა **თაქთაქიშვილმა,** რომელმაც შეასრულა თავისი ძმის — შალვა თაქთაქიშვილის მუსიკალური სურათი „მწუხარება". შესრულება იყო მუსიკალური განწყობილებით გამსჭვალული.

მუსიკოსი.

◆ **პიანისტ ბაროვსკის** კონცერტები გაიმართება 6 და 7 მაისს ოპერის თეატრში.

საჰაერო მიმოსვლა

მიმდინარე წლის საჰაერო მიმოსვლა თბილის მოსკოვს შორის დაიწყება პირველი მაისიდან. მიმოსვლა უნდა გახსნილიყო თოთხმეტ აპრილს, მაგრამ გვიანი გაზაფხული და ნისლები, რომელიც ამ დროს იცის, ხელს უშლიდენ წესიერ მიმოსვლას და ამიტომ საჰაერო რეისების დაწყების დღე გადადებული იქნა პირველი მაისისათვის. მიმოსვლა თბილის-მოსკოვ შორის აწყობს უკრაინის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოება—„უკრვოზდუხპუტ" მიმოსვლა იქნება ყოველდღიური.

„უკრვოზდუხპუტ"-ის აეროპლანების პარკი შევსებულია უცხოეთიდან მიღებული აპარატებით. („დორნიე მერკური" სისტემის).

გარდა უცხოეთში დამზადებული აეროპლანებისა, „უკრვოზდუხპუტ"-ი ხარკოვში აგებს ახალ აეროპლანებს საბჭოთა კონსტრუქტორის ამხ. კალინინის პროექტის მიხედვით. ეს აეროპლანები მთლიანად საბჭოთა კავშირში დამზადებულ მასალიდან იქნებიან გაკეთებული.

მიმდინარე წელს სამგზავრო ტარიფი შემცირებულია 30 პროცენტით. შარშან მგზავრობა თბილისიდან მოსკოვამდე ღირდა 145 მან., მიმდინარე წელს კი ეღირება მხოლოდ 94 მან., შემოღებულია მგზავრების სავალდებულო დაზღვევა. ამისათვის მგზავრს დამატებით გადახდება ბილეთის ღირებულების 5 პროცენტი. თითეული მგზავრი დაზღვეული იქნება 5.000 მანეთად.

მრავალი საბჭოთა ფირმები, რომლებსაც უცხოეთში გააქვთ ისეთი საქონელი, რომელიც ჩქარა ფუჭდება, დაინტერესებული არიან ამ საქონლის ჩქარა გადატანაში. „უკრვოზდუხპუტ"-ის აეროპლანები ბაქოდან წაიღებენ ხიზილალას, მოსკოვში ხიზილალა გადატვირთული იქნება დერულუფტის აეროპლანებში, რომლებიც ხიზილალას წაიღებენ უცხოეთში. საქონლის გადატანა აეროპლანებით მეტად ხელსაყრელია და თუ ის შესაფერად მოეწყო, მაშინ სამგზავრო ფასი კიდევ უფრო იქნება დაკლებული.

ნარევი

მილიონი ფრანკი ინტერვიუში

ბერნარდ შოუ ჩავიდა პარიზში და სასტუმროში, სადაც ის გაჩერდა, თავი მოიყარეს აუარებელმა ჟურნალისტებმა, რომლებსაც სურდათ გაეგოთ გამოჩენილი ინგლისელი მწერალის აზრი თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაზე და თეატრზე. ბერნარდ შოუმ უპასუხა მათ: „მჯერა, რომ თქვენ ძლიერ გაინტერესებთ ჩემი აზრის გაგება ამ საკითხზე, მაგრამ, თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ჩემგან სრული და გარკვეული, პასუხი, ეს თქვენ დაგიჯდებათ ერთი მილიონი ფრანკი". გაოცებულმა ჟურნალისტებმა ამის შემდეგ თავი გაანებეს ბერნარდ შოუს.

ვიქტორ ჰიუგოს სახლი

ვიქტორ ჰიუგოს მემკვიდრეებმა პარიზს აჩუქეს სახლი, სადაც ვიქტორ ჰიუგომ გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელი. ამ სახლს შეაფარა მან თავი „პატარა ნაპოლეონთან" ბრძოლის შემდეგ. ამ სახლშია დაწერილი მისი საუკეთესო ნაწერები: „განკიცხულები", „ზღვის მუშაკები" და სხვა.

ვოლტერი და მეფე - პოლიციელი

როცა ვოლტერი, გერმანიაში გავლის დროს გაჩერდა ფრანკფურტში, მას ისეთი „შეხვედრა" გაუმართეს, რომ ეს მას სამუდამოთ მწარე მოგონებად დარჩა.

ვოლტერი უკვე გამგზავრებას აპირებდა, რომ მასთან მივიდა მეფის ნაცვალი ბარონი ფრეიტაგი სენატორ რიუკერთან ერთად და ფრიდრიხის პირადი განკარგულებით 8 საათის განმავლობაში ჩხრეკდენ მის ჩემოდნებს.

ვოლტერი, აღშფოთებული ასეთი მოპყრობით, იჯდა მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ჩხრეკდენ მის ნივთებს და როცა ჩხრეკა გათავდა დაცინვით უთხრა ფრეიტაგს. „გადაეცით თქვენს მეფეს, რომ მე არაფერი არ გამაქვს გერმანიიდან, „ტკბილი მოგონებაც კი".

ნავთის კოშკებმა განაკვნეს ქალაქი

ნავთის სასარეწაოები კალიფორნიაში (შეერთებული შტატები) ქ. ხენტინგტონ-ბიჩის ახლო უკვე ქალაქის ფარგლებში შემოიჭრა. ნავთის წყაროების აღმოჩენის სურვილით გატაცებული მოსახლეობა თვით აწარმოებს გათხრებს თავის ეზოებში, ბაღებში და ბოსტნებში. რადგან რაიონი მდიდარია ნავთით, მრავალ ჭა-ბურღილებიდან ნავთის მძლავრმა შადრევანებმა ამოხეთქა და ნავთის კოშკები აღმართულია ქალაქის ცენტრში.

ქალაქის საბჭომ მოიწვია სასწრაფო სხდომა და აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა გამორკვევა საკითხის, თუ სად იქნას გადატანილი ქალაქი.

ფანქარი—ფარანი

შეერთებულ შტატებში ამ რამოდენიმე ხნის წინათ გასასყიდათ გამოვიდა ფანქარი, შეერთებული პატარა ელექტრონის ლამპასთან. ფანქრის ღეროში მოთავსებული გრაფიტი მოძრავია. ფანქარი მოთავსებულია ჩარჩოში, რომელიც ძლიერ წააგავს „მუდმივ" კალამს. ფანქრის ზემო ნაწილში მოთავსებული არის პატარა მშრალი ბატარეა. ლამპა მოთავსებულია ფანქრის ქვედა ნაწილში და წერის დროს ანათებს საწერ ქაღალდს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების შესახებ

სოფ. ქვე-ხანდაკის (გორის მაზრა) მცხოვრ. გლეხს შიო რთველაშვილს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ გაქვთ სამი დღის სახნავი მიწა და მასთან ეწევით დურგლობას სოფლად. ხართ 79 წლისა; შემოგაწერეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1926-27 წ. 25 მანეთის რაოდენობით. ეს თქვენ არ მიგაჩნიათ „სამართლიანად". მისი გადახდა ძალზე გიძნელდებათ და ჩვენ გვეკითხებით, თუ რამდენი უნდა გადაგხდეთ კანონით და ვის უნდა მიმართოთ ამის შესახებ.

გიპასუხებთ

თანახმად 1926-27 წ. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის არსებულ დებულების მუხ. 24-ისა (კარი 3) ა.-კ. ფედერაციაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა ცალკე (თითეულ) და კოლექტიურ მეურნეობაზე განისაზღვრება აღნიშნულ მეურნეობაზე გამოანგარიშებულ, ნავარაუდევ შემოსავლის საერთო ჯამის და ოჯახის მჭამელ პირთა რაოდენობის მიხედვით შემდეგ ნაირად:

1) შემოსავლის პირველი 20 მანეთიდან თითეულ მჭამელზე მეურნეობამ უნდა გადაიხადოს ყოველ მანეთიდან ორი კაპ.

2) 20 მანეთს ზევით 30 მანეთამდე თითეულ მჭამელზე ყოველ მანეთიდან სამი კაპ.;

3) 30—40 მანეთამდე—თითეულ მჭამელზე ყოველ მანეთიდან 5 კაპ.;

4) 40—50 მანეთამდე—თითეულ მჭამელზე ყოველ მანეთიდან 10 კაპ.

5) 50—60 მანეთამდე ყოველ მანეთიდან 17 კაპ.;

6) 60 მანეთს ზევით 80 მანეთამდე 21 კაპ.;

7) 80 მან. ზევით 100 მანეთამდე მჭამელზე ყოველ მანეთიდან 25 კაპ.

აქედან ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს ამა თუ იმ მეურნეობაზე—1) ვარაუდად საგადასახადო ორგანოების მიერ (ადგილობრივად) გამოანგარიშებული შემოსავლიანობის საერთო ჯამი (ე. ი. იმის მიხედვით, თუ რას იძლევა ფაქტიურად, ან და რა მოსავალი მიეცემა შეუძლია მეურნეობას, თუ კი გამოყენებული იქნება წესიერად). შემოსავლის წყაროებად კი ითვლება მიწა, როგორც დათესილი, ისე დაუთესავი (რაიონების მიხედვით), ბოსტანი, ბაღი, ვენახი, ხეხილი და სხვა საქონელი; 2) გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ოჯახში მჭამელთა რიცხვი. (ეს კი თქვენ შეკითხვაში არ არის მოცემული); 3) აგრეთვე აღირიცხება არა სამიწათმოქმედო წყაროებიდან მიღებული შემოსავალიც; როგორიცაა მაგ.: 1) შემოსავალი ხელოსნების და შინამრეწველებისა, 2) შემოსავალი ნახევარ მრეწველობისა და მრეწველობისა, 3) გარე სამუშაოზე აღებული ხელფასი და 4) პირადი გაქირავებული შრომის (მუშა-მოსამს.) ხელფასი, გარდა ინსტრუქციის მე-36 მუხლის აბზაც „ვ"-ში აღნიშნულის (იხ. სასოფლო-სამ. გადასახ. შესახებ არსებული ინსტრ. მუხ. 33 და 36).

გასაჩივრების წესი კი ასეთია: ყოველგვარი საჩივარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უმართებულოდ გაწერის შესახებ გადამხდელებმა უნდა წარუდგინონ რაიაღმასკომს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან, როდესაც მათ ჩაბარდათ შეწერის ფურცელი. მაგრამ საჩივრის მიცემა გადასახადის გადახდას ვერ შეაჩერებს (იხ. დებულების მუხ. 56, 57 და 58).

თუ პირადათ თქვენ რამდენი უნდა გადაიხადოთ გადასახადი. ამის რედაქციის მიერ განსაზღვრა არ იძლევა სრულ ცნობებს, როგორც ზევით ვსთქვით; გირჩევთ იხელმძღვანელოთ იმ საზომით (კრიტერიით), რაც ჩვენ პასუხშია მოცემული.

რაც შეეხება გასაჩივრებას, უნდა გითხრათ, რომ ამის ვადაც თქვენ გამოგიშვიათ.

მომავალისათვის კი უნდა გახსოვდეთ შემდეგი: ყოველგვარი საჩივარი სასოფ.-სამ. გადასახადის შესახებ უნდა წარედგინოს რაიაღმასკომს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან, როდესაც თქვენ ჩაიბარეთ შეწერის ფურცელი.

სასოფლო-სამ. გადასახადით იბეგრება ყველა ის მოსახლეობა, რომელიც სასოფლო-მეურნეობას ეწევა.

ყოველ ცალკე მეურნეობაზე გადასახადი კი გამოიანგარიშება და გადახდება საერთო შემოსავლის ან შემოსავლიანობის მიხედვით და ანგარიშით, რასაც (შემოსავალს) მეურნეობა ფულით, თუ ნივთიერად იღებს შემდეგ წყაროებიდან: ა) მეჩინდვრეობიდან, ბ) მეველეობიდან, გ) მსხვილ-ფეხა რქოსან და მუშა-საქონლიდან, მებაღეობიდან, მევენახეობიდან, მებოსტნეობიდან და სხვ. და აგრეთვე არა სამიწათმოქმედო წყაროებიდან მიღებულ შემოსავლიდან—(ხელოსნობა, შინამრეწველობა და სხვ. იხ. დებულების მუხ. 1-4).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნ. სოც.-ეკ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 20 აპრილს, საღამოს 5 საათზე, უჯრედის ყველა წევრები ვალდებული არიან გამოცხადდენ მთლიანი საკავშირო ბილეთების მისაღებად და თან წარმოადგინონ ძველი ბილეთები.

თბ. სახ. უნ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო დღეს, 20 აპრილს, საღამოს 7 საათზე, იწვევს ამავე ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ სხდომას.

გარდა წევრების და კანდიდატებისა, კრებაზე უნდა გამოცხადდენ ის პირები, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

ლენრაიონის მუშებსა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 20 აპრილს, 4½ ნახევარ საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **ქალთა ორგანიზატორების და ქალთა კომისიის თათბირი.**

დღის წესრიგი: ქალთა ორგანიზატორების ანგარიშები შემდეგ ადგილებიდან: რკინისგზის საავადმყოფო, რკინისგზის სამმართველო, ფეხოსანთა სკოლა, საშემოსავლო დარგი.

ხუთშაბათს, 21 აპრილს, დილის 10 საათზე, მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიუროს სხდომა.

სხდომა შესდგება რექტორის კაბინეტში.

ოთხშაბათს, 20 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია ქალაქის რაიონის, ქალაქისა და სოფლის კავშირის ხელისშემწყობი საზოგადოების კონფერენცია.

სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს უჯრედის ყველა წევრების საყურადღებოდ, რომ 21 აპრილს დღის 12 საათზე, დარიგებული იქნება საკავშირო მანდატები. ვინც აღნიშნულ დროს არ გამოცხადდება, შემდეგ მანდატს ვერ მიიღებს.

მანდატების მიღებისას უნდა იქნეს გადახდილი საწევრო და ინტერნაციონალური გადასახადი.

ოთხშაბათს, 20 აპრილს, შესდგება დელეგატურ კრების ქართულ და რუსულ ჯგუფების მეცადინეობა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩახნიძესთან: ბოლქვაძე დავით ნიკოლოზის ძე, ულენტი სვიმონ დიმიტრის ძე, კალანდაძე ნიკოლოზ ირაკლის ძე, კაკაურიძე ბარნაბა ევსეის ძე, კუზნეცოვა ლიუდმილა სტეფანეს ასული, კაჭარავა ბაბილინა მიხეილის ასული, სვანიძე სოლომონ საბას ძე, პორტნიანსკი მოსე ეფიმეს ძე, ხაჩატუროვი ნერსეს იაგორის ძე, ჩარკვიანი დავით სამსონის ძე, ელბაქიძე ზაქარია მიხეილის ძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ პირებს, რომ 20—21 აპრილის განმავლობაში, დილის 9 საათზე, გამოცხადდენ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., № 24, მესამე სართული, ოთახი № 12): **ხაჩატუროვი სარქის, ჯინჭველაშვილი გიორგი, გარსევანიშვილი ვანო, ბოგდანოვი ვასილი ვასილის ძე, ახმეტელი დ.**

გრაფო, გიორგი და გენო გომურაშვილები აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობრებთ, რომ დღეს, 20 აპრილს, დღის 2 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე

ალექსანდრე (საშა) გომურაშვილის

გარდაცვალების ერთი წლის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

თავზარდაცემული მეუღლე ეთერი თედოს ასული რაზიკაშვილი-ჭამკვეტაძისა, სიდედრი თინათინი რაზიკაშვილისა, ცოლისდები: ნინა ქარუტაძისა, მიძისა და გუგულა ბეჟუაშვილისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამა წლის 17 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

შალვა პლატონის-ძე ჭამკვეტაძე

დასაფლავება მოხდება სოფელ წევაში, სადგური ძირულა, ხუთშაბათს, 21 აპრილს. 2480

ღრმად დამწუხრებული მშობლები: პლატონ და შარინოზი, ძმები: ვლადიმერი, სიმონი და იონა, დები: სონა, ვერა და შუშანიკა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს პირველის უსაყვარელესი შვილის, ხოლო უკანასკნელის კი დაუვიწყარი ძმის

შალვა პლატონის-ძე ჭამკვეტაძის

ქ. თბილისში ა. წ. 17 აპრილს, ტრაგიკულათ გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება შორაპნის მაზრაში სოფ. წევაში ა. წ. 21 აპრილს. 2481

ა.-კ. კავშირგაბმულობის სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 17 აპრილს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი ამხანაგი, მეგობარი და თანამოსამსახურე

შალვა (შალიკო) პლატონის-ძე ჭამკვეტაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 21 აპრილს, სოფელ წევაში, შორაპნის მაზრა. 2477

ქუთაისის სამაზრო პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ენერგიული მუშაკის

ნინო შავგულიძის

გარდაცვალების გამო. ცხედრის გამოსვენება მოხდება ქუთაისში რესპუბლიკის ქუჩა № 16, 21 აპრილს, საღამოს ოთხ საათზე; დაკრძალვა —საფიჩხიის სასაფლაოზე. მ.

ღრმათ დამწუხრებულნი: ქვრივი ანასტასია სპირიდონის ასული მგელაძისა, შვილები ნატალია, ნინა, ელენე, ბაბულია, ლიუბა, თამარა და გიორგი, რძალი სალომე, სიძეები პავლოვი, გოგიტიძე, ექ. გალიცკი, მიშელი, პროფ. ბლადაშვილი, ცოლის და პუპული გრიგოლიასი და შვილისშვილები: ტატიანა, ქეთო, ლიუცია, თინა, ნათელა, ნინიკო, აჩიკო, კუზიკა, ვახტანგ, ტულია და შალვა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ 17 აპრილს გარდაიცვალა მათი საყვარელი

ყარამან კაიხოსროს-ძე მგელაძე

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე თეატრის შესახვევი 11. დაკრძალვა ხუთშაბათს, 21 აპრილს, დღის 3 საათზე. 2469 2—2

გულდამწვარი და ცრემლშეუშრობელი მშობლები პელაგია პეტრეს ასული და სიმონ ლუარსაბის-ძე მესხიები, და-ძმანი: ანია, ირინა, მარო, პეტა, თინა და თამარი, ბებია ტერეზია მესხისა, ბაბუა პეტრე და დეიდა ელენა გიორგობიანები, სიძე ზაქარია ერმალოს-ძე შარაშიძე და დისწული პატარა ოთარიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს რომ უდროოდ დაკარგულ, ძვირფას და საყვარელ ნორჩი ჭაბუკის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტის

კოლი (ნიკო) მესხის

გარდაცვალებიდან 1 წლის აღსანიშნავად გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი საფლავზე, რაჭაში და თბილისში დიდუბის ეკლესიაში, ხუთშაბათს, 21 აპრილს, დღის 12 საათზე. 2488

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს 21 აპრილს უკანასკნელად ამ სეზონში
გრ. რობაქიძის **ლამარა**
პიესა 4 კამარათ მუსიკა: იონა ტუსკიასი.
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.
მხატვარი: ლ. გუდიაშვილი

უკანასკნელად ამ სეზონში
კვირას, 24 აპრილს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით.
ახალი კუპლეტები.
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.
5—1 ნ. 1024

აპოლლო ტელ. 7-61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20-44.
დარბაზი ტელ. 14-03.
0—13 ნ. 924

მსოფლიო შედევრი ლიუის დორინის მონაწილეობ.
„სოდომი და გომორა"
გრანდიოზული დადგმა! ათეული ათასი მონაწილენი
2 სერია 13 ნაწილი ერთად.
დადგმის მეორე კვირა **გიული**
ადგილები დანომრილია, ფასები მნიშვნელოვნად დაკლებ.
მხატ. შედევრი ამერიკული სურათი აგნესა აირესის მონაწ.
„საღამოს 7 საათზე"
უკანასკნელი მე-3 სერია „სიძულვილის სახლი"
ამ დღეებში მის—მენდ
ანონსი: მზადდება „თავადის ასული შირვანსკაის ბოროტმოქმედება".

ცირკი
დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით
ტელ. 16—67
1—1 ნ. 1036

დღეს, 20 აპრილს,
უაღრესად საინტერესო სანახაობანი სამ განყოფილებათ
გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი
ჭიდაობს 4 წყვილი
პირველი წყვილი წითელი ნიღაბი—გურსკი,
მეორე — ვანდეიკ—სანდრო კანდელაკი,
მესამე — როშჩინ—ლეშო,
მეოთხე — კლემ. ბულ—ბორისოვი.
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

თბილისის ქალაქის ბანკის ბალანსი

1927 წ. 1-ლ აპრილისათვის.

სალარო და სახელდახელო ანგ.	474,004—10	თანხები ა) ძირითადი	2,328,750—
საფასენი	307,666—19	ბ) სათადარიგო	223,922—33
თამ. გან. და სპეც. სახ. ანგ. თამას.	2,612,763—39	სპეც. თანხა მთავარ საგანგებო დანიშ.	835,240—
საქონლის სესხის ოპერაციები	2,614,528—85	სპეც. თანხა მთავარ საგანგ. დან. საღ.	3,373,711—99
მიწოხრივი სესხი მოკლევადიანი	1,006,854—99	სპეც. სახ. ანგ. უზრ. თამას.	2,329,032—13
„ „ გრძელვადიანი	6,702,477—37	ანაბარი და სახ. ანგ.	2,135,629—33
კორესპონდენტები	263,666—31	ფულის ბარათები	69,278—37
შემოსასწორებელი ანგარიშები	562,573—75	კორესპონდენტები	1,475,838—18
სხვადასხვა დებიტორები	13,823—52	შემოს. ანგარიშ.	587,283—80
ქონება და წამოწყ. მონაწ.	739,256—91	სხვადასხვა კრედიტები	41,280—
საურთიერთო ანგარიშები	1,771,616—02	საურთიერთო ანგ.	1,761,123—98
გაპროტესტებული თამას. და საეჭვო ვალები	45,710—95	შემოსავალი მომავალი წლის ანგ.	559,181—43
გაცემ. % %-ი კომისია და სხვა	110,548—85	სარგებელი, კომისია და სხვა შემოს.	765,277—13
მიმდინარე და სხვადასხვა ხარჯები	260,057—45		
ბალანსი	17,485,548—67	ბალანსი	17,485,548—67

ნ. 1043.

ქუთაისის ინტელიგენციის აქტივის თაოსნობით
ა.-წ. 15 მაისს ქ. ქუთაისში მოეწყობა

მომღერალთა გუნდების კონკურსი

(შეჯიბრი)

პირველ პრემიად დანიშნულია . . . . 500 მანეთი;
მეორე პრემიად „ . . . . 300 მანეთი;
მესამე პრემიად „ . . . . 200 მანეთი;
მეოთხე პრემიად „ . . . . 100 მანეთი;

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში არსებულ ქართულ მომღერალთა გუნდებს, რომლებმაც თავიანთი სურვილები ჯიბრში მონაწილეობის შესახებ უნდა გვაცნობონ არა უგვიანეს 30 აპრილისა შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, სევ. მინდაძეს. ნის. 1041

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონტო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

გაზ. „კომუნისტზე"
ხელის მოწერა სამტრედიის რაიონში
მიიღება შემდეგ პირებთან
1) ქალ. სამტრედიაში—ლასა გოგელიასთან (რკ. გზ. კიოსკში).
2) მოძრაობის დარგში (რკ. გზ. სამკითხველოში) მ. წულაიასთან.
3) საყუდში—ს. ქავთარაძესთან.
4) საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში—დ. თელიასთან.
5) დიდ ჯიხაიშში—გ. ბიბილეიშვილთან.
3—1. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალის ფასი { 1 წლით . . 10 მან. ½ წლით. . 5 მან. ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
2428 25—1

1927 წლის 25 აპრილს, დილის 10 საათიდან, საწყობში № 10, (არსენალის მთა)

შესდგება **საჯარო ვაჭრობა**

რომლითაც აუქციონით გაიყიდება ურმებისათვის გამოსადეგი ბორბლები და ლითონის სხვადასხვა ნაკეთობანი, შემდეგ საჯარო ვაჭრობა გადატანილ იქნება საწყობში № 24 (იქავე), სადაც გაიყიდება ხელით წასაყვანი და რკინის ურმები (тележки), ავტოს მშენებლობისათვის გამოსადეგი საავტომობილო ჩარჩოები და მოტონაწილები.

ნ. 1039. **სამხეფონდბიუროს რწმუნებული.**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 22 აპრილს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 26 კომუნალური ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მირზა-მამედ კულამ ოღლის მოძრავ ქონებას: სამოვრებს, მაგიდებს, სკამებს და სხვ. შეფასებულს 104 მანეთად, 50 კაპ. სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 18 აპრილს 1927 წ. თარიღით, № 1312 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1038

Судебный Исполн. Нарсуда 4-го района г. Тифлиса

ПОТЕМКОВСКИЙ

Сим об'являет, что 29 сего апреля, в 12 час. дня, им будет продаваться со 2-го **ПУБЛИЧНОГО ТОРГА** право Николая Павловича Кикнадзе на 1|3 часть дома на углу улицы Калинина под № 110 и переулка 25 февраля, в коем 7 комнат, кухня, ванная, подвал, балкон с галереей и пад'езд, каковое право оценено для продажи за 1. 700 рублей. торг начнется оценочной или первой предложенной суммы. На целом доме лежит запрещение по выдаче залогового свидетельства от 9 марта 1923 г. по реестру № 223, для представления в одно из кредитных учреждений, а право Кикнадзе на 1|3 часть таковаго обременено запрещением в сумме 1916 руб. по иску управления закав. жел. дорог. Торги состоятся в месте нахождения этого дома и будут произведены с соблюдением требований, указан. в ст. ст. 301, 311, 312, 313, 314 и 316 граж. проц. кодекса. 2476

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის
ექიმთა გამოძახება სახლში
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 2—15

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორლანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25— 1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—4

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონტო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. № 4—82

დავკარგე პარტიული მანდატი № 0854474 ასალო ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 2486

დავკარგე მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 16972, მე-2 ხარისხის სავაჭრო პატენტი № 11796 გრიგოლ გიორგისძე აბაშიძეს სახელზე და სახლის პატრონის მიერ მოცემული ხელწერილები ვლადიმერ ალექსანდრესძე ხმალაძეს სახელზე, ჩ. გ. 2487

დავკარგე წითელ-არმიელის წიგნაკი № 1434, კომკავშირის ტალონი № 1070, შრომის ბირჟის ნუმერი № 2083, პირადობის მოწმობა № 1012, გლეხკომის წიგნაკი მოცემული თელავის მაზრიდგან, გიორგი იასესძე ლონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2485

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 17, ალმშენ. პ | კავშირის წიგნაკი № 150 და პირადობის მოწმობები ნესტორ სოლომონისძე კობახიძეს სახელზე, ჩ. გ. ნის. 1037

დავკარგე გორის საად. კავშ. საწევრო წიგნაკი № 21032 ნიკოლოზ საურის სახელზე, ჩ. გ. 2478

დავკარგე ა. ლ. კ. კ. საწევრო ბილეთი № 2190 თედო ახალკაციშვილის სახელზე, ჩ. გ. 2479

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 48464 ოლია ანდრიას ასული ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2484

დავკარგე უვადო პასპორტი ალექსანდრე ილარიონისძე მუსერიძეს სახელზე, ჩ. გ. 2483

დავკარგე პირადობის წიგნაკი № 348 ნინა ფინეზის ასული წითლევის სახელზე, ჩ. გ. 2482

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო სარეგისტრაციო (ლეჩხუმის მაზრა) თემაღმასკომის და სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ბიქტორ დავითულიანის სახელზე, ჩ. გ. 2491

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 27793 მოცემული განათლების კავშირიდან. გრიშა ილიასძე ენუქიძის სახელზე, ჩ. გ. 2489

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი ფ. № 4. ნიკოლოზ მიხეილისძე იაკობიძის სახელზე, ჩ. გ. 2490

დავკარგე კ. პ. საკანდიდატო ბარათი № 15902 გაცემული ს. კ. პ. შორაპნის სამაზრო კომიტეტის მიერ ვლადიმერ ივანესძე ბარათაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2491

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68,